


ლიდა ბერიძე



მათემატიკოსები საქართველოს
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
(1917 – 2014)



ტექნიკური უნივერსიტეტი
2014

ჩვენს მიერ წარმოდგენილ წიგნში აღწერილია იმ ცნობილი მათემატიკოსების ცხოვრება და პედაგოგიური ღვაწლი, რომლებიც მოღვაწეობდნენ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დღიდან მისი დაარსებისა დღემდე (1917-2014წ).

ჩვენი მიზანია პატივი მივაგოთ იმ პედაგოგ-მათემატიკოსთა თავდადებულ შრომას, რომლებმაც ბევრი სასახელო სპეციალისტი აღუზარდეს საქართველოს.

წიგნი გათვალისწინებულია მათემატიკის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის და ფართო აუდიტორიისათვის.

რეცენზენტი: ტ.მ.დ., სრული პროფესორი ბორის ბოქოლიშვილი

ISBN 978-9941-0-7259-8

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია, თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

შესავალი

საქართველოს უმაღლესი ტექნიკური ინსტიტუტის შექმნისათვის ქართველი ხალხი დიდი ხნის განმავლობაში იღწვოდა. ტფილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაეყარა საფუძველი ამიერკავკასიისა და საქართველოს უმაღლეს ტექნიკურ განათლებას, ამ ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს განათლების ეროვნული კერის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში. თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მეგობრულად შრომობდნენ სხვადასხვა ერის ინტილიგენციის ღირსეული ადამიანები პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ავალიანი, ა. ბენაშვილი, ა. დიდებულიძე, ნ. მუსხელიშვილი, ა. ხარაძე, ა. რაზმაძე, გ. ნიკოლაძე, შ. ნუცუბიძე, ს. ნავაშინი, ი. გამბაროვი, ი. მეირი, ლ. მანდელშტამი, ს. ზახაროვი, ვ. ზავრიევი, მ. პოლიექტოვი და სხვები, ასევე მრავალფეროვანი იყო სტუდენტური შემადგენლობაც.

ვფიქრობთ, რომ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, მისი ღვაწლმოსილი პედაგოგების და, ცხადია, მათ შორის, მათემატიკოსების საქმიანობა ცნობილი უნდა გახდეს ფართო საზოგადოებისათვის, რადგან „წარსულის ალალი შეფასება, აწმყოსა და მომავლის ამაღლების საწინდარია“, დავფიქრდეთ იმაზე, რას გვიქადის წარსულის დავიწყება, იმ მემკვიდრეობით მიღებული ღირებულებების ფეხქვეშ გათელვა, რაც დაგვიტოვებს ჩვენმა წინაპრებმა. მნიშვნელოვანია წარსულის სწორად შეფასება. მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეების წარმოჩენა და გათვალისწინება რომ არა, საინტერესოა ვინ ვიქნებოდით, სად ვიქნებოდით, ან ვიქნებოდით კი საერთოდ? წარსულით კი არ უნდა ვცხოვრობდეთ, მაგრამ აუცილებლად უნდა გვახსოვდეს წინაპრების წარმატებები, ვითვალისწინებდეთ მათ შეცდომებს, რადგან, როგორც ილია ჭავჭავაძე ბრძანებს „ერის პირქვე დამხოვა, გათახსირება, გაწყალება იქიდან დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავის ყოფილის ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია ერის სულით და ხორციით მოშლისა, დარღვევისა მათი მთლიანად წაწყმედისაგან, წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერთი ბრძენისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო. შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა. დიდბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის და დიდებულნი საქმენი გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, ამხნევენ. ერი თავისი გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა სურს და ეგრეც არის, საცა ერი ერობს... აღდგენა ისტორიისა – ერის გამოცოცხლებაა, გამხნეებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამოკვეთაა სიბნელისაგან...

ერი, რომელიც ივიწყებს წარსულს, ცოტადა აკლია, რათა სამუდამოდ გაქრეს ან სხვა რომელიმე ძლიერის უღლის ქვეშ მოექცეს. ამისთანა ერს არა აქვს მჭიდროდ მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ, იმიტომ, რომ – რა იყო, ის დავიწყებული აქვს და, მაშასადამე, რა არის – არც ის იცის, არ იცის რით გაიმაგროს, რისთვის გაწიროს თავი, რას გამოესარჩლოს და რას არა“.

ამიტომ გადავწყვიტე, „არ დავიწყება“ საქართველოში მოღვაწე მათემატიკოსებისა, რომლებიც ემსახურებოდნენ სტუდენტების აღზრდას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მე შევეცადე გამეხსენებინა ლენინის სახელობის ტფილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საქმიანობაში 1917-1928 წლებში მათემატიკოსების ღვაწლი, შემდეგ გავიხსენე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე მათემატიკოსების მოღვაწეობა ფაკულტეტის დაარსებიდან, 1922 წლიდან, 1928 წლამდე, მოვიცავი შემდგომი პერიოდებიც, შევხეხე საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტსა და დღეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მათემატიკის კათედრებსა და მათემატიკის დეპარტამენტში მომუშავე მათემატიკოსების მოღვაწეობას. რამდენად საფუძვლიანად მოვახერხე, მკითხველი განსჯის. ეს არის ჩემი მოკრძალებული პატივისცემა ჩვენი წინაპარი მათემატიკოსებისადმი.

ნაშრომის შედგენისას დიდი დახმარება აღმომიჩინეს ბატონებმა ბორის ბოქოლიშვილმა, დავით გორგიძემ, ნოდარ მახვილაძემ, ალექსანდრე ლაშხმა, გურამ სამსონაძემ, ალფრედ გაგნიძემ ფოტომასალის მოწოდებითა და სასარგებლო რჩევებით, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ მათ.

დიდი ყურადღებით მოეკიდნენ ჩემს ჩანაფიქრს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის განყოფილების თანამშრომლები, მზად იყვნენ ჩემთვის ყოველგვარი დახმარების აღმოსაჩენად, მათი გამოთქმით ამ „საშვილიშვილი საქმეში“, რისთვისაც დიდ მადლიერებას გამოვთქვამ მათ მიმართ.

ძალიან გამიჭირდებოდა ნაშრომის გაფორმება რუსუდან გოგიბერიძის გარეშე, რომელმაც დიდი შრომა გასწია კომპიუტერული უზრუნველყოფის მიმართულებით, რისთვისაც დიდი მადლობა მას.

ტფილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი 1917-1928 წლებში

ბრძოლა საქართველოში პოლიტიკური ინსტიტუტის გახსნისათვის რამდენიმე წელს გრძელდებოდა. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი იძულებული გახდა დაესვა საკითხი კავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის შესახებ. ამ მიზნით, მისი თავმჯდომარეობით შედგა კომისია, რომელმაც 1880 წლის 9 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება თბილისში გახსნილიყო პოლიტექნიკური ინსტიტუტი ქიმიური, სამთო და სასოფლო-სამეურნეო განყოფილებებით, მაგრამ მეფის მთავრობამ ეს ყურად არ იღო და რუსეთის ქალაქებში აგზავნიდნენ ქართველ სტუდენტებს. მაგალითად, 1897 წელს 210 კაცი იქნა გაგზავნილი სასწავლებლად, მათ შორის გზათა ინჟინრების ინსტიტუტში—4, ტექნოლოგიურში – 5, სამთომადნეობაზე – 2, მხოლოდ ტომსკის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 50 ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა.

1906 წლის 29 მარტს ი.ვორონცოვ-დაშკოვმა მთავრობას წარუდგინა მოთხოვნა თბილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნის აუცილებლობის შესახებ. ამ მიზნით შეიქმნა მთავარი კომიტეტი, რომლის დანიშნულება თბილისში უმაღლესი სასწავლებლის შექმნა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს საკითხი სხვადასხვა მიზეზებით ჭიანურდებოდა.

1913 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ნ.რუდოლფის მიერ დამუშავდა პროექტი, რომელიც განიხილა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შექმნის მთავარმა კომიტეტმა და მთავარმმართველის საბჭომ. 1913 წელს მიღებული დადგენილება განსახილველად გაიგზავნა სახელმწიფო სათათბიროში. “მთავარმა კომიტეტმა” 1913 წლის ნოემბერში განიხილა ინსტიტუტისათვის მიწის ნაკვეთის შერჩევის საკითხი. 1913 წლის 26 ნოემბერს მეფის ნაცვალმა ი.ვორონცოვ-დაშკოვმა თავისი რეზოლუციით “პოლიტექნიკუმის ასაშენებელ ადგილად ვამტკიცებ ნავთლულს” აკურთხა მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილება თბილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნის შესახებ.

1914 წლის 4 მაისს მოეწყო ინსტიტუტის შენობის საძირკვლის ჩაყრის ცერემონია, რომელიც დიდ საზეიმო ვითარებაში ჩატარდა. პირველი ქვა შენობის საძირკველში ჩადო მეფის ნაცვალმა ი.ვორონცოვ-დაშკოვმა, მანვე ამ მშენებლობისათვის ასი ათასი მანეთი გაიღო. აღსანიშნავია, რომ საძირკველში ჩატანებული იქნა ლითონის დაფა, რომელზეც ოქროს ასოებით ეწერა: “წელსა ამას 1914-სა ქრისტე მაცხოვრის დაბადებიდან, მაისის ოთხსა დღესა, იმპერატორი ნიკოლოზ მეორის ბედნიერი მეფობის დროს, მეფისნაცვალის გრაფ ი.ი.ვორონცოვ-დაშკოვის სასწავლო ოლქის მზრუნველის ნ.რუდოლფის დროს შესრულებული არის საძირკვლის ჩაყრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა, რომელიც არსდება რომანოვების სახლის 300 წლის ბედნიერი მეფობის სახსოვრად.”

თითქმის ყველაფერი მზად იყო და პოლიტექნიკური ინსტიტუტის საქმიანობის დაწყებას ხელს აღარაფერი უშლიდა, მაგრამ საქმე მაინც ჭიანურდებოდა, ფაქტიურად, მეფის მთავრობა ისე დაემხო, რომ მან დადგენილება თბილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნის თაობაზე ვერ გამოიტანა.

1916 წელს კვლავ განახლდა ბრძოლა ინსტიტუტის გახსნისათვის.

1917 წლის 28 მარტს შედგა ინსტიტუტის გახსნის “მთავარი კომიტეტის” სხდომა მ. მ. ნოვიკოვის თავმჯდომარეობით, ესწრებოდნენ სახალხო განათლების მინისტრის წარმომადგენლები დ.დ. გრიმი, ა.ვ. ვასილევი, ვ.ი. ვერნადსკი, ა.ავორონოვი, ი.ვ.გრევსკი, ს.ფ.ოლდენფურგი, მ.ი.პერგამენტი, სამრეწველო სასწავლებლების მმართველი ვ.ი. რიკოვი, მმართველის თანაშემწე ვ.დ. ნიკოლასი, სახალხო განათლების დეპარტამენტის დირექტორი პ.ფ. სურინი და ვიცე-დირექტორი ნ.ო. პალჩევი.

მომხსენებლები იყვნენ ვ.ი. ვერნადსკი და ს.ფ. ოლდენბურგი.

სხდომაზე ერთხმად იქნა მიღებული დადგენილება „შეიქმნას ტფილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ოთხი ფაკულტეტით: სასოფლო-სამეურნეო, ქიმიური, ჰიდრომექანიკური (ჰიდროტექნიკური და ჰიდროელექტრო-მექანიკური განყოფილებებით) და ეკონომიური (ეკონომიური და კომერციული განყოფილებებით).

1917 წლის 6 მაისს დროებითი მთავრობის მიერ დამტკიცდა კანონპროექტი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნის შესახებ, ამდენად, **1917 წლის 6 მაისი აღინიშნებოდა, როგორც თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსების დღე.** 1917 წლის 1 ივლისს დამტკიცდა ინსტიტუტის დირექტორის, 4 დეკანის და 6 პროფესორის შტატი ოთხი წლის ვადით.

1917 წლის ივლისში დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად ფუნქციონირებას იწყებს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ინსტიტუტის პირველი დირექტორი (მოვალეობის შემსრულებელი) იყო ორდინალური პროფესორი **სერგეი ალექსანდრეს ძე ზახაროვი.**

შემდგომში 1917-1918 წელს დროებითი შტატები განისაზღვრა ასეთი რაოდენობით: დირექტორი – 1, მოადგილე – 1, დეკანი – 4, ორდინალური პროფესორი – 33, ექსტრაორდინალური პროფესორი – 17, დოცენტი – 31, უფროსი ლაბორანტი – 38, უმცროსი ლაბორანტ-ასისტენტი – 18, მექანიკოსი – 4, მინერალოგიის, გეოლოგიური, გეოდეზიის კაბინეტებზე პასუხისმგებელი პირები - 3, მეტეოროლოგიური დამკვირვებელი – 1, ბიბლიოთეკარი – 1, საბჭოს მდივანი – 1, ფაკულტეტის მდივანი – 4, კანცელარიის მმართველი – 1, მმართველის მოადგილე – 1, ბუხჰალტერი – 1, სტუდენტთა საქმეების მმართველი – 1, საქმეთა მწარმოებელი – 1, მისი მოადგილე – 1, შენობაზე პასუხისმგებელი – 1, ექიმი – 1, ექთანი – 1.

ინსტიტუტში მუშაობა დაიწყო:

1. მეიერი ედუარდ ანდრეის-ძე – ორდინალური პროფესორი, ზოოლოგი, ყაზანის ინსტიტუტიდან, 16 ივლისიდან;
2. მენდელშტამი ლეონიდ ისაკის-ძე – ორდინალური პროფესორი, ფიზიკოსი, სტრასბურგიდან, 16 ივლისიდან;
3. გინსბერგი ალექსანდრე სიმონის ძე – ექსტრაორდინალური პროფესორის მოვალეობის შემსრულებელი, მინერალოგი, 18 აგვისტოდან;
4. მიშჩენკო პავლე ივანეს-ძე – პრივატდოცენტი, ბოტანიკოსი, 18 აგვისტოდან;
5. მელიქოვი პეტრე ალექსანდრეს-ძე – შტატგარეშე ორდინალური პროფესორი, 1 სექტემბრიდან;

6. იუზბაშიანი ლ.ნ. – უფროსი ასისტენტი, 15 სექტემბრიდან;
7. თვალჭრელიძე ა.ა. – ნოვოჩერკასკის პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან, 15 სექტემბრიდან;
8. ნახაპეტიანი ა.ა – უმცროსი ასისტენტი, 15 სექტემბრიდან;
9. ჯავახოვი ალესანდრე ნიკოლოზის-ძე (ჯავახიშვილი) – უფროსი ასისტენტი, მოსკოვის ქალთა უმაღლესი კურსებიდან, 1 ოქტომბრიდან;
10. ყანჩაველი ზ.ა. – უმცროსი ასისტენტი, 1 ოქტომბრიდან;
11. გულიევი ლეონ ივანეს-ძე – ასისტენტი, 15 სექტემბრიდან.

1917 წლიდან თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ადმინისტრაცია ასე გამოიყურებოდა:

1. ბაბოვი ა.ს. – კანცელარიის მმართველი და სამნეო ნაწილის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, 16 ივლისიდან;
2. პირდოვი ს.ხ. – რემინგტონისტი, 16 ივლისიდან;
3. ბარსეგოვი ლ.ა. – წერილების განყოფილების თანამშრომელი, 30 ივლისიდან;
4. ბაჟბეშვი-მელიქოვი – ბუხჰალტერი, 10 სექტემბრიდან;
5. ზელიკ პავლე – კანცელარიის თანამშრომელი, 11 სექტემბრიდან;
6. მატინიანცი ეფრემი – შვეიცარი, 11 სექტემბრიდან;
7. პაპახჩიანი ნერსეს – შვეიცარი, 13 სექტემბრიდან;
8. გალსტიანი ლ.პ. – უფროსი რემინგტონისტი, 15 სექტემბრიდან;
9. ტორნეუსი ო.ნ. – ბიბლიოთეკარი, 10 ოქტომბრიდან;
10. პერეხოდოვი ი.პ. – წერილების დამტარებელი, 20 სექტემბრიდან;
11. სტამბოლციანი მ.პ – ეკზეკუტორი, შენობებზე პასუხისმგებელი, 15 ოქტომბრიდან;
12. ნიკონოვი იაკობ – პროფესორ პ.ი მიშჩენკოს დამხმარე;
13. ოსტერფობ არნე – პროფესორ ე.კ მეიერის დამხმარე;
14. ნერსესიანი სუმბატ – პროფესორ ა.ს. გინზბურგის დამხმარე;
15. საასონოვ ნიკოლოზი – პროფესორ ლ.ი. მანდელშტაბის დამხმარე.

ეს ინფორმაცია ასე დაწვრილებით იმის აღსანიშნავად მოვიყვანე, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის არსებობა იწყება 1917 წლის 1 ივლისიდან, 1917 წლის 9 ოქტომბრიდან კი დაიწყო პირველი სასწავლო წელი თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

რაც შეეხება ინსტიტუტის შენობებს, ინსტიტუტმა ისე დაამთავრა მოღვაწეობა (1917-1928წ.), მისთვის განკუთვნილი შენობის პროექტი არ განხორციელებულა. არსებობის 11 წლის განმავლობაში მას საკუთარი შენობა არ გააჩნდა და შეხიზნული იყო სხვადასხვა შენობაში:

1. ტიფლისის ყოფილი თეატრალური წრის ნაწილი, რუსთაველის პროსპექტი N10;
2. არტისტული საზოგადოების შენობის ზედა ორივე სართული (თეატრალური სათავსოების გარეშე), რუსთაველის პროსპექტი N21;
3. ენფიანჯინცის სახლის ქვედა სართული სარდაფით და ლერმონტოვისა და სერგიევსკის ქუჩების კუთხის შუალედური სართულის ნაწილი და სარდაფი, სერგიევსკის N8, ქიმიური ლაბორატორიებისათვის;

4. ფეოდოსიევსკის ქ. N1, ბოტანიკური ბაღი სათბურით და სამუშაო ოთახებით;
5. ინსტიტუტის კანცელარია მოთავსებული იყო გრიბოედოვის N18-ში.

ფართი, რომელიც განკუთვნილი იყო აუდიტორიებისა და ლაბორატორიებისთვის, შეადგენდა დაახლოებით 1000 მ²-ს 52 სამუშაო ოთახით. ასევე ჰიდრო-გეოლოგიური-ნავთობ საძიებო საქმეებისათვის გამოიყენებოდა ანასტასიევსკის N20-ში ბინა N2.

ტფილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ფაკულტეტების გახსნის თანმიმდევრობა ასეთი იყო:

- 1) სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი, სასოფლო-სამეურნეო, სატყეო განხრებით, 1917/18 სასწავლო წლიდან;
- 2) ეკონომიური ფაკულტეტი – ეკონომიკური, სამართლის, საკონსულო-სავაჭრო, სამეურნეო და ფინანსური განყოფილებებით 1918-1919 სასწავლო წლიდან (1922 წლიდან მას საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი ეწოდა).

ტფილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნის მთავარი კომიტეტის მდივანი ბაბოვი 1918 წლის 23 მარტს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ატყობინებს, რომ ჰიდრო-მექანიკური ფაკულტეტის გახსნის შემთხვევაში, როგორც ჰიდროტექნიკურ, ასევე ჰიდროელექტროტექნიკურ განყოფილებებზე მუშაობა წარიმართება შემდეგი გეგმით:

სწავლების პირველი წელი		
საგნის დასახელება	ლექცია	პრაქტიკა
მათემატიკა	7 საათი	3 საათი
მხაზველობითი გეომეტრია	1,5 საათი	2 საათი
ფიზიკა	6 საათი	2 საათი
ქიმია	4 საათი	-
გეოდეზია	2 საათი	2 საათი
თეორიული მექანიკა	2 საათი	2 საათი
სამშენებლო ხელოვნება	2 საათი	1 საათი
არქიტექტურა	1 საათი	1 საათი
სწავლების მეორე წელი		
მათემატიკა	3 საათი	4 საათი
თეორიული მექანიკა	3 საათი	2 საათი
ქიმია	1 საათი	-

ამის საფუძველზე 1919 -1920 სასწავლო წლიდან გაიხსნა

- 3) საინჟინრო- მექანიკური ფაკულტეტი – მექანიკური, ელექტრო-მექანიკური და ჰიდროტექნიკური განხრებით;
- 4) საინჟინრო-სამშენებლო ფაკულტეტი – საგზაო-ხიდებისა და სამოქალაქო განხრებით, 1920/1921 სასწავლო წლიდან;
- 5) სამთო-ქიმიური ფაკულტეტი – სამთო და ქიმიური განხრებით 1921/22 სასწავლო წლიდან;

6) გარდა ამისა, 1922 წლის მარტიდან გაიხსნა მუშათა ფაკულტეტი. 1924-25 სასწავლო წლიდან შეიქმნა ფაკულტატური კურსი სატრანსპორტო-საექსპლოატაციო სპეციალობით სამშენებლო-საინჟინრო ფაკულტეტთან, 1925-26 სასწავლო წლიდან კი გაიხსნა სატრანსპორტო საექსპლოატაციო განყოფილების ორი კურსი.

სტუდენტთა რაოდენობა ტფილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტში მისი არსებობის მანძილზე (1917-1928) სასწავლო წლების დასაწყისში ასე გამოიყურებოდა:


სასწავლო წელი	ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ი				სულ
	სასოფლო-სამეურნეო	საინჟინრო	ეკონომიური	საზოგადოების მეცნ.	
1917/18	299	—	—		299
1918/19	426	—	357		783
1919/20	353	481	445		1279
1920/21	317	813	466		1596
1921/22	571	640	576		1787
1922/23	799	549		1016	2364
1923/24	697	758		1043	2498
1924/25	817	867		—	1684
1925/26	850	1112		—	1962
1926/27	791	1335		—	2126
1927/28	771	1431		—	2202

მუშათა ფაკულტეტის მსმენელთა რაოდენობა სასწავლო წლების მიხედვით კი ასეთი იყო:

სასწავლო წელი	ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ი		სულ
	სასოფლო-სამ.	საინჟინრო	
1923/24	7	38	45
1924/25	18	33	51
1925/26	7	24	31
სულ	32	95	127

სტუდენტთა რაოდენობას მუშათა ფაკულტეტთან ერთად ემსახურებოდა 24 პროფესორი, 27 დოცენტი, 37 მეცნიერ-თანამშრომელი, 6 ლექტორი და 6 პრეპარატორი, სულ 129 თანამშრომელი.

1922 წლის ივნისის მდგომარეობით ტფილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის შემადგენლობაში შედიოდა შემდეგი ფაკულტეტები და მათი განყოფილებები



ადმინისტრაცია კი ასე გამოიყურებოდა:

- I საბჭოს შემადგენლობა: პროფესორები, მასწავლებლებისა და მეცნიერთანამშრომლების თითო წარმომადგენელი ყოველი ფაკულტეტიდან, ერთი წარმომადგენელი პროფკავშირიდან და სტუდენტთა თითო წარმომადგენელი ყოველი ფაკულტეტიდან;
- II საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობა: რექტორი, მისი ორი მადგილე და საბჭოს მდივანი;
- III სასწავლო-სამეცნიერო კომიტეტის შემადგენლობა: საბჭოს პრეზიდიუმი, ფაკულტეტის დეკანები და მდივნები;
- IV სამეურნეო-ადმინისტრაციული კომიტეტის შემადგენლობა: რექტორი, ორი მადგილე, ფაკულტეტის თითო წარმომადგენელი, სტუდენტთა თითო წარმომადგენელი ყოველი ფაკულტეტიდან.


ინსტიტუტის შენარჩუნებისთვის ბრძოლა გრძელდებოდა, რადგან იდგა საკითხი მისი თსუ-სთან შეერთების შესახებ, მაგრამ პოლიტექნიკური ინსტიტუტის საბჭო კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა შეერთებას. 1920 წლის 17 დეკემბერს სახალხო განათლების კომისიამ დაადგინა, რომ ინსტიტუტმა უნდა იფუნქციონიროს დამოუკიდებლად.

მალე თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მდგომარეობა გაუმჯობესდა. ინსტიტუტი შეივსო ახალი კადრებით – ახალი კვალიფიციური პედაგოგ-მასწავლებლებით, პროფესორებით;

პროფესორები: ანდრია რაზმაძე, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, შალვა ნუცუბიძე, გ. პოლიექტოვი;

დოცენტები: დ. გედევანიშვილი, დ. მელქისეთ-ბეკოვი, გიორგი ნიკოლაძე, გ. ნათაძე,

მასწავლებლები: ლ. ანდრონიკაშვილი, კ. ზავრიევი, მ. ნაპრონცევი, ი. ბირიუკოვი, ალექსანდრე დიდებულაძე, ანდრია ბენაშვილი.



ალექსანდრე დიდებულიძე (1882-1951).
ენერგეტიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი (1944), ტექნიკის
დამსახურებული მოღვაწე (1941). დაამთავრა
რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1911),
1916-17 წლებში სამეცნიერო-პედაგოგიურ
მუშაობას ეწეოდა ოდესაში, სადაც აქტიურად
მონაწილეობდა პოლიტექნიკური ინსტიტუ-
ტის შექმნაში. 1918 წელს დაბრუნდა
საქართველოში, იყო თბილისის უნივერსიტე-
ტის ფიზიკის კათედრის გამგე, ხელმძღვანე-
ლობდა ამ უნივერსიტეტში პოლიტექნიკური
ფაკულტეტის დამფუძნებელ კომისიას, იყო ამ
ფაკულტეტის პირველი დეკანი, საქართველოს
პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი
დამაარსებელი (1928), ამ ინსტიტუტის

თეორიული ელექტრონიკის კათედრის გამგე. 1923-25 წლებში პარალელურად
ხელმძღვანელობდა თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიას, 1930-45 წლებში
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის
ელექტრიფიკაციის კათედრას, 1948-51 წლებში კი - აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტს.
ავტორია მნიშვნელოვანი გამოგონებებისა (თბოელემენტების დამზადების ახალი
პრინციპი, სითბოს იზოთერმული აკუმულატორი და სხვ). მის მიერაა შექმნილი
უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები: „ელექტრო და მაგნიტომერია“ (1929),
„ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლები“.

1921 წელს ორდინალური პროფესორი ალექსანდრე დიდებულიძე იყო **ტფილისის
სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის** რექტორის მოვალეობის შემსრულებელი.
ამავე დროს საინჟინრო ფაკულტეტების (საინჟინრო-მექანიკური, სამშენებლო
ინჟინერიის, ქიმიურ-ინჟინერიის) დეკანი.

1921 წლის 16 აპრილს მან ინსტიტუტის საბჭოს მიმართა განცხადებით, რომ
გაეთავისუფლებინათ რექტორის მოვალეობის თანამდებობიდან, ასევე დეკანის
მოვალეობისაგან და რომ იგი აღარ მიიღებს მონაწილეობას რექტორის არჩევნებში, იმის
გამო, რომ ინსტიტუტში შექმნილია არაჯანსაღი დამოკიდებულება და რომ მის სახელს
ცუდად იყენებენ როგორც ინსტიტუტის შიგნით, ასევე მის გარეთ.

1922 წლის 22 იანვარს საინჟინრო ფაკულტეტების (საინჟინრო-მექანიკური,
სამშენებლო ინჟინერიის, ქიმიურ-ინჟინერიის) დეკანად არჩეული იქნა ანდრია
ბენაშვილი.



ანდრია ბენაშვილი (1868-1941).

ასტრონომ-გეოდეზისტი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, პროფესორი (1927), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი. დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი, მოსკოვის სამხედრო სასწავლებელი (1887), გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია ასტრონომ-გეოდეზისტის სპეციალობით (1898). 1916 წლიდან კორპუსის სარდალია. პარალელურად მოღვაწეობდა პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (1902-18) და სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში (1905-16).

1918 წელს ბრუნდება საქართველოში და აქტიურად მონაწილეობს ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში, სადაც იმავე

წელს აარსებს გეოდეზიისა და ასტრონომიის კათედრას. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსების შემდეგ მან ჩამოაყალიბა გეოდეზიისა და სამარკუზაიდერო საქმის კათედრა, რომლის უცვლელი ხელმძღვანელი გარდაცვალებამდე იყო.

ფასდაუდებელია ა. ბენაშვილის ღვაწლი ქართული ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნაში. მას ეკუთვნის „ტოპოგრაფია“ (1932), „სფერული ტრიგონომეტრია“ (1933), „სფერული ასტრონომია“ (1938) და სხვ.

1919-23 წლებში ა. ბენაშვილი შეთავსებით მუშაობდა თბილისის ფიზიკური ობსერვატორიის გამგედ.

ტფილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებელთა სიებში ვხვდებით მათემატიკის მასწავლებლების გვარებს:

1. კრამარენკო ბორის კონსტანტინეს-ძე – 1917 წელი;
2. რაზმაძე ანდრია მიხეილის-ძე – 1919 წ. 11 სექტემბერი, ორდინარული პროფესორი, რომელსაც 1920 წლის 2 ოქტომბერს დაევალა ალბათობის თეორიის კურსის წაკითხვა, 1920 წლის 12 ოქტომბერს – ინტეგრალური აღრიცხვის კურსის, 1921 წლის 14 იანვარს არჩეულია ორდინარული პროფესორის მოვალეობის შემსრულებლად მათემატიკის კათედრაზე. 1921 წლის 18 მარტს კი დაევალა მათემატიკა 1 და 2 კურსების წაკითხვა;
3. სალტიკოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე – არჩეულია ორდინალურ პროფესორად მათემატიკაში 1920-21 წლიდან;
4. ვიკბერგი ბორის აქსეს-ძე – უმცროსი ასისტენტი მათემატიკასა და თეორიულ მექანიკაში 1920-21 წლებში;

5. პოდგორნი ნიკოლოზ ილიას-ძე – უმცროსი ასისტენტი მათემატიკასა და თეორიულ მექანიკაში 1920 წელს;
6. მუსხელიშვილი (მუსხელოვი) ნიკოლოზ ივანეს-ძე – 1921 წლის 12 თებერვლიდან . დოცენტის მოვალეობის შემსრულებელია თეორიული მექანიკის კურსის წაკითხვისათვის, 1921 წლის თებერვალს კი დაევალა ლექციების წაკითხვა ანალიზურ გეომეტრიაში, 1921 წლის 24 აპრილს არჩეულია თეორიული მექანიკის კათედრის დოცენტად, ხოლო 1922 წლის 21 ოქტომბრიდან თეორიული მექანიკის კათედრის ორდინარული პროფესორია;
7. ხარაძე არჩილ კირილეს-ძე – 1921 წლის 17 ნოემბრიდან დოცენტის მოვალეობის შემსრულებელი უმაღლეს მათემატიკაში, ანალიზურ გეომეტრიაში;
8. თაქთაქიშვილი მიხეილ ივანეს-ძე – პროფესორი ა. რაზმაძის წარდგინებით. 1921 წლის 28 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი N43) მას ირჩევენ ელემენტარული კურსის ლექტორის დროებით შემსრულებლად, 1921 წლის 17 დეკემბრიდან დროებითი მოვალეობის შემსრულებელი ლექტორია ელემენტარულ მათემატიკაში 1922 წლის 10 თებერვლამდე;
9. ბერგი ნინა გენრიხის ასული – მოწვეულია უმცროსი ასისტენტის თანამდებობაზე მათემატიკის კათედრაზე, ხოლო შემდეგ 1920 წლის 20 აპრილს არჩეულია უმცროს ასისტენტად;
10. კაცმანოვა ი.ა. – მოწვეულია უმცროსი ასისტენტის თანამდებობაზე ანალიზურ გეომეტრიაში;
11. ტერ-მკრტიჩევი – მოწვეულია უმცროსი ასისტენტის მოვალეობის შემსრულებლად ანალიზურ გეომეტრიაში და თეორიულ მექანიკაში;
12. ლეიბენზონი ლეონიდ– 1919 წლის 15 დეკემბერს არჩეულია ორდინარულ პროფესორად თეორიული მექანიკის კათედრაზე და დაევალა თეორიული მექანიკისა და ანალიზური გეომეტრიის კურსის წაკითხვა (1920-1921წ.);
13. ხარაზოვი გ. – კითხულობდა მათემატიკურ ანალიზს 1919/20 წლებში;
14. ელიაშვილი ზ. – კითხულობდა მათემატიკურ ანალიზს 1920/21 წ;
15. ნიკოლაძე გიორგი – 1922 წელს ასისტენტია უმაღლესი მათემატიკის კათედრაზე;
16. სოკოლსკის დაევალა უმაღლესი ანალიზი 1-ის წაკითხვა.



ანდრია რაზმაძე – (1889-1929)

ერთ-ერთი დამაარსებელი და საქართველოში თანამედროვე მათემატიკური მეცნიერების ფუძემდებელი ანდრია რაზმაძე ორმოცი წლისა გარდაიცვალა, მაგრამ მაინც მოასწრო მსოფლიოში აღიარებული მათემატიკოსის სახელის მოხვეჭა.

თანამედროვე მათემატიკური მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი ანდრია მიხეილის ძე რაზმაძე დაიბადა 1889 წლის 12 აგვისტოს, სოფელ ჩხენიშში (სამტრედიის რაიონი), რკინიგზელის მიხეილ გაბრიელის ძე რაზმაძის ოჯახში. ანდრიას მამა ობერკონდუქტორად მუშაობდა და თავის წრეში

საკმაოდ განათლებულ პიროვნებად ითვლებოდა. დედა – ნინო გიორგის ასული ნოდია – წარმოშობით სოფელ ონტოფოდან (აბაშის რ-ნი) იყო. ოჯახში სამი შვილი იზრდებოდა – ანდრია, მისი ტყუპის ცალი და ელენე და მეორე და მარიამი.

1896 წელს ანდრია ხაშურის (სადაც ოჯახი საცხოვრებლად იყო გადასული) რკინიგზის ორკლასიან სასწავლებელში შეიყვანეს, სასწავლებელი ანდრიამ ფრიადზე დაამთავრა. 1901 წელს ანდრიას მამა გარდაეცვალა და ოჯახი საცხოვრებლად ჯერ ფოთში გადავიდა, ხოლო შემდეგ, 1902 წელს, ქუთაისში დასახლდა. 1902-1904 წწ. ა. რაზმაძე ქუთაისის ექვსკლასიან სასწავლებელში სწავლობდა. იგი მოწაფეობიდანვე იჩენდა სიბეჯითეს. ვადაზე ორი წლით ადრე დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი, სადაც გამოავლინა მათემატიკისადმი მიდრეკილება. სულ რამდენიმე თვეში ჩააბარა მე-6-7 კლასების საკმაოდ რთული კურსი (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია) უმაღლესი მათემატიკის ელემენტებით. ამის გამო, მათემატიკის მასწავლებელმა ურჩია, მოსკოვის უნივერსიტეტში შესულიყო მათემატიკის ფაკულტეტზე. ნიჭიერ ყმაწვილს კი, როგორც რეალური სასწავლებლის კურსდამთავრებულს, ამის უფლება არ ჰქონდა. იმ დროს რუსეთის იმპერიაში მხოლოდ ტარტუს უნივერსიტეტი იყო ისეთი უნივერსიტეტი, სადაც გიმნაზიების კურსდამთავრებულებთან ერთად რეალური სასწავლებლებისა და სემინარიების კურსდამთავრებულებსაც იღებდნენ. ანდრია რაზმაძეს კი სწორედ მოსკოვის უნივერსიტეტში სურდა სწავლა, მაგრამ მის სურვილს წინ ეღობებოდა ისიც, რომ ლათინურის კურსი არ ჰქონდა გავლილი. ამიტომ გადაწყვიტა, მოსკოვის უნივერსიტეტში თავიდან თავისუფალ მსმენელად ჩარიცხულიყო. ჩარიცხა კიდეც 1906 წელს, ხოლო 1907 წლის მაისში ლათინურის გამოცდაც ჩააბარა და იმავე წელს სტუდენტად გადაიყვანეს მათემატიკის სპეციალობაზე. გახდა მოსკოვის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი. სასწავლებელი 1910 წელს დაამთავრა. შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში მოსკოვის გუბერნიაში მუშაობდა მათემატიკის მასწავლებლად.

1917 წელს ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები და მაგისტრის წოდება მიიღო, იმავე წლის აპრილში - წმინდა მათემატიკის კათედრის პრივატ-დოცენტისა. აქვეყნებდა შრომებს საქართველოსა და საზღვარგარეთის (რუსეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ამერიკის) მთავარ ჟურნალებში და კონგრესის ანგარიშებში. აღსანიშნავია მისი მოხსენებები მათემატიკოსთა მსოფლიო კონგრესზე (ამერიკა, 1924 წელი), რუსეთის მათემატიკოსთა კონგრესზე (1926 წ.), მოსკოვის მათემატიკურ საზოგადოებაში (1928 წ.). ბოლო მოხსენება ეხებოდა ვარიაციათა აღრიცხვის გამოყენებას ზეციურ მექანიკაში. მის შრომებს დიდ შეფასებას აძლევენ უცხოელი მეცნიერები. ამერიკელი პროფესორი ბლისი, საფრანგეთის მათემატიკური საზოგადოების მაშინდელი პრეზიდენტი პოლ ლევი, რუსი ნ. კრილოვი, იტალიელი ლ. ტონელი და სხვები სთხოვეს პარიზში გადასვლას და იქ მუშაობას. მაგრამ მეცნიერი უარს ამბობს მომხიბვლელ წინადადებაზე, რადგან სურს, წინ წასწიოს ქართული მეცნიერება. 1925 წელს იგი პარიზში ბრწყინვალედ იცავს სადოქტორო დისერტაციას.

ანდრია რაზმაძე აქტიურად მონაწილეობდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში. ქართულ ენაზე პირველმა შეადგინა და გამოსცა მათემატიკის სახელმძღვანელოები. შექმნა ამ დარგის ქართული ტერმინოლოგია.

ანდრია რაზმაძე შესანიშნავი პედაგოგი და ლექტორი, ზეპირი მეცნიერული სიტყვის შეუდარებელი ოსტატი იყო. მისი ლექციები ფორმითა და შინაარსით მოხდენილად გამოკვეთილი, პედაგოგიური ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა. ისინი ყურადღებას იპყრობდნენ იმ აღმზრდელობითი ემოციური ზეგავლენითაც, რაც უნდა ახლდეს პედაგოგიურ მუშაობას, რომ მისი მიზანი და საგანი იყოს არა მარტო ახალგაზრდისათვის კონკრეტული ცოდნის მიწოდება, არამედ მისი მომზადება ცხოვრების სარბიელზე გამოსასვლელად. ა. რაზმაძის პედაგოგიური მუშაობა სწორედ ამგვარ მიზნებს ისახავდა და საუცხოოდაც აღწევდა მათ.

ა. რაზმაძეს ძალიან უყვარდა სტუდენტობა, ამასთან მკაცრი გამომცდელი იყო. არ უყვარდა ზარმაცი სტუდენტები. ის დაულაღავად და უკომპრომისოდ იბრძოდა იმისათვის, რომ სტუდენტობას ნამდვილი, სრული და უნაკლო ცოდნა მიეღო და ასეთსავე ცოდნას მოითხოვდა. მათთვის, ვისაც ბედნიერება ჰქონდა ყოფილიყო ა. რაზმაძის მოწაფე, დაუვიწყარი დარჩა მისი ნათელი შუქით გასხივოსნებული სახე. სტუდენტობა გრძნობდა ა. რაზმაძის სიყვარულს, კარგად ესმოდა, რომ სიმკაცრე და მომთხოვნელობა ამ სიყვარულის გამოხატულებაა და სიყვარულითვე პასუხობდა მკაცრ პროფესორს.

ანდრია რაზმაძე ყველგან და ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ იყო საქართველოს, თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენელი. მისი წინადადებით საქართველო მათემატიკოსთა საერთაშორისო კავშირის წევრი გახდა 1924 წელს მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე მაშინ, როცა ბევრი ცნობილი ქვეყანა ამ კავშირის წევრად ჩვენს შემდეგ მიიღეს.

1919 წელს პროფესორმა ა. რაზმაძემ, როგორც ფაკულტეტის დეკანმა, დიდი შრომა გასწია, რომ უნივერსიტეტში ფიზიკის ზოგადი კურსის მოსამზადებლად ოდესიდან მოეწვია პროფესორი ალექსანდრე დიდებულისძე, რომელმაც ივ. ჯავახიშვილთან, ა. რაზმაძესთან, ნ. მუსხელიშვილთან, ა. ბენაშვილთან, გ. ნიკოლაძესთან, ბ. ჭიჭინაძესთან

და სხვა გამოჩენილ მეცნიერებთან ერთად დიდი ძალისხმევა მოახდინა უნივერსიტეტში პოლიტექნიკური ფაკულტეტის დაარსების საქმეს. 1922 წელს ბატონი ალექსანდრე ამ ფაკულტეტის პირველი დეკანი გახლდათ. უმაღლეს მათემატიკაში ა. რაზმაძის მიერ წაკითხული პირველი ლექციით დაიწყო სასწავლო პროცესი პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე.

ეროვნულ არქივში მოვიძიე ანდრია რაზმაძის 1922 წლის 30 ივნისს დაწერილი განცხადება ტფილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორის სიმონ ავალიანისადმი, რომელშიც იგი თხოვს ზაფხულის თვეების ხელფასის წინასწარ მიცემას, ჯანმრთელობის მოწესრიგებისათვის აბასთუმანში გასამგზავრებლად. ეს თხოვნა დაკმაყოფილდა. მან აიღო ხელფასი ივნისისა და ივლისის თვეების 5 400 000 მანეთის ოდენობით.


1929 წელს ანდრია რაზმაძე უცხოეთში ახალი მივლინებისათვის ემზადებოდა. იმ წელს ბაკურიანში წავიდა ოჯახთან ერთად, სადაც მუცლის ტიფით გახდა ავად. მალე თბილისში წამოიყვანეს. იგი რკინიგზის სადგურში, ვაგონში გარდაიცვალა. დაასაფლავეს დიდუბის პანთეონში, 1989 წელს კი მშობლიური უნივერსიტეტის ეზოში გადაასვენეს.

ანდრია რაზმაძის გარდაცვალების გამო იტალიელი მათემატიკოსი ლ. ტონელი წერდა: „ანდრია რაზმაძის გარდაცვალება გლოვის მიზეზია არა მარტო თბილისის უნივერსიტეტისათვის, არამედ მთელი მეცნიერებისათვის. მისი სახით მათემატიკა კარგავს ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ მოღვაწეს, მგზნებარე მკვლევარს, მახვილ და საღ გონებას, ზენათელ სულს“.

ნიკოლოზ მუსხელიშვილი (1891-1976)

ჩვენი დროის ერთ-ერთმა უდიდესმა მათემატიკოსმა და მექანიკოსმა ნიკოლოზ მუსხელიშვილმა 85 წელი იცოცხლა და აქედან 60 წელზე მეტი დაუცხრომელ სამეცნიერო-პედაგოგიურ თუ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში გაატარა.

ნიკოლოზ მუსხელიშვილი დაიბადა 1891 წლის 16 თებერვალს თბილისში, სამხედრო ინჟინრის ივანე მუსხელიშვილის ოჯახში. პირველდაწყებითი აღზრდა ფართოდ განათლებული დედის დარია საგინაშვილის მეთვალყურეობით გაიარა. დედისაგან დაჰყვა ქართული, რუსული, უცხო ენების სიყვარული, ხოლო მათემატიკის ჩინებული მცოდნე მამისაგან - ამ საგნით გატაცება.




ნ. მუსხელიშვილმა საშუალო განათლება თბილისში მიიღო, 1909 წელს დაამთავრა მე-2 კლასიკური გიმნაზია, ამავე წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1914 წელს და იქვე დატოვეს მექანიკის ფაკულტეტზე პროფესორის წოდების მოსამზადებლად. ამავე დროს ნ. მუსხელიშვილმა დააწესა პედაგოგიური მოღვაწეობა - ასწავლიდა მაღლეს მათემატიკას და მექანიკას პეტროგრადის უნივერსიტეტსა და უმაღლეს ტექნიკურ სკოლებში. შემდეგ ეს მოღვაწეობა გააგრძელა თბილისშიც.

იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მისი პრეზიდენტი (1941-1972), შემდეგ საპატიო პრეზიდენტი (1972), მათემატიკისა და მექანიკის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი 1922 წლიდან, 1928 წლიდან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში, 1933-35 წლებში და 1941 წლიდან გარდაცვალებამდე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი.

ნ. მუსხელიშვილი ავტორია უმაღლესი სკოლებისათვის განკუთვნილი ფუნდამენტური სახელმძღვანელოებისა ანალიზურ გეომეტრიასა და თეორიულ მექანიკაში. მისი მონოგრაფია „დრეკადობის თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“ დიდი ხანია იქცა მეცნიერთა სამაგიდო წიგნად როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. იგი იყო მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ დააწესა ნ. მუსხელიშვილის სახელობის პრემია მათემატიკის, მექანიკისა და ფიზიკის დარგში (1977). ნიკო მუსხელიშვილის მრავალწლიანმა ნაყოფიერმა მოღვაწეობამ, ტფილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე,

მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ტექნიკური დარგის ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების აღზრდას, სწავლების აკადემიური დონის ამაღლებასა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მდიდარი ტრადიციების დამკვიდრებას.



გიორგი ნიკოლაძე

გიორგი ნიკოლაძე ორმოცდაორი წლისა წავიდა ცხოვრებიდან და იმდენის გაკეთება მოასწრო, რომ მისი ღვაწლი მუდამ გამოიწვევს გაოცებასა და აღტაცებას. იგი გიგანტურ ფიგურად აღიმართება: ინჟინერ-მეტალურგი, მკვლევარი-გეომეტრი, ტერმინოლოგი, გამომგონებელი, ტანმოვარჯიშე, მთამსვლელი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, სპორტსმენი და სპორტის მოღვაწე, გამორჩეული ტალანტის მქონე პედაგოგი, გამოჩენილი მეცნიერი, ალპინიზმის ფუძემდებელი. მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში მან ისეთი კვალი დატოვა, რომ თითოეული მათგანი ეყოფოდა მას უკვდავსაყოფად.

გიორგი ნიკოლაძე დაიბადა 1888 წლის 10 აგვისტოს სამტრედიის მახლობელ იმერულ სოფელში, დიდ ჯიხაიში ქართველი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის, ლიტერატურული კრიტიკოსის ნიკო ნიკოლაძის ოჯახში. დედამ – ოლღა გურამიშვილმა თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი დაამთავრა, შემდეგ ციურიხისა და ჟენევის უნივერსიტეტებიდან ზედმიწევნით განათლებული დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს. იგი სათავადაზნაურო გიმნაზიაში ასწავლიდა, მას იშვიათი პედაგოგიური ტალანტი გააჩნდა. მათ სამი შვილი – გიორგი, რუსუდანი და თამარი ჰყავდათ (გ. ნიკოლაძის უმცროსი და თამარი ნიკოლოზ მუსხელიშვილის პირველი მეუღლე იყო).



ნიკო ნიკოლაძე, თამარ ნიკოლაძე, ოლღა გურამიშვილი, გიორგი ნიკოლაძე, რუსუდან ნიკოლაძე

დედა გიორგის ყოველ დილით უსვამდა კითხვას: „გუშაგობ ერს?“, პასუხი ყოველთვის იყო: „მარად“. ოჯახი შვილებს ასეთი პატრიოტული გრძნობით ზრდიდა.

გიორგი ნიკოლაძემ თბილისის პირველი გიმნაზია დაამთავრა, რის შემდეგ შევიდა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ქიმიურ განყოფილებაზე, რომელიც 1913 წელს წარჩინებით დაამთავრა ქიმიკოს-ტექნოლოგისა და მეტალურგის სპეციალობით.




გიორგი ნიკოლაძე პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დამთავრების დღეს. 1913 წელი

1913–18 წლებში მუშაობდა დონეცის აუზის მეტალურგიულ ქარხნებში.

1918 წელს დაბრუნდა საქართველოში. დაიწყო ლექციების კითხვა უმაღლეს მათემატიკაში ტფილისის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (რომელიც დაარსდა 1917 წელს) 1928 წლამდე, 1928 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტექნიკური ფაკულტეტის ლექტორი, კითხულობდა ანალიზურ გეომეტრიასა და დიფერენციალურ გეომეტრიის კურსს.

1926–28 წლებში სამეცნიერო მივლინებით იყო საფრანგეთში, 1928 წელს დიდი წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სორბონში ე. კარტანის ხელმძღვანელობით თემაზე „გეომეტრიულ ნაკვთთა უწყვეტი სისტემების შესახებ“, რომელიც შემდეგ ცალკე წიგნად გამოვიდა.

ევროპაში ყოფნის დროს გიორგიმ მასზე მეტად უმცროს ქალბატონზე იქორწინა. 1928 წელს ცოლად ჟორჟეტა ღამბაშიძე შეირთო, გიორგი მამინ 40 წელს მიტანებული



ყოფილა. ისინი ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობდნენ, თუმცა დაოჯახება დიდი ხნის შემდეგ გადაწყვიტეს. ჟორჟეტა გიორგის ერთადერთი და უკანასკნელი სიყვარული ყოფილა. განსაკუთრებულად ჰყვარებიათ ერთმანეთი. ჯვარი პარიზში დაუწერიათ და საქორწინო მოგზაურობაში ველოსიპედებით წასულან. ერთად მხოლოდ რამდენიმე წელი იცხოვრეს, გიორგი მალე გარდაიცვალა.

ჟორჟეტა ღამბაშიძესა და გიორგი ნიკოლაძეს შვილი არ ჰყოლიათ. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ახალგაზრდა ქალბატონი პარიზში, მშობლებთან დაბრუნებულა და შემდეგ ინგლისელ ლორდზე გათხოვილა. ჟორჟეტას მამა პირველი ქართველი ბავშვთა ექიმი და ცემის ბავშვთა სახლის დამაარსებელი, ვახტანგ ღამბაშიძე იყო.

გიორგი ნიკოლაძე გარდაიცვალა 1931 წლის 5 თებერვალს. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

გიორგი ნიკოლაძე - მათემატიკოსი

ტექნიკურ სასწავლებელში მათემატიკის გეომეტრიული დარგების (ანალიზური და დიფერენციალური გეომეტრიები, მხაზველობითი გეომეტრია, ნომოგრაფია, ხაზვა და სხვა) შესწავლამ სრულიად გარკვეულად წარმართეს გიორგის მათემატიკური აზროვნება გეომეტრიული საკითხებისაკენ. ჯერ კიდევ 1911 წელს, სასტუდენტო პრაქტიკაზე ყოფნის დროს დონბასში, მას დაებადა საკუთარი გეომეტრიული იდეები და კითხვები, რომელთა ამოსახსნელად იგი დამაბულად მუშაობდა, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი სხვა საქმე ჰქონდა.

გიორგი ნიკოლაძის, როგორც მეცნიერ-გეომეტრის დახასიათებისათვის უნდა ითქვას, რომ იგი საკმაოდ მოწყვეტილი იყო ცნობილ მეცნიერთა ნაშრომებს და მისი კვლევები უმთავრესად იყო მისი პირადი ნააზრევი, ამით მან დამოუკიდებლად გაიარა ის გზა, რომელიც უკვე გაკვალული ჰქონდათ ამ მეცნიერებს. „ჩემი ცხოვრება უკვე აღმოჩენილის აღმოჩენას მოვანდომე“ – ამბობდა გიორგი ნიკოლაძე.

გეომეტრიით იგი დაინტერესდა ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლისას, როცა, ძირითადი კურსის პარალელურად, უსმენდა სამთო ინსტიტუტში პროფ. ე.ფიოდოროვის კურსს. ეს უკანასკნელიც არ იყო ძირითადი განათლებით მათემატიკოსი, მაგრამ გეომეტრიული იდეები გამოიყენა სპეციალურ ნაშრომებში კრისტალოგრაფიის შესახებ.

1920 წელს გ. ნიკოლაძემ უკვე ფრანგულ ენაზე გამოსცა ბროშურა „ანალიტიკური გეომეტრიის ერთი ახალი მეთოდის შესახებ“.

1920-21 წლებში, გ. ნიკოლაძე თავის ნაშრომებს გეომეტრიაში აგზავნის პიზის და გენუის უნივერსიტეტებში. მიღებული გამოხმაურებებიდან, შეიძლება შემდეგი ამონარიდების გამომზეურება:

პროფესორი ბერტინი (პიზა): „მეთოდი, რომელიც წარმოადგინეთ თქვენს ნაშრომში, არის თანამედროვე გეომეტრიის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური და მას გააჩნია ძალიან დიდი უპირატესობანი“.

პროფესორი ლორია (გენუა): „... მე აღფრთოვანებული ვარ თქვენი შემოთავაზებული წერტილების ახალი სახეების განხილვისათვის შემოყვანაში“.

1927 წლის იანვარში გ. ნიკოლაძემ დაიწყო სწავლა სორბონის უნივერსიტეტში, რაც გაგრძელდა წელიწადნახევარს, რომლის განმავლობაში მან დიდი სამუშაოები ჩაატარა: შეივსო ზოგადი მათემატიკური განათლება, გაეცნო უკანასკნელ ნაშრომებს თავის ძირითადი ინტერესების სფეროში (ალგებრული გეომეტრია) და შეასრულა დამოუკიდებელი კვლევები ამ მიმართულებით. მოისმინა ცნობილი ფრანგი მათემატიკოსის, სორბონის პროფესორის, შემდგომში პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრის ელი კარტანის რამდენიმე სალექციო კურსი, დაესწრო ამერიკელი მეცნიერის (გეომეტრის), ჰარვარდის პროფესორის ჯოელ კულიჯის სემინარებს, ამ სემინარებში თვით გიორგი ნიკოლაძემ ორი საყურადღებო მოხსენებაც გააკეთა. ესწრებოდა სემინარებს, რომლებიც მიჰყავდათ მსოფლიოში ცნობილ მეცნიერებს, პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრებს, ჟაკ ადამარს და შარლ პიკარს და სორბონის პროფესორს ანრი ლებეგს. ამავე პერიოდს ეკუთვნის მისი ნაშრომი, რომელშიც მან, განაზოგადა რა მე-19-20 საუკუნის იტალიელი გეომეტრის ეუჯენო ბერტინის თეორემა (წამოყენებული 1830წ.), შეიყვანა იგი თავის თეორემაში, როგორც კერძო შემთხვევა, რაზეც 1927 წლის 7 ნოემბერს მოახსენა პარიზის მეცნიერებათა აკადემიას. თეორემა, რომელიც ბერტინიმ დაადგინა 1880 წ., გ. ნიკოლაძის მიერ დამტკიცებული დებულების კერძო შემთხვევაა. აღნიშნული თეორემის დამტკიცებამ მიიპყრო ელი კარტანის ყურადღება. მათ შორის გაჩაღდა ვრცელი მიმოწერა, რომელმაც სტიმული მისცა გიორგის შემდგომ გამოკვლევებს არჩეული მიმართულებით. კარტანი დათანხმდა ამ გამოკვლევებისათვის ეხელმძღვანელა.

გ. ნიკოლაძე გაერთიანდა ელი კარტანის უმაღლესი გეომეტრიის კათედრის კოლექტივში, რომელიც 1924 წელს გაიხსნა სორბონაში.

ასეთმა ნაყოფიერმა მეცნიერულმა სამუშაოებმა მეტად წარმატებული შედეგი გამოიღეს და 1928 წლის 9 ივნისს გიორგი ნიკოლაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „გეომეტრიული სხეულების უწყვეტი სისტემების შესახებ, (მსაჯულთა კომისიაში შედიოდნენ კარტანი, შაზი და დანჟუა) და მიიღო დოქტორის ხარისხი უმაღლესი დახასიათებით.

მისი დისერტაცია ცალკე წიგნად გამოვიდა პარიზში, ხოლო დისერტაციაში შემავალი საკითხების ირგვლივ პარიზის აკადემიის „ანგარიშებში“ მისი ოთხი შრომა გამოქვეყნდა. ამავე საკითხებს მიუძღვნა მან მოხსენება მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე ბოლონიაში 1928 წელს.

გიორგი ნიკოლაძე - პედაგოგი

ახლა გ. ნიკოლაძე უკვე მნიშვნელოვან მათემატიკურ ძალას წარმოადგენდა საქართველოში და, რა საკვირველია, ეს ძალა მაშინვე იქნა გამოყენებული საჭირო მიმართულებით. გიორგიმ დაიწყო უნივერსიტეტში მათემატიკური დისციპლინების კითხვა, როგორც პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე, ისე მათემატიკოსებისა და ფიზიკოსებისათვის. 1924 წელსვე მისი რედაქტორობით გამოვიდა ერთ-ერთი პირველი მათემატიკური სახელმძღვანელო ქართულ ენაზე - „ინტეგრალური აღრიცხვის კურსი“, რომელშიც მისი ლექციების ნაწილიც შევიდა. გიორგი მონაწილეობას იღებს ყოველგვარ მათემატიკურ საქმიანობასა და ღონისძიებაში, რომელიც ამ დროს ტარდება. ა. რაზმაძესთან, ნ. მუსხელიშვილთან, ა. ხარაძესთან ერთად გ. ნიკოლაძე ნერგავს იმ ხანად უმაღლეს მათემატიკას საქართველოში. ამ ოთხეულში გ. ნიკოლაძეს თავისი განუმეორებელი ადგილი უკავია, როგორც სპეციალობით, ისე მოღვაწეობის ხასიათით. „არავის ჩვენგანს, - ამბობს პროფ. ა. ხარაძე, - ისე არ შეემლო თეორიასა და პრაქტიკის ერთიანობის შეგრძნობა და განხორციელება, როგორც ამ ადამიანს, გატაცებულ ინჟინერს და მათემატიკოსს“.

თეორიისა და პრაქტიკის ამ ერთიანობის გრძნობა გიორგის პედაგოგიურ მოღვაწეობაშიაც გამოაჩნდა და უკვე ამავე წლებში, გარდა ზემოთ აღნიშნული წმინდა მათემატიკური კურსებისა, იგი კითხულობდა როგორც წმინდა საინჟინრო კურსებს (მეტალურგიას), ისე მოსახლვრე ხასიათის დისციპლინებს: მხაზველობით გეომეტრიას და ნომოგრაფიას. მხაზველობითი გეომეტრიის კურსს გიორგი კითხულობს 1923-26 წწ. განმავლობაში. ეს კურსი 1926 წელს პოლიტექნიკური ფაკულტეტის სტუდენტთა ტექნიკურმა წრემ გამოსცა ცალკე წიგნად.

იმავე წლებში გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ჩვენში იწყება მუშაობა გამოყენებითი გეომეტრიის მეორე დარგში - ნომოგრაფიაში. გ. ნიკოლაძის კვლევითი ინტერესები ახლოს იდგა ნომოგრაფიასთან, და ხედავდა რა, გარდა ამისა, ნომოგრაფიის უდიდეს მნიშვნელობას ტექნიკისათვის, გიორგი მის მხურვალე პროპაგანდას ეწეოდა. სამწუხაროდ, მას არ დასცალდა საკუთარი გამოკვლევებისა და სახელმძღვანელოს დაწერა ნომოგრაფიაში, მან მხოლოდ რედაქცია გაუკეთა ამ დარგის ერთ ქართულად თარგმნილ წიგნს. სამაგიეროდ, მისმა მოწაფემ, ინჟინერმა და ალპინისტმა არჩილ ბენაშვილმა, ქართულ ენაზე ნომოგრაფიის რამდენიმე სახელმძღვანელო შექმნა, რომელთაგან ერთი მიუძღვნა თავის „ნომოგრაფიის პირველი და საუკეთესო მასწავლებლის, პროფ. გ. ნიკოლაძის ხსოვნას“. საზოგადოდ, ამ წლებში დაედო ჩვენში საფუძველი კადრების ჩამოყალიბებასაც გამოყენებითი გეომეტრიის ორთავე აღნიშნულ დარგში.

1928 წლის ოქტომბრიდან სამშობლოში დაბრუნებული გიორგი თავისი ჩვეული ენერგიით და უფრო გაღრმავებული ცოდნით განაგრძობს მოღვაწეობას უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. კითხულობს წმინდა გეომეტრიულ სავალდებულო კურსებს. მან შექმნა დიფერენციალური გეომეტრიის პირველი ქართული სახელმძღვანელო. 1928 წელს დაარსდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ტფილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის შეერთებით), რომელშიც გიორგი ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა გაერთიანებულ საგნობრივ კომისიას უმაღლეს მათემატიკაში, თეორიულ მექანიკასა და მხაზველობით გეომეტრიაში (რომლებიც შემდეგ ცალკე კათედრებად დაიყო), ასევე კითხულობდა ლექციებს სამივე საგანში როგორც ქართულ, ასევე რუსულ ჯგუფებში. თბილისის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა პირველი გეომეტრიული სემინარი, რომელშიც მონაწილეობდა ოციოდე ახალგაზრდა სტუდენტი და მეცნიერი მუშაკი, რომლებიც შემდგომ ჩვენი ქვეყნის წამყვან ძალებს წარმოადგენდნენ მათემატიკაში, მექანიკაში, ასტრონომიაში, ფიზიკაში...

გიორგის სიკვდილამდე არ შეუწყვეტია მათემატიკის სწავლა და კვლევა... მას არ დასცალდა დაემთავრებინა თავისი მათემატიკური შრომები, მაგრამ სხვები, აფასებენ რა მის შრომებს, აგრძელებენ მათ...

გ. ნიკოლაძე მუდამ იქნება დაფასებული, როგორც მოღვაწე და როგორც ადამიანი. ამის საწინდარია ის დიდი პატივისცემა და სიყვარული, რომელსაც გიორგი იმსახურებს არა მარტო იმათში, ვინც მას პირადად იცნობდა, არამედ იმათშიც, ვისაც ის არასდროს არ უნახავს.

გიორგი ნიკოლაძე – მეტალურგი

გიორგი ნიკოლაძე თბილისის პირველი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ქიმიურ განყოფილებაზე, მეტალურგიული განხრით. საანკეტო კითხვას – რა სპეციალობას აირჩევდით, თავისუფლად რომ შეგეძლოთ არჩევად, მიუგო: **წმინდა მათემატიკა** ყველაზე საინტერესო სპეციალობაა, მაგრამ ჩემი მომავალი ამოცანებისათვის უფრო მნიშვნელოვანია ის სპეციალობა, რომელიც მე ავირჩიეო, აირჩია კი – მეტალურგია, მართალია აირჩია მამის, ნიკო ნიკოლაძის რჩევით, შეიძლება ხათრით, რადგან ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებით, „ქვეყნის აღორძინებას გამოყენებითი მეცნიერება და საინჟინრო კადრები სჭირდებაო“.

გიორგი ნიკოლაძემ 1913 წელს წარჩინებულის დიპლომით დაამთავრა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი ქიმიკოსი–ტექნოლოგისა და მეტალურგიის სპეციალობით. 1913-16 წლებში მუშაობდა ტულა–კოსაია–გორას თუჯის, იუზოვკის (დონეცკი) მეტალურგიულ ქარხნებში, 1916–18 წლებში ენაკიევოს მეტალურგიულ ქარხანაში, გამოჩენილ მეტალურგებთან მიხეილ კურაკოსა და ივანე ბარდინთან, მათთან ერთად მონაწილეობდა დონეცკის აუზის მეტალურგიული ქარხნების რეკონსტრუქციაში.

მიხეილ კურაკოს „სამხრეთ რუსეთის მეტალურგების მეფეს“ უწოდებდნენ. მეტალურგები დიდ ღირსებად თვლიდნენ „კურაკოს სამშოში“ მოხვედრას, რადგან ის ამ სამშოში იზიდავდა კვალიფიციურ მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, თავიანთ საქმეში – მეტალურგიაში ფანატიკურად შეყვარებულ ადამიანებს. ამ სამშოში მან მიიწვია ქართველი მეტალურგები გიორგი ნიკოლაძე და ირაკლი ლორთქიფანიძე, რომლებმაც თავიანთი კარიერა დაიწყეს იუზოვკაში მხაზველის თანამდებობით. გ. ნიკოლაძის მიერ გამოგონებულმა ეფექტურმა კვამლამრიდის პროექტმა მიიქცია მ. კურაკოს ყურადღება, იგი მიხვდა, რომ მის წინაშეა ზრდასრული, ჩამოყალიბებული, ნიჭიერი ინჟინერ–მეტალურგი და მალე გადაიყვანა ბრძმედების მორიგე ინჟინრად.

ზოგჯერ ბრძმედების მართვა სტიქიასთან ადამიანის ბრძოლას ემსგავსებოდა, არ შეიძლება ეს სამუშაო არ შეყვარებოდა ჯან–ღონით სავსე ისეთ ახალგაზრდა ინჟინერს, როგორც გიორგი ნიკოლაძე იყო. მსგავსი რამ ადამიანისაგან მოითხოვდა ბევრ ჯაფას, მოთმინებას და, რაც მთავარია, სიყვარულსა და ინტერესს. გიორგის ჰქონდა ყველა ეს თვისება. როცა ბრძმედები მწყობრიდან გამოდიოდა, გიორგი მთელ დღეებსა და უძილო ღამეებს ატარებდა ღუმელებთან. დონეცკის აუზში მუშაობისას გ. ნიკოლაძე საბრძმედე საქმის დიდი სპეციალისტი გახდა.

ი. ბარდინი გიორგი ნიკოლაძის შესახებ წერდა: „იგი დღე-ღამეში 13 საათს უთმობდა სამუშაოს, არ უყვარდა ზარმაცები, მაგრამ არასოდეს უწევდა ხმას და არ აყენებდა

შეურაცხყოფას მუშებს, არ ეხებოდა თანამშრომლის თავმოყვარეობას. მუშები მას „სულში ჩასაძვრენ“ ადამიანს უწოდებდნენ, მაგრამ ნაკლად უთვლიდნენ იმას, რომ იგი ერთადერთი მეტალურგი იყო, რომელსაც არ უყვარდა გინება“.

1915 წლის ბოლოს გიორგი ნიკოლაძე ავად გახდა მძიმე პნევმონიით – მეტალურგების პროფესიული დაავადებით. ექიმებმა ძლივს გამოსტაცეს იგი სიკვდილს. ერთი წელი აღარ გაკარებია ლისიჩანსკის ქიმიური ქარხნის საცეცხლე ღუმელებს. 1916 წლის ბოლოს ენაკიევოს პეტროვსკის მეტალურგიული ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ივანე ბარდინმა გიორგი ნიკოლაძე საბრძმედუ ცეხის უფროსად გადაიყვანა.

1918 წელს გიორგი ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა. იგი მიიწვიეს მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში ინჟინერ-მეტალურგად.

თბილისში, დიდუბეში მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით აშენდა ფეროშენადნობთა სადნობი საცდელი ღუმელი – ფერომანგანუმის ორი ქარხანა. იგი ამუშავდა 1930 წლის 21 ივნისს. აქ ჩატარებული ცდების შედეგები საფუძვლად დაედო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაობას.

1931 წლის 20 იანვარს დიდუბის საცდელ ქარხანას გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით სადნობი ექსპერიმენტების ახალი სერია უნდა წამოეწყო. ეს ღამის პირველ საათზე იყო დაგეგმილი. შეკვეთილმა ავტომობილმა რატომღაც არ მიაკითხა და რკინიგზის სადგურთან ტრამვაით მივიდა, იქიდან ქარხნამდე ფეხით წავიდა, ცივი ქარიშხალი იყო, ყინვები იდგა, იმ საბედისწერო ღამის ორ საათზე გიორგიმ ხან ჩქარი ნაბიჯით, ხან სირბილით დაფარა ოთხი კილომეტრი მანძილი. 20 საათი გაატარა გახურებულ ღუმელთან შენობაში, რომელშიც შეუწყვეტლივ გამჭოლი ქარი ქროდა, სახლში მთლად გაცივებული დაბრუნდა, მეორე დღეს სიცხიანი მივიდა ქარხანაში. მესამე დღეს კვლავ სიცხიანი მივიდა, 23 იანვარს ლოგინად ჩავარდა, ფილტვების ორმხრივი კრუპოზული ანთება განუვითარდა. უზომოდ დაღლილი ორგანიზმი ვეღარ მოერია ავადმყოფობას და 5 თებერვალს გიორგი ნიკოლაძე გარდაიცვალა.



გიორგი ნიკოლაძისთანა კაცი „ჩვეულებრივად“ ვერ მოკვდებოდა – საქმეს უნდა შეწირვოდა. „ქართული ფოლადი, ელექტროარითმომეტრი და წირთა უწყვეტი თანაწყობები“ – გიორგი ნიკოლაძის უკანასკნელი სიტყვები ყოფილა.

გიორგი ნიკოლაძე დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშია დაკრძალული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დგას მისი ბიუსტი, მისი სახელი აქვს მიკუთვნებული თბილისის ერთერთ ქუჩას, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას, პამირის ერთერთ უმაღლეს მწვერვალს.

რუსი მწერალი ოლეგ იზმაილოვი თავის წიგნში „დონეცკელი სასწაულმოქმედები და ორიგინალები“ მწუხარებით აღნიშნავს, რომ „გიორგი ნიკოლაძის ბედი აღტაცების ღირსია, მაგრამ მისი სახელი არაა დონეცკის რუკაზე, ძალიან სამწუხაროა...“

„გიორგი ნიკოლაძის სახელი ჰქვია პამირის ერთერთ პიკს, ქუჩებს საქართველოში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას, მაგრამ არც დონეცკში, არც ენაკიევოში არაფერია იმ დიდებული ადამიანის მოსაგონარი და პატივსაცემი, რომელმაც ამდენი რამ გააკეთა ჩვენი მხარის მრეწველობისა თუ სპორტის განვითარებისათვის, ათასგზის სამწუხაროა...“

გიორგი ნიკოლაძე – ალპინისტი



მთების „დაპყრობის“ პირველი მცდელობები გიორგი ნიკოლაძეს ჯერ კიდევ 1901 წელს ჰქონდა, როდესაც ნიკო ნიკოლაძის ოჯახი იმყოფებოდა შვეიცარიაში, კურორტ მორჟნ-ლებენში, ცამეტი წლის „ალპინისტმა“ გიორგი ნიკოლაძემ დებთან რუსუდანთან და თამართან ერთად მოაწყო ასვლა ტეტ დე ჟეანზე (2235 მ), „გიორგი უკვე ემზადებოდა ალპინისტობისათვის“ – წერდა მისი დედა ოლღა გურამიშვილი.

ქართული და, საზოგადოდ, საბჭოთა სპორტული ალპინიზმის ისტორია ოფიციალურად 1923 წლიდან იწყება, როცა პროფესორების გიორგი ნიკოლაძისა და

ალექსანდრე დიდებულის ხელმძღვანელობით აგვისტო-სექტემბერში ზედიზედ ორი ექსპედიცია მოეწყო მცინვარწვერზე, რომლებშიც 26 წევრი მონაწილეობდა.

გიორგი ნიკოლაძის 18 კაციანმა ჯგუფმა 5043 მეტრის მწვერვალს 28 აგვისტოს მიაღწია. მცინვარწვერზე პირველი ასვლის გამარჯვებულ მთასვლელთა შორის ხუთი ქალი იყო: მარო ტყავაძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, მარი ბეჟანიშვილი, ლიტეხი ჩხეიძე, ელენე ლორთქიფანიძე. „აღსრულდა მრავალი წლის ოცნება, მრავალი წლის შრომა და მზადება ბრწყინვალედ დაგვირგვინდა, პირველმა ქართულმა ექსპედიციამ მცინვარწვერზე 29 გრადუსიან ყინვაში თავის მიზანს – მწვერვალს – მიაღწია. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა“ – წერდა შემდეგ გიორგი ნიკოლაძე. ეს იყო პირველი საბჭოთა მასობრივი ასვლა მცინვარწვერზე.



გიორგი ნიკოლაძე და მარო ტყავაძე

გადის ერთი წელი და გიორგი აწყობს დიდ სამთო ლაშქრობას მისივე თაოსნობით დაარსებულ საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ალპინიზმისა და ტურიზმის სექციისათვის. მარშრუტი: ზემო იმერეთი – სამხრეთ ოსეთი – ჩრდილოეთ ოსეთი – მამისონის ზეკარი – რაჭა. მიზანი იალბუზზე ასასვლელად მზადება. კიდევ ერთი წლის შემდეგ ასევე გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით განხორციელდა პირველი საბჭოური ასვლა კავკასიონის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე.

ამ ასვლებით საფუძველი ჩაეყარა ქართული სპორტული ალპინიზმის განვითარებას, რომელიც უფრო და უფრო დიდ სიმაღლეებს აღწევდა. გამოიკვეთა ალპინიზმის მასობრიობა, ორგანიზებულობა, წინასწარი თეორიული და პრაქტიკული მომზადება დასაპყრობი მწვერვალის შტურმისათვის.

1923 წლის 3 სექტემბერს კიდევ ერთი ჯგუფი ავიდა მცინვარზე 4500 მეტრზე, ჯგუფს ა. დიდებულის ხელმძღვანელობდა.

თანდათან შეიქმნა ალპინისტების მომზადების სისტემა დამწყები ალპინისტებიდან მაღალი კლასის სპორტსმენებამდე, ასევე დაიწყო სხვადასხვა კატეგორიის ინსტრუქტორ-მეთოდისტების მომზადება.

1954 წელს ალპინისტების პირველი ქართული ჯგუფი ავიდა შახდარის ქედზე, რომელიც პამირის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს, მარქსის პიკზე (6726 მ) ახალი გზით, ენგელსის პიკზე (6510 მ) სამხრეთის კედლით და სამ უსახელო მწვერვალზე, რომელთაც უწოდეს გიორგი ნიკოლაძის პიკი (6340 მ), თეთნულდის მსხვერპლთა პიკი (6078) და თბილისის უნივერსიტეტის პიკი (6127 მ). ისე, რომ პამირის ერთერთი უმაღლესი მწვერვალი გიორგი ნიკოლაძის სახელობისაა.

1978 წელს სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ალპინისტთა ექსპედიციამ მეტად რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში პამირის სამხრეთ-დასავლეთში მოაწყო ასვლა სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლით გიორგი ნიკოლაძის პიკზე. ქართველმა

მთამსვლელებმა მწვერვალზე დატოვეს ბარათი: „დიდ მეცნიერსა და სპორტსმენს ქართველი მთამსვლელებისაგან, დაბადების 90–ე წლისთავის აღსანიშნავად“.

გიორგი ნიკოლაძე – ტანმოვარჯიშე




სპორტი იყო გიორგი ნიკოლაძის ადრეული გატაცება და შემდეგ მთელი ცხოვრების ხალისი და სიხარული. ჯერ კიდევ ბავშვმა ფოთში ისწავლა ცურვა, ტანვარჯიშს კი თბილისის გიმნაზიაში ეზიარა და მოსწავლეთა ასპარეზობების შესამჩნევი ფიგურა გახდა. მას ჩინებული მასწავლებელი ჰყავდა – ჩეხი ანტონ ლუკაში.

გიორგის დები თამარი და რუსუდანი კარგი ტანმოვარჯიშეები ყოფილან. გიორგის განსაკუთრებით ეხერხებოდა ღერძზე, ორძელზე, რგოლებზე ვარჯიში. იმ პერიოდში ყველა გულშემატკივრობდა „სოკოლს“, ასე ეწოდებოდა სპორტულ-პატრიოტულ მოძრაობას, რომელიც ჩეხეთში დაიბადა და მთელ სლავურ ქვეყნებში გავრცელდა. 1906 წელს დების რჩევით გიორგი საზოგადოება „სოკოლის“ წევრი გახდა და რუსეთში მალე გაითქვა სახელი, როგორც საუკეთესო ტანმოვარჯიშემ. მან 1911 წელს ეს საზოგადოება ასახელა სოფიაში.

1912 წელს გიორგი და თამარ ნიკოლაძეები პრადის მეექვსე სრულიად „სოკოლის“ შეკრებაში მონაწილეობენ. გიორგი ტანვარჯიშულ იარაღებზე ასპარეზობს, დიდ დიპლომს და პირველ ჯილდოს ისაკუთრებს, განსაკუთრებით ბადროსა და შუბის ტყორცნით გამოირჩევა. ექვსჭიდისათვის (მრავალჭიდი) იგი ცაცხვის ტოტებისაგან მოწნული გვირგვინისა და პირველი ხარისხის დიპლომის მფლობელი ხდება.

ჯერ კიდევ სტუდენტმა გ. ნიკოლაძემ 1913 წელს პეტერბურგში შექმნა ე.წ. კავკასიური „მესამე სოკოლი“ ამიერკავკასიის სტუდენტთათვის.

1913 წელსვე დონბასში დააარსა სატანვარჯიშო საზოგადოება. ხოლო 1918 წელს პირველი სატანვარჯიშო საზოგადოება „შევარდენი“ თბილისში, მისი ხელმძღვანელობით გამოიცა პირველი ქართული სახელმძღვანელო ტანვარჯიშში, მის მიერვეა შექმნილი ტერმინი „ტანვარჯიში“.



იუზოვკაში მას მისი თანამემამულე ირაკლი ლორთქიფანიძეც ამოუდგა მხარში, ისინი ავარჯიშებდნენ ჯგუფებს დღეში ორ-ორი საათის განმავლობაში კვირაში სამჯერ თითოეული. ენაკიევოში ჩამოაყალიბა ასეთივე საზოგადოება და თავის მოწაფეებს კვირაში ერთხელ ჩააკითხავდა ხოლმე ქარხნის ძველისძველი „ფიატი“.

სპორტული აღნაგობის ახალგაზრდა ვაჟკაცის, გიორგი ნიკოლაძის ფოტო, რომელიც „შევარდენის“ ერთ-ერთ შეკრებაზე ბადროს ტყორცნის დროსაა გადაღებული, საფოსტო ბარათებად გავრცელებულა ჩეხეთში.

ოციანი წლების დამდეგს რუსეთიდან დაბრუნებული გიორგი ნიკოლაძე პროფესიულ მუშაობასთან ერთად აგრძელებს სპორტულ მოღვაწეობას, თამარ ნიკოლაძესთან და გიორგი ეგნატაშვილთან ერთად სათავეში ჩაუდგა პოპულარულ „შევარდენს“. ისინი რეგულარულად ამეცადინებდნენ სხვადასხვა ჯგუფებს და საშუალო სკოლებშიც ატარებდნენ ტანვარჯიშის გაკვეთილებს.


გიორგი ნიკოლაძის მოწაფე, ცნობილი ექიმი და მთამსვლელი ი. ასლანიშვილი იგონებს: მარტო შესახედაობითაც იწვევდა საგანგებო პატივისცემას. იშვიათი აღნაგობის, მძლეოსნის ტიპის, ტანმალაღი, თითქოს მთლიანად ბრინჯაოსაგან იყო ჩამოსხმული. მისი მკაფიოდ გამოკვეთილი კუნთები, ყოველი მოძრაობა ანტიკური სილამაზით გამოირჩეოდა. თვალწინ მიდგას ღერძზე, ორძელზე, რგოლებზე და სხვა იარაღებზე გიორგის ლაღი ვარჯიში, ცურვა და წყალში ხტომა, სოფლად ლელობურთი, ჭადრაკით მისი გატაცება, როცა ზაფხულობით, სადმე ჩრდილში ათ კაცს ეთამაშებოდა დაფაზე დაუხედავად“.

გიორგი ნიკოლაძე ფოტოგრაფიითაც ყოფილა გატაცებული.

გიორგი ნიკოლაძე – ტერმინოლოგი

ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნის საშვილიშვილო საქმეში გიორგი ნიკოლაძის ღვაწლი პროფესიული ენათმეცნიერის ღვაწლად წარმოჩინდება.

წერტილი, წრფე, ლოგარითმი, წნევა, დენი, ნათურა, ხრახნი, ღუნი, წნები, ძრავი, სინჯარა, ჯვარედინი, ელქეტი, ტანვარჯიში, ორლერძი, ხტომი, ცაცო, ქნევი, მთამსვლელობა, მსაჯი – ეს სიტყვები ქართულ ენაში რამდენიმე ათეული წლის წინათ დამკვიდრდა და, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ მათი ავტორი გიორგი ნიკოლაძეა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ მეცნიერული ტერმინოლოგიას გ. ნიკოლაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ყოველი ხალხის კულტურაში. მას დიდი წვლილი მიუძღვის „რუსულ–ქართული ტექნიკური ლექსიკონის“ და „მათემატიკური ტერმინების ლექსიკონის (რუსულ–ქართული, ქართულ–რუსული)“ შედგენაში.




გიორგი ნიკოლაძე – ელექტრული არითმომეტრის გამომგონებელი

პარიზში ყოფნის დროს გიორგი ნიკოლაძემ გამომთვლელი მანქანების საერთაშორისო გამოფენა დაათვალიერა. ყველა მათგანი მექანიკური იყო და მხოლოდ ორ მოქმედებას აკეთებდა – შეკრებას და გამოკლებას. ამ გამოფენის დათვალიერების შემდეგ გაუმჟღავნებია თავისი გამოგონება. მან მსოფლიოში პირველმა გამოიგონა ელექტროგამომთვლელი მანქანა, რომელიც მარტივ პრინციპზე იყო აგებული და ოთხივე მათემატიკურ მოქმედებას ასრულებდა, იყო იაფი და უცვეთი. 1927 წლის მიწურულში გ.

ნიკოლაძემ პარიზის მეცნიერებათა აკადემიას გადასცა თავისი გამოგონების აღწერილობა. ამ გამოგონებით ძალიან დაინტერესდა მორის დოკანი, გამოყენებითი მათემატიკის, საანგარიშო მანქანების, მათემატიკის ისტორიის ფრანგი სპეციალისტი, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. ქართველი სტუმრის საანგარიშო მანქანის აღწერილობა მან მოახსენა აკადემიის 1928 წლის 16 იანვრის სხდომას, თან დასძინა, რომ გ. ნიკოლაძის გამოგონება დააჩქარებს ოპერაციათა წარმოებას, დაჯდება გაცილებით იაფი და გვიანაც გაცვდებაო, ყველაზე ღირსშესანიშნავად მიგვაჩნია წმინდა ელექტრული მოწყობილობა, რომელიც ძალზე მახვილგონივრულადაა გამოყენებული, ვისურვებდი, რომ ისეთი კონსტრუქტორი გამონახულიყო, რომელიც ხორცს შეასხამდა გ. ნიკოლაძის შესანიშნავ პროექტს.

გ. ნიკოლაძემ მაშინვე მიიღო არაერთი ევროპული და ამერიკული ფირმის წინადადება მისი გამოგონების ფართო მასშტაბით გამოყენების თაობაზე, მაგრამ ყველას უარი უთხრა და მხოლოდ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აპირებდა ამ სამუშაოს გაგრძელებას.

საქართველოში დაბრუნებულმა გ. ნიკოლაძემ, მართლაც, ააგო თავისი საანგარიშო მანქანის მოდელი. მისი გარდაცვალების შემდეგ მოდელი გადაუციათ მოსკოვის პოლიტექნიკური მუზეუმისათვის, იგი 1936 წლამდე გამოფენილი ყოფილა მოსკოვის ერთერთ უნივერსიტეტში, 1936 წელს იგი დაკარგულა და სამწუხაროდ, ამ გამოგონებიდან მხოლოდ პარიზისეული თეორიული აღწერილობა დარჩა.



ასეთია მოკლედ ამ უნივერსალური ადამიანის ხანმოკლე ცხოვრების ისტორია. გიორგი ნიკოლაძის ცხოვრება აღვწერე ასე დაწვრილებით მისი დაბადების 125 წლისთავთან დაკავშირებით.



არჩილ ხარამბე (1895-1976). მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი არჩილ კირილეს ძე ხარამბე ერთ-ერთი ყველაზე პატივსაგები ქართველი მათემატიკოსი იყო, ეს იმ გარემოებამაც განაპირობა, რომ იგი ანდრია რაზმადესა, ნიკოლოზ მუსხელიშვილსა და გიორგი ნიკოლაძესთან ერთად სისხლხორცეულად შედიოდა სახელოვან ოთხეულში, რომელმაც საქართველოში უმაღლესი მათემატიკური განათლების პიონერობა და ქართული მათემატიკური სკოლისათვის საძირკვლის ჩაყრა იტვირთა.

ა. ხარამბე დაიბადა 1895 წლის 21 აპრილს ხარაგაულის რაიონის სოფელ წიფაში. დაწყებითი განათლება მოლითის სასოფლო სკოლაში მიიღო, საშუალო - თბილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1912 წელს. იმავე წელს მოსკოვის უნივერსიტეტის

ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მათემატიკური განყოფილების სტუდენტი გახდა, რომელიც დაამთავრა პირველი ხარისხის დიპლომით (1917). იგი იყო მეცნიერი და პედაგოგი, მათემატიკური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი და ორგანიზატორი საქართველოში, პროფესორი (1932), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1944).

მუშაობდა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში (1917-18), 1917 წლის 17 ნოემბრიდან იყო ტფილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში დოცენტის (1922-30), პროფესორისა და კათედრის გამგის თანამდებობაზე (1930 წლიდან). სხვადასხვა დროს მუშაობდა კათედრის გამგედ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. იყო თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი (1935-38), პრორექტორი სასწავლო დარგში (1938-44), თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი (1947-52), საქართველოს მათემატიკური საზოგადოების პრეზიდენტი (1970-75).

ა. ხარამბის ძირითადი მეცნიერული გამოკვლევები ეხება ალგებრის, გეომეტრიისა და მათემატიკური ანალიზის საკითხებს. იგი ავტორია როგორც საინჟინრო სპეციალობის, ისე ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დაწერილი მრავალი სახელმძღვანელოსი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის მათემატიკური ტერმინოლოგიის დადგენის და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა პროპაგანდის საქმეში.

მოგვყავს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტების სტუდენტთა ჯგუფების საგამოცდო უწყისები სასიქადულო მათემატიკოსების ხელმოწერებით;

Арх № 21 По описи № *20*

ЦДОР *№ 21* 192 *з.*

М. Н. П. *Арх № 55*

ДЕЛО *Канцелярия*

ТИФЛИССКАГО ПОЛИТЕХНИЧЕСКАГО ИНСТИТУТА

П Е Р Е Ч И С К А

СЪ ЗАКАВКАЗСКИМЪ КОМИССАРИАТОМЪ.

*Список преподавательского персонала и др.
имеющихся при Государственном
Политехническом институте*

Началось *16* *ИЮНЯ* 19*27* года
Кончилось *21* *Декабря* 19*28* года

На *24* листахъ

27

Т.П.И.

ИНЖЕНЕРНО-МЕХАНИЧЕСКИЙ И ИНЖЕНЕРНО-СТРОИТ.

ФАКУЛЬТЕТИ

Весенняя сес

ЭКЗАМЕНАЦИОННЫЙ ЛИСТ

1920-21 уч

ПО ВЫСШЕМУ АНАЛИЗУ II / ~~Интегр. уравн.~~ /

*Истор. Механика и
Дифференц. Ур-ния*

20 М а я 1921 г.

№ по спр.	Фамилия, имя и отч.	Зачет практич. упр.	Б а л л		Примеч.	Подпис
			1-я п.	2-я Общия		
1.	<u>Боженко, Вас. С.</u>		<i>удовлет</i>			<i>А.Т.</i>
2.	Мелик-Гуссейнов, С.И.					
3.	Ткемаладзе, Т.Е.	<i>Истор</i>	<i>всегома удов удовлетворит.</i>			<i>Т.Е.</i>
4.	<u>Гулгулян, Т.Н.</u>					<i>Т.Н.</i>

Д е к а н

Лей Селизон

С е к р е т а р ь

Селизон

ГИДРО-МЕХАНИЧЕСКИЙ ФАКУЛЬТЕТЪ

16 #6
V

ЭКЗАМЕНАЦИОННЫЙ ЛИСТЪ ПО АНАЛИТИЧЕСКОЙ
ГЕОМЕТРИИ НА ПЛОСКОСТИ.

I 2.

2 М а я 1920 г.

№	Фамилія, имя и отчество	Зачѣтъ практ. упр.	Б а л л ъ	Подпись
1.	<u>Шурь, Нина Сиг.</u>	<i>Г. Сидоров</i>	<i>в. у.</i>	
2.	<u>Гольдштейнъ, Н. Ис.</u>	<i>Г. Сидоров</i>	<i>у.</i>	
3.	<u>Косверіевъ, Леон. Серг.</u>	<i>Г. Сидоров</i>		
4.	<u>Дебаганъ, В. Шам.</u>	<i>Г. Сидоров</i>		
5.	<u>Кальманъ, В. Сам.</u>			
6.	<u>Мегаворянъ, Леонъ Ор.</u>	<i>Г. Сидоров</i>	<i>в. у.</i>	
7.	<u>Гонтмахеръ, Тов. Герш.</u>	<i>Н. Берг</i>	<i>у.</i>	
8.	<u>Татянцъ, Ар. Ам.</u>	<i>Н. Берг</i>	<i>у.</i>	
9.	<u>Сараджевъ, Арм.</u>	<i>Н. Берг</i>	<i>в. у.</i>	
10.	<u>Ивановъ, Вас. Ив.</u>	<i>Н. Берг</i>	<i>у.</i>	
11.	<u>Узунгикоянъ, М. М.</u>	<i>Г. Сидоров</i>	<i>у.</i>	
12.	<u>Борковицкь, Дав. Хайм.</u>	<i>Н. Берг</i>	<i>у.</i>	
13.	<u>Мостковъ, И. Л.</u>	<i>Н. Берг</i>	<i>в. у.</i>	
14.	<u>Федорова, М. М.</u>	<i>Н. Берг</i>	<i>в. у.</i>	
15.	<u>Вогатько, Н. С.</u>	<i>Н. Берг</i>	<i>в. у.</i>	
16.	<u>Хухіанидзе, Михаилъ В.</u>			
17.	<u>Али-Заде, Камбай</u>	<i>Н. Берг</i>	<i>у.</i>	
18.	<u>Ремелинъ, Е. Ге.</u>	<i>Г. Сидоров</i>		
19.	<u>Масхулія Ив.</u>	<i>Н. Берг</i>	<i>у.</i>	
20.	<u>Захтедзе, Ник.</u>	<i>Н. Берг</i>	<i>у.</i>	
21.	<u>Саркисянцъ, Ас. Кер.</u>	<i>Г. Сидоров</i>	<i>у.</i>	

83

СПИСОК

Список Инженерных Факультетов Т.Г.П.И. имени В.И. ЛЕНИНА,
состоявшихся на экзамен по ВЫСШЕМУ АНАЛИЗУ 24 МАЯ 1923г.

Фамилия, имя и отчество	Б а л	ЭКЗАМЕНАТОР
ЯКОВ, ВАСИЛ ПАВЛОВИЧ	Дифер. иссл. 11. 49.	Секр. иссл. 11. 49.
БЕЛАНЯНИЦ, АРУСЯК АМОЯКОВНА	Матр. иссл. 11. 49.	4.
ВОСТОМЯНИЦ, ГРИГОРИИ ДАНИЛОВ.	Матр. иссл. 11. 49.	3.
МАВАРИАНИ, ВИДЗИНА ЕЛИЗВАР.	Матр. иссл. 11. 49.	не явился
БАРДАЗАРЯН, АШОТ ИВАНОВИЧ	Дифер. иссл. 11. 49.	Секр. иссл. 11. 49.
БЕР-АНТОНЯНИЦ, АЛЕКСАНДР ОГАНОВ	Матр. иссл. 11. 49.	Секр. иссл. 11. 49.
БЕЛАНОВ, МИХАИЛ НИКОЛАЕВИЧ	Матр. иссл. 11. 49.	Секр. иссл. 11. 49.
БЕЛЛАДЗЕ, ШАЛВА НИКОЛАЕВИЧ	Матр. иссл. 11. 49.	Секр. иссл. 11. 49.
БЕЛЛЯН, БАГДАСАР САРКИСОВИЧ	Дифер. иссл. 11. 49.	Секр. иссл. 11. 49.
БЕТРОСЯНИЦ, МАРТИР ПАВЛОВИЧ	Дифер. иссл. 11. 49.	Секр. иссл. 11. 49.
БЕРЗАВЪ, АРИФ	Матр. иссл. 11. 49.	Секр. иссл. 11. 49.
БЕР-ГРИГОРЬЯНИЦ, СЕРГЕ ЯКОВЛЕВИЧ	Матр. иссл. 11. 49.	Секр. иссл. 11. 49.
БЕРТУНОВ, ПАЗЕЛ ПАВЛОВИЧ	Дифер. иссл. 11. 49.	Секр. иссл. 11. 49.
БЕРАВЛЕВ, СЕРГЕИ АЛЕКСАНДРОВИЧ	Матр. иссл. 11. 49.	Секр. иссл. 11. 49.
БЕЧЕК, АЛЕКСАНДР АМБАРЦУМОВИЧ	Матр. иссл. 11. 49.	Секр. иссл. 11. 49.
БРОСС, ЭВАЛД ФРИДРИХОВИЧ	Дифер. иссл. 11. 49.	Секр. иссл. 11. 49.
БЕЛШИВИЛИ, НИКОЛАИ МИНИЧ.	Матр. иссл. 11. 49.	не явился

ЧЛЕН ПРЕЗИДИУМА

Секретарь Ф-та *С. Шевченко*

Завед. Студен. Делами Т.Г.П.И. *А. Галактионов*

А. Армаз

Доц. ХАРАДЗЕ. 103

С П И С О К

студентов Инженерных ф-в ТПИ имени В.И.ЛЕНИНА записавшихся на экзамен по АНАЛИТИЧЕСКОМУ ГЕОМЕТРИИ на 14 Марта 1924 года.

ФАМИЛИЯ, ИМЯ И ОТЧЕСТВО.	Б А Л Л.	ЭКЗАМЕНАТОР.
ЛЕШВЕРГ, Макс. Изр. I к. I ч.		
ДАНДУРОВ, Месроп Иван, Стр. III к. / усл. / III ч.		
ЩОГОЛЬ, Абр. Львов. I к. I ч.		
ДАВИД ИШ, Меер Сарк. мех. II к. / усл. / I ч.		
СИВАЦЕВ, Вас. Федор. мех. II к. / усл. / I часть	сдано	А. Харадзе
БЫЧКОВ, Серг. Алекс. I к. II ч.		
ТАВРОВСКИ, Яков Цуд. I к. II часть	сдано	А. Харадзе
ТАМРИЯ, Трдат Иван. I к. I ч.		
ВАРТАНОВ, Георг. Из. мех. II к. / усл. / II ч.	не сдано	А. Харадзе
КАРАЦЕВ, Влад. Андр. мех. II к. / усл. / II ч.		
МАИСУРАДЗЕ, Алекс. Вас. I к. I ч.	сдано	А. Харадзе
СЛУЧАК, Марк. Яковл. I к. II ч.		
ПЕТРОВ, Ник. Мих. I к. I ч.	сдано	А. Харадзе
ВИВИАНОВИЦА, Пина Вас. Горн. II к. / усл. / I и II ч.		
АГАМАЛИЯ, Ляс. Тигр. I к. I ч.		
ШОТНИКОВ, Конст. Григ. Горн. II к. / усл. / I ч.		
НЕКЕШО, Евг. Петр. I к. II ч.		
УСТАНОВ, Ник. Павл. мех. II к. / усл. / II ч.		
ГВЕЛЕСИАНИ, Елизбар Конст. мех. I к. II ч.		
МАТЕВОСЯН, Гар. Вас. Стр. II к. / усл. / II ч.		

на обороте

გთავაზობთ ინფორმაციას თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიერ გამოშვებული სპეციალისტების შესახებ ინსტიტუტის გახსნიდან 1927-28 სასწავლო წლის ჩათვლით:

ფაკულტეტი	სასოფლო-სამეურნეო		ჰიდრო-მექ		სამშენებლო	
	დაამთავრა	დაიცვა დიპლ.	დაამთავრა	დაიცვა დიპლ.	დაამთავრა	დაიცვა დიპლ.
1922-23	37	25	4	3	–	–
1923-24	57	17			8	–
1924-25	32	3	28	2	5	–
1925-26	98	5	2	2	–	2
1926-27	81	2	11	2	–	10
1927-28	29	–	–	2	1	2
სულ	334	53	47	11	14	5

1928 წლის 15 იანვარს შედგა ინსტიტუტის დაარსების 10 წლისთავი. ეს საზეიმო სხდომა ბოლო აკორდი იყო ინსტიტუტის ცხოვრებაში. მას შემდეგ, რაც დადასტურდა, რომ საქართველოში რუსული პოლიტექნიკური ინსტიტუტი დამოუკიდებლად არსებობას ვეღარ აგრძელებდა, გადაწყდა მისი შეერთება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტთან, რაც განხორციელდა 1928 წლის 16 იანვარს.

მათ ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პოლიტექნიკური ფაკულტეტი
1922-1928 წლებში

ტფილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (1917-28) მრავლად სწავლობდნენ ქართველები, მაგრამ ახალგაზრდობის საკმაო რაოდენობა მაინც მოკლებული იყო უმაღლესი ტექნიკური განათლების მიღების შესაძლებლობას, რადგან ამ ინსტიტუტში სწავლა მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, რომელიც ბევრმა არ იცოდა.

1921 წლის მაისში განათლების სახალხო კომისარმა წინადადება მისცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაეხსნა ტექნიკური ინსტიტუტი, მაგრამ შემდეგ გადაწყდა გახსნილიყო არა ინსტიტუტი, არამედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან სატექნიკო ფაკულტეტი, რაც საზეიმოდ განხორციელდა **1922 წლის 16 იანვარს**. მას **პოლიტექნიკური ფაკულტეტი** უწოდეს. მის პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი. პოლიტექნიკური ფაკულტეტის დეკანად აირჩიეს პროფესორი ა. დიდებულიძე, მდივნად - დოც. ივ. თულაშვილი.

1922 წლის 16 იანვარს პოლიტექნიკური ფაკულტეტის სტუდენტებს პირველი ლექცია მათემატიკაში ანდრია რაზმაძემ წაუკითხა. ამით დაიწყო სასწავლო პროცესი ქართული საინჟინრო კადრების მოსამზადებლად.



პოლიტექნიკური ფაკულტეტი 1922 წელს ასე გამოიყურებოდა:

სამშენებლო განყოფილება:

1. არქიტექტურული სპეციალობა;
2. ჰიდროტექნიკური სპეციალობა;
3. საგზაო სპეციალობა.

მექანიკური განყოფილება:

1. ელექტრომექანიკური სპეციალობა;
2. ჰიდრომექანიკური სპეციალობა;
3. თერმომექანიკური სპეციალობა.

სამთო-მადნო განყოფილება:

1. სამთო სპეციალობა;

2. მეტალურგიული სპეციალობა;
3. ქიმიურ-ტექნოლოგიური სპეციალობა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის სტუდენტთა კონტიგენტი არსებობის 6 წლის განმავლობაში (1922-1928) ნაჩვენებია ცხრილში:

სასწავლო წელი	კურსი	განყოფილება			
		მექანიკური	სამშენებლო	სამთო-ქიმია	სულ
1922/23	I	49	27	35	111
	II	124	46	72	242
	სულ	173	73	107	353
1923/24	I	66	12	32	110
	II	54	10	27	91
	III	25	18	19	62
	სულ	145	40	78	263
1924/25	I	146	62	86	294
	II	54	16	28	98
	III	36	14	25	75
	IV				
	სულ	236	92	139	467
1925/26	I	302	110	141	553
	II	97	31	97	225
	III	28	9	17	54
	IV	19	14	17	50
	V				
	სულ	446	164	272	882
1926/27	I	257	116	104	477
	II	147	48	63	258
	III	54	24	11	89
	IV	20	16	23	59
	V	11	5	9	25
	სულ	489	209	210	908
1927/28	I	282	154	84	520
	II	182	71	74	327
	III	93	50	36	179
	IV	39	23	18	80
	V	25	12	24	61
	სულ	621	310	236	1167

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა 1923-1928 წლებში ასეთია:

სასწავლო წელი	პროფესორი	დოცენტი	ლექტორი	ასისტენტი	პრეპარატორი და ასისტენტი	სულ
1923/24	4	6	9	5	-	24
1924/25	4	6	15	8	1	34
1925/26	6	7	19	8	2	42
1926/27	8	6	26	10	5	55
1927/28	7	6	34	12	6	65

ფაკულტეტის გახსნის პირველი დღიდანვე მათემატიკის თეორიულ კურსს ასწავლიდა მათემატიკური სკოლის ფუძემდებელი ოთხეული: ანდრია რაზმაძე, გიორგი ნიკოლაძე - მხაზველობითი გეომეტრია, უმაღლესი მათემატიკა, ნიკო მუსხელიშვილი - თეორიული მექანიკა, არჩილ ხარაძე - უმაღლესი მათემატიკა. საასისტენტო საქმეს ასრულებდნენ ანდრია ბეგიაშვილი - უმაღლესი მათემატიკა, მექანიკა, ივანე გვარიშვილი - მექანიკა, უფრო გვიან ლევან გოკიელი - უმაღლესი მათემატიკა, ნინა ბერგი.



მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მოგვეყვანა საარქივო მასალები: სტუდენტთა მოსწრება მათემატიკურ საგნებში სასიქადულო მათემატიკოსების ხელმოწერებით:

№

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გამოცდების ფურცელი

ფაკულტეტი: *მ. შოთაშვილი* საგანი: *მათემატიკა*

10, *4*, 19 *22*

სახელი და გვარი	ნიშანი	შენიშვნა
<i>ფ. ლავროვი</i>	<i>ფ. ლავროვი</i>	<i>მათ. ფაქ. გვ. 54</i>
<i>ს. მამიაშვილი</i>	<i>ს. მამიაშვილი</i>	<i>მათ. ფაქ. გვ. 120</i>
<i>მ. მამიაშვილი</i>	<i>მ. მამიაშვილი</i>	<i>მათ. ფაქ. გვ. 87</i>
<i>მ. შოთაშვილი</i>		

ტფილისის სასლავოფიფო უნივერსიტეტი

გამოცდების ფურცელი

25

კლასი:

საგანი:

19

სახელი და გვარი	ნიშანი	შენიშვნა
✓ <i>Vanxakidze Apucila</i>	<i>უძობლ.</i>	<i>დუგოფ. უც.</i>
✓ <i>Danduyova Sulaver</i>	<i>ბ. უძობლ.</i>	<i>დუგოფ. უც.</i>
✓ <i>გედოჭიხი ნაბელი</i>	<i>უძობლ.</i>	<i>დუგოფ. უც.</i>
✓ <i>მუხრანისი კონცხ.</i>	<i>უძობლ.</i>	
✓ <i>ვარსკლავი ვაჟი ან</i>	<i>უძობლ.</i>	
✓ <i>ვარსკლავი გედოჭ.</i>	<i>უძობლ.</i>	
✓ <i>ვარსკლავი მუთი</i>	<i>ბ. უძობლ.</i>	
✓ <i>მერ-სურგული სერო</i>	<i>ბ. უძობლ.</i>	
✓ <i>სურგული მადლიანი</i>	<i>უძობლ.</i>	
<u><i>გონიშვილი</i></u>	<i>გარემო მოძღვრება</i>	<i>უც.</i>
<hr/> <i>კანაშვილი</i>	<i>ბ. უძობლ.</i>	<i>დუგოფ. უც.</i>
<i>გობიონი</i>	<i>უძობლ.</i>	<i>დუგოფ. უც.</i>

პროფესორი *A. Tsiklauri*

13 ნოემბერ 1922

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გამოცდების ფურცელი

ფაკულტეტი: საგანი: 19

ნომერი	სახელი და გვარი	ნიშანი	შენიშვნა
1	30/5-224. <u>მ. ი. თხიზაძე</u>		
2	<u>სეზარე ბუჩქაძე</u>		
3	ქაიხანიძე ბიბილა	ხაჯი	II ნაწ. გამგ. 138
4	ბაიყაშვილი მიხეილ	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 96
5	ბაიყაშვილი ავთანდილ	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 88
6	ბუცხუაძე ბიბილა	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 167
7	ბუცხუაძე ნიკოლოზ	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 42
8	ვახაშვილი გივი	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 68
9	ვახაშვილი გივი	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 3
10	ვახაშვილი გივი	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 138
11	ვახაშვილი ილია	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 70
12	ვახაშვილი ილია	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 120
13	ვახაშვილი ბიბილა	ხაჯი	I და II ნაწ. გამგ. 138
14	სახლიანი ნიკოლოზ	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 117
15	იბრაჟიმიძე	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 61
16	ბუცხუაძე ბიბილა	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 138
17	ბუცხუაძე გივი	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 138
18	ხაჯიანი გივი	ხაჯი	I და II ნაწ. გამგ. 165
19	ვახაშვილი გივი	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 138
20	ვახაშვილი გივი	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 138
21	ვახაშვილი ვახტანგ	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 138
22	ვახაშვილი ვახტანგ	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 138
23	ვახაშვილი გივი	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 138
24	ვახაშვილი გივი	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 138
25	ვახაშვილი გივი	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 138
26	ვახაშვილი გივი	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 138
27	ვახაშვილი გივი	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 138
28	ვახაშვილი გივი	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 138
29	ვახაშვილი გივი	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 138
30	ვახაშვილი გივი	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 138
31	ვახაშვილი გივი	ხაჯი	I ნაწ. გამგ. 138

NOME რიგ- რიგობით	სახელი და გვარი	ნიშანი	შენიშვნა
32	<u>8/VI-225. წარმოებულნი ვაჟთა მსამბაქვეთი სეკსი</u>		
33	<u>ქაქუცხი შაქრითი რამდენი ავჯი.</u>		
34			
35	ახაჯაყი ჯეჯა	ფხ. სეპ.	
36	ჩხიჯაყი ჯეჯა	ფხ. სეპ.	
37			იხარ სარაჯი
38			
39	<u>8/VI-225. სმაყმეზი ვანჯეჯა</u>		
40			
41	ქაქუცხი აძი	ფხ. სეპ.	უმაჯი აჯეჯა II
42	ქაქუცხი ჯეჯა	ფხ. სეპ.	ქაქუცხი აჯეჯა.
43	ქაქუცხი მია	ფხ. სეპ.	ქაქუცხი აჯეჯა II
44	ქაქუცხი მექაქეჯი	ფხ. სეპ.	უმაჯი აჯეჯა II
45			
46			
47			
48			იხარ სარაჯი
49			
50			
51			
52			
53			
54			
55			
56			
57			
58			
59			
60			
61			
62			
63			
64			
65			
66			

გამომცემლის ხელმოწერა

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გამოცდების ფურცელი

ფაკულტეტი: მ. მ. ცხელიძის სახელი სახელმწიფო უნივერსიტეტი
 საგანი: მათემატიკა
 ,, I ,, იანვარი 1922 წ.

რიგობა	სახელი და გვარი	ნიშანი	შენიშვნა
1	ქიქოძე თეოდორე, მამუკაძე	მ. ხ. ს. 22	I და II ნაწ. კარგად 133.9
2	ყაჩაჩიანი თეოდორე მ.	მ. ხ. ს. 22	I და II ნაწ. კარგად 133.1
3	შაქარაიძე ვახტანგ	მ. ხ. ს. 22	I და II ნაწ. კარგად 133.18
4	ქვიციანი თეოდორე	მ. ხ. ს. 22	I და II ნაწ. კარგად 133.1
5	ყაჩაჩიანი თეოდორე	მ. ხ. ს. 22	I და II ნაწ. კარგად 133.1
6	ბერიძე თეოდორე, მამუკაძე	მ. ხ. ს. 22	I და II ნაწ. კარგად 133.67
7	მუხომბე მხეიძე	ს. გ.	I ნაწ. კარგად 83.9
8	ბახუცაძე თეოდორე	მ. ხ. ს. 22	I და II ნაწ. კარგად 133.1
9	ბახუცაძე თეოდორე	მ. ხ. ს. 22	I ნაწ. კარგად 133.40
10	ბახუცაძე თეოდორე	ს. გ.	I ნაწ. კარგად 133.59
11			ნ. ბახუცაძე
12			
13			
51			
15			
16			
17			
18			
19			
20			
21			
22			
23			
24			
25			
26			
27			
28			
29			
30			
31			

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გამოცდების ფურცელი

ფაკულტეტი: *ქართული ენისა და ლიტერატურის* სპეციალ.: *ქართული ენა*
 „*25*“, *18* 19*26*

სახელი და გვარი	ნიშანი	შენიშვნა
1 <i>ყარბაღი, ნიკოლოზ</i>	<i>საქმ.</i>	<i>1 ნაბ. ქარგ. კაი. გვ. 138</i>
2 <i>მთელიანი, გიორგი</i>	<i>17</i> <i>ყარ. საქმ.</i>	<i>1 ნაბ. ქარგ. კაი. გვ. 87</i>
3 <i>იბრაჰიმიძე, სიმონ</i>	<i>18</i> <i>საქმ.</i>	<i>1 ნაბ. ქარგ. კაი. გვ. 61</i>
4 <i>ბერიძე, ლეონტი</i>	<i>16</i>	
5 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>ყარ. საქმ.</i>	<i>2-2 ნაბ. ქარგ. კაი. გვ. 3</i>
6 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>ყარ. საქმ.</i>	<i>2-2 ნაბ. ქარგ. კაი. გვ. 6</i>
<i>საგვ. მათემატიკის კურსის მათემატიკა</i>		
<i>საგვ. მათემატიკის კურსის მათემატიკა</i>		
11 <i>ვახუშტი, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	<i>ქარგ. კაი. გვ. 62</i>
12 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	<i>II ნაბ. ქარგ. კაი. გვ. 3</i>
13 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	<i>I ნაბ. ქარგ. კაი. გვ. 3</i>
14 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	
15 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	
16 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	
17 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	
18 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	
19 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	
20 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	
21 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	
22 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	
23 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	
24 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	
25 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	
26 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	
27 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	
28 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	
29 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	
30 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	
31 <i>ბერიძე, გიორგი</i>	<i>საგვ.</i>	

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გამოცდების ფურცელი

16

ფაკულტეტი: მათემატიკის

საკვანი: მნიშვნ. ფუნქციები

11/11, 11/11

1922

სახელი და გვარი	ნიშანი	შენიშვნა
11/11 1912		
1. თ. თ. თ. თ. თ.	მ.ლ.	I ნაბ. გ.ფ. 1. გ. 54
2. თ. თ. თ. თ. თ.	ს.ბ.	" " გ.ფ. 1. გ. 82
3. ჯ. თ. თ. თ. თ.	მ.ლ. ს.ბ.	" " გ.ფ. 1. გ. 180
4. მ. თ. თ. თ. თ.	მ.ლ. ს.ბ.	" " გ.ფ. 1. გ. 159
5. მ. თ. თ. თ. თ.	მ.ლ. ს.ბ.	" " გ.ფ. 1. გ. 79
6. მ. თ. თ. თ. თ.	მ.ლ. ს.ბ.	" " გ.ფ. 1. გ. 144
11/11 1912		
9. მ. თ. თ. თ. თ.	მ.ლ. ს.ბ.	I ნაბ. გ.ფ. 1. გ. 1
10. მ. თ. თ. თ. თ.	ს.ბ.	" " გ.ფ. 1. გ. 100
11. მ. თ. თ. თ. თ.	მ.ლ. ს.ბ.	" " გ.ფ. 1. გ. 180
12. მ. თ. თ. თ. თ.	მ.ლ. ს.ბ.	" " გ.ფ. 1. გ. 100
13. მ. თ. თ. თ. თ.	მ.ლ. ს.ბ.	" " გ.ფ. 1. გ. 161
14. მ. თ. თ. თ. თ.	მ.ლ. ს.ბ.	" " გ.ფ. 1. გ. 147
15. მ. თ. თ. თ. თ.	ს.ბ.	" " გ.ფ. 1. გ. 67
16. მ. თ. თ. თ. თ.	ს.ბ.	" " გ.ფ. 1. გ. 12
17. მ. თ. თ. თ. თ.	ს.ბ.	" " გ.ფ. 1. გ. 48
18. მ. თ. თ. თ. თ.	ს.ბ.	" " გ.ფ. 1. გ. 150
19. მ. თ. თ. თ. თ.	მ.ლ. ს.ბ.	" " გ.ფ. 1. გ. 128
6. მ. თ. თ. თ. თ.		

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გამოცდების ფურცელი 20

ფაკულტეტი: ბიოლ.

საგანი: ბიოლოგია

„30“ „აპრი“

1923 წ.

რეგონი	სახელი და გვარი	ნიშანი	შენიშვნა
1	მკნაბდი მისილე ლივანოსიძე		
2	მაცათა შვილი ვახუშტი ნიკოლოზიძე	100	გამოცდის შედეგად
3	შუვაკიძე ილია ივანეს ძე		
4	სურსუვაძე ფილავიან ალექსანდრეს ძე		
5	ნაღაჩიშვილი იოსებ ივანეს ძე	6	გ. ს. ა. (100) ნ. შ. გამოცდის შედეგად 100
6	ლისაბერიძე ალექსანდრე ანდრეს ძე	2	გ. ს. ა. (100) ნ. შ. გამოცდის შედეგად
7			
8			
9			
10			
11			
12			
13			
14			
15			
16			
17			
18			
19			
20			
21			
22			
23			
24			
25			
26			
27			
28			
29			
30			

ი. ბერიძე

სახელმწიფო უნივერსიტეტი
 ბიოლოგიის ფაკულტეტი
 15-16
 1923

ბაქალავრთა II ნაწილი 1924წ.)
(სტატისტიკური ვაჭყიშინა)

1	რასდრისი ბრძანება	19 ¹ / _{II} 246	საბავშვო	სტატ. 1/29
2	ბაქალავრთა ივანე	5 ¹ / _{III} 246	"	"
3	ბიბლიოთეკის დავით	5 ¹ / _{III} "	"	"
4	ბიბლიოთეკის ივანე	12 ¹ / _{III} "	"	"
5	საბავშვო ვაჭყიშინა	" "	"	"
6	ბაქალავრთა ივანე	" "	"	"
7	სტატისტიკური ვაჭყიშინა	" "	"	"
8	ბიბლიოთეკის ივანე	" "	"	"
9	ბაქალავრთა ვაჭყიშინა	" "	"	"
10	ბაქალავრთა ვაჭყიშინა	5 ¹ / _{III} "	"	"
11	ბაქალავრთა ვაჭყიშინა	" "	"	"

სტატისტიკური ბაქალავრთა ვაჭყიშინა
 ვაჭყიშინა ვაჭყიშინა

როდესაც ამ მასალას ვამუშავებდი, ვგრძნობდი იმ სითბოს, რომელსაც ეს საამაყო მასწავლებლები იჩენდნენ სტუდენტების მიმართ, სტუდენტებისა, რომლებიც ბედნიერები იყვნენ, რომ წილად ხვდათ ასეთი ბუმბერაზი ლექტორების ლექციების მოსმენა. ამ სითბოს მაჩვენებელია ის ჩანაწერები, რომელსაც გთავაზობთ:

ქადაბ ვაილი. 1
ბარბაქ შაქვალი
საქონის
საქონი აქს.
საანს 1922 წ. 18/1
ქადაბ ბერიძე.
გაგრძელდა 1922.1.23.28.


ქადაბიანი ცეცხლი 2
ბარბაქ შაქვალი
საქონის
საქონი აქს.
საანს 1922 წ. 18/1
ქადაბ ბერიძე.
გაგრძელდა 1922.1.23.28.

4
ლაშქარიანი ცეცხლი. 3
საქონის
საქონი აქს.
საანს 1922 წ. 18/1
ქადაბ ბერიძე.
გაგრძელდა 1922.1.23.28.

ფაკულტეტის ცხოვრებაში დადგა უსიამოვნო პერიოდი, რომელიც გამოწვეული იყო პოლიტექნიკური ფაკულტეტის რეორგანიზაციისა და უნივერსიტეტში შტატების შემცირებით. ეს უსიამოვნება განსაკუთრებით გაძლიერდა 1924-1925 წლიდან. თუმცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე მსურველ სტუდენტთა რაოდენობამ იმატა. 1924 წელს სტუდენტთა რაოდენობა იყო 263, 1925 წლის ოქტომბრისათვის მან 459-ს მიაღწია, ხოლო კიდევ ერთ წელიწადში ეს თითქმის გაორკეცდა და 882 შეადგინა. 1926 წელს კიდევ ერთხელ დაისვა ფაკულტეტის რეორგანიზაციის საკითხი, ბრძოლა არსებობისათვის გრძელდებოდა.

1928 წლის 28 ივნისს ფართო მასშტაბით აღინიშნა უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა მიერ სადიპლომო პროექტების დაცვა - 10-მა კურსდამთავრებულმა დაიცვა დიპლომი.

პირველ ინჟინერთა გამოშვებით დამთავრდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის დამოუკიდებელი საქმიანობა. 1928/29 სასწავლო წლიდან იგი შეუერთდა ტფილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს და მასთან ერთად შექმნა ერთიანი, ლენინის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი რუსული და ქართული სექტორებით.



ლენინის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი

ტფილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის შეერთებით 1928 წლის 1 ოქტომბერს შეიქმნა ლენინის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი. პირველ რექტორად დაინიშნა დავით კანდელაკი, ხოლო ინსტიტუტის პრორექტორად სასწავლო ნაწილში - ნიკოლოზ მუსხელიშვილი.

სამშენებლო ფაკულტეტი:

1. გზებისა და ხიდების განყოფილება;
2. ჰიდროტექნიკური განყოფილება;
3. სამოქალაქო მშენებლობის განყოფილება;
4. სატრანსპორტო-საექსპლუატაციო განყოფილება.

მექანიკური ფაკულტეტი:

1. მექანიკური განყოფილება;
2. ელექტრო-მექანიკური განყოფილება.

სამთო-ქიმიური ფაკულტეტი:

1. სამთო განყოფილება;
2. ქიმიურ-ტექნოლოგიური განყოფილება.

გახსნისას პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მუშაობდა 20 პროფესორი, 19 დოცენტი, 104 ლექტორი, 38 ასისტენტი.

ახლადშექმნილ პოლიტექნიკურ ინსტიტუტს არ ჰქონდა ცალკე მათემატიკის და თეორიული მექანიკის კათედრები. იყო სხვადასხვა საგნობრივი კომისიები. ერთ-ერთ ასეთ კომისიაში - მათემატიკურ საგნობრივ კომისიაში გაერთიანდა უმაღლესი მათემატიკა, თეორიული მექანიკა და მხაზველობითი გეომეტრია. ამ საგნობრივი კომისიის თავმჯდომარედ ნ. მუსხელიშვილის წინადადებით აირჩიეს პროფესორი გიორგი ნიკოლაძე, ხოლო დროებითი მოადგილეობა თვით ნ. მუსხელიშვილმა იკისრა.

ქართულ სექტორზე 1928 წლის სექტემბრიდან მუშაობდნენ:

- ანალიზი I – II - გ. ნიკოლაძე, ი. გვარაშვილი, ლ. გოკიელი, გ. კონიაშვილი;
- ანალიზური გეომეტრია - გ. ნიკოლაძე, ნ. მგელაძე;
- მექანიკა I - ა. ბეგიაშვილი;
- მხაზველობითი გეომეტრია - გ. ნიკოლაძე, ი. გვარაშვილი, ა. გულისაშვილი;
- მექანიკა II - ნ. მუსხელიშვილი, ა. ბეგიაშვილი.

პრაქტიკას ამუშავებდნენ:

- მათემატიკაში - ა. რუხაძე;
- მექანიკაში - ვ. კუპრაძე.

რუსულ სექტორზე 1928 წლის სექტემბერში მუშაობდნენ:

- ანალიზი I – II - ნ. ბერგი, ნ. ბარანოვსკი;
- პრაქტიკუმი - ვ. მარჯანიშვილი;
- ანალიზური გეომეტრია - გ. გოლუბი, ვ. მარჯანიშვილი;

- თეორიული მექანიკა I - გ. გოლუბი, კ. მარჯანიშვილი;
- თეორიული მექანიკა II - ნ. მუსხელიშვილი;
- მხაზველობითი გეომეტრია - ნ. ბარანოვსკი.


1929 წლის დეკემბერში სტუდენტთა დამატებითი კონტიგენტის მიღებასთან დაკავშირებით საჭირო გახდა საშუალო სკოლის მასწავლებელთა მოწვევა ინსტიტუტში, ესენი იყვნენ ცნობილი მასწავლებლები: ა. დევიძე, ი. გაჩეჩილაძე, ნ. კვინიკაძე, ნ. ფლორინსკი, გ. გეგელაშვილი. ამავე დროს მეცნიერ-თანამშრომლებად აირჩიეს გ. ხაჩალია, ი. მეცხვარიშვილი, ა. გორგიძე.

ამ დროისათვის ინსტიტუტში მუშაობდნენ აგრეთვე **ა. ხარაძე, დ. ვაშაკიძე, შ. მიქელაძე, ა. ელიაშვილი.**

ამ წელს შემოღებული იქნა ჯგუფურ-ლაბორატორიული მეთოდით მეცადინეობა, რომლებსაც ატარებდნენ: **კ. მარჯანიშვილი, გ. გეგელაშვილი, ა. ხარაძე, ნ. ბერგი, ნ. ფლორინსკი, ნ. მეგელაძე, ნ. კვინიკაძე, ვ. გიგინეიშვილი, ნ. ბარანოვსკი, ა. გორგიძე და ი. მეცხვარიშვილი.** ამავე საქმიანობისათვის 1930 წელს მოწვეულები იყვნენ: ინჟინერი **მელიქ-ფარსადანოვი, მ. მირიანაშვილი, დ. დოლიძე.**

მუშათა კადრების უმაღლეს სკოლაში მისაზიდად დააარსეს მოსამზადებელი ჯგუფები, რომლებშიც მათემატიკას ასწავლიდნენ: **ვლადიმერ ჭელიძე, ვახტანგ გოგოლაძე, ევგენი ხარაძე, შოთა მიქელაძე.**

არჩილ ალექსის-ძე გულისაშვილი დაიბადა სოფელ საგარეჯოში 1888 წლის 1 აპრილს. ქართველი ინჟინერ-მეტალურგი საქართველოს სსრკ მეცნიერების და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1944), პროფესორი (1930), სკკპ. წევრად 1942 წ. დაამთავრა პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი (1916), მუშაობდა ურალის მეტალურგიის ქარხნებში. 1921 წ. დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო სპეციალისტ-კონსულტანტად სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. გულისაშვილი მონაწილეობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსებაში. 1930 წლიდან იყო ამ ინსტიტუტის პროფესორი, მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი და კათედრის გამგე, 1948-1953 იყო დირექტორის მოადგილე სასწავლო-სამეცნიერო დარგში. გულისაშვილს ეკუთვნის მეტალურგიის, მხაზველობითი გეომეტრიის და მექანიკის ნაწილების სახელმძღვანელოები. 1930 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის კათედრას, დაჯილდოებული იყო ლენინის




ორდენით, 2 შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნით“ ორდენებითა და მედლებით.



ქართველი მათემატიკოსი და ლოგიკოსი **ლევან პეტრეს - ძე გოკიელი** დაიბადა 1901 წლის 20 ნოემბერს (3 დეკემბერი) ქ. ქუთაისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1924 წელს. იგი 1965 წლიდან ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორია, 1936 წლიდან - პროფესორი, 1945-48 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტში, 1948-53 წლებში კი - ამავე აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. 1944 წლიდან იყო მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. 1967-70 წლებში იყო საქართველოს მათემატიკური საზოგადოების პრეზიდენტი, რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციის წევრი, წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

გარდაიცვალა 1975 წლის 3 იანვარს თბილისში.



კონსტანტინე მარჯანიშვილი (1908 წლის 13 აგვისტო - 1981 წლის 13 თებერვალი) - ქართველი მათემატიკოსი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1974 წელი). დაიბადა მოსკოვში, ცნობილი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის და ნადეჟდა ჟივოკინა-მარჯანიშვილის ოჯახში. კონსტანტინე მარჯანიშვილმა საშუალო განათლება მიიღო მოსკოვში, რის შემდეგაც 1920 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის მათემატიკურ განყოფილებაზე, რომელიც 1924 წელს დაამთავრა. აქ იგი ისმენდა პროფესორ ვინოგრადოვის ლექციებს და დაინტერესდა რიცხვთა თეორიით.

1924 წელს კ. მარჯანიშვილი გადმოვიდა საცხოვრებლად ქ. თბილისში.

იმავე წელს მარჯანიშვილი გააგზავნეს გერმანიაში, ქ. ლაიფციგში, სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად. 1927 წლიდან ის მუშაობას იწყებს თბილისის

უნივერსიტეტში და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პროფესორ ანდრია რაზმაძისა და პროფესორ ნ. მუსხელიშვილის ასისტენტად, ხოლო შემდეგ - ლექტორად.

1934 წელს კონსტანტინე მარჯანიშვილი საცხოვრებლად გადავიდა ქ. მოსკოვში და 1935 წლიდან 1952 წლამდე მუშაობდა მოსკოვის კავშირგაბმულობის ინსტიტუტში, 1949 წლიდან 1951 წლის ჩათვლით მას ეკავა მათემატიკის კათედრის გამგის თანამდებობა. 1938 წელს ის დანიშნეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სწავლულ მდივნად, მას ეს თანამდებობა ეკავა 1951 წლის ჩათვლით. 1951 წლიდან 1953 წლამდე იგი მუშაობდა დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე, ხოლო 1953 წლიდან – განყოფილების გამგეა.

წლების მანძილზე იგი იყო ჟურნალ "მათემატიკური კრებულის" და "მათემატიკური ენციკლოპედიის" რედკოლეგიის წევრი.


1949 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

1973 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. დაჯილდოებულია ორჯერ ლენინის ორდენით და ორჯერ შრომის წითელი დროშის ორდენით.

გარდაიცვალა ქ. მოსკოვში. დაკრძალულია ქ. თბილისში, დიდუბის პანთეონში.

კვლევის ძირითადი მიმართულებებია: რიცხვთა თეორია და გამოყენებითი მათემატიკა. მუშაობდა რიცხვთა თეორიის ადიტიურ ნაწილში (გოლდბაჰჰინოგრადოვის, ვარინგის და სხვათა პრობლემებზე). მის მიერაა შესწავლილი ჰილბერტ-კამკეს ტიპის დიოფანტური განტოლებები, მარტივ რიცხვებიანი ადიტიური ამოცანები და გამოყენებითი მათემატიკის ზოგიერთი საკითხები. მას ჰქონდა განსაკუთრებული უნარი გამოეყენებინა მათემატიკური მეცნიერების მიღწევები გამოყენებითი ამოცანების ამოსახსნელად.

ქართველი საბჭოთა მათემატიკოსი **ვიქტორ კუპრაძე** დაიბადა 1903 წლის 2 ნოემბერს. 1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1927-31 წლებში მუშაობდა **თსუ**-ში, 1933-35 წლებში იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, 1935 წლიდან ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორია. 1936-41 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორი. ხელმძღვანელობდა **საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრას** და **თსუ**-ის დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებების კათედრას. 1944-53 წლებში იყო საქართველოს განათლების მინისტრი, 1954-64 წლებში საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე, 1954-59 წლებში



თსუ-ის რექტორი, საქართველოს მათემატიკური საზოგადოების პირველი პრეზიდენტი (1962-66), ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. დაჯილდოვებულია ლენინის ორი ორდენით, აგრეთვე სხვა ორდენებითა და მედლებით.



ალექსი იასონის ძე გორგიძე დაიბადა ქუთაისში 1907 წლის 17 მაისს.

საშუალო განათლება ქუთაისის პირველ სოციალურ-ჰუმანიტარულ ტექნიკუმში მიიღო, რომელიც 1924 წელს დაამთავრა და იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ფიზიკა-მათემატიკის განყოფილებაზე.

1929 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ა. გორგიძე ნ. მუსხელიშვილის მიწვევით **საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრაზე** იწყებს მუშაობას.

მათემატიკოსთა ახალი თაობა, როგორც პერსპექტიული და იმედის მომცემი მკვლევარები, ნ. მუსხელიშვილის თაოსნობითა და ხელშეწყობით 1930 წლის შემოდგომიდან ასპირანტურის კურსის გასავლელად მოსკოვისა და ლენინგრადის სამეცნიერო დაწესებულებებში გაიგზავნენ. ალექსი გორგიძე ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა. მისი ხელმძღვანელები იყვნენ ვ. სმირნოვი და ს. მიხლინი.

1935 წელს ალექსი გორგიძემ წარმატებით დაამთავრა ასპირანტურის კურსი, თბილისში დაბრუნდა და მუშაობა განაგრძო სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ა. გორგიძე მუშაობას იწყებს თბილისის მათემატიკის ინსტიტუტში.

ა. გორგიძე ეკუთვნის ახალგაზრდა ქართველ მათემატიკოსთა იმ თაობას, რომელიც ჯერ კიდევ 20-იანი წლების ბოლოდან მხარში ამოუდგა საქართველოში უმაღლესი მათემატიკური განათლების ფუძემდებლებს – ა. რაზმაძეს, გ. ნიკოლაძეს, ნ. მუსხელიშვილს, ა. ხარაძეს.

ამავე დროს ა. გორგიძე ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი საქმიანობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტში და აკადემიის პრეზიდიუმში. 1935 წლიდან ა. გორგიძე მუშაობს მათემატიკის ინსტიტუტში, რომლის დაარსებაში მან მიიღო აქტიური მონაწილეობა, ჯერ უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, შემდეგ სწავლული მდივნის, ხოლო 1940-54 წწ. დირექტორის მოადგილის თანამდებობებზე.

1941 წლის თებერვალში ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომლის პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი, ხოლო პრეზიდენტის თანაშემწის მოვალეობას მრავალი წლის განმავლობაში (1941-

1954 წლებში) ჩვეული ენერჯითა და მიზანდასახული მოღვაწეობით ასრულებდა ალექსი გორგიძე, რომელიც ეწეოდა დიდსა და ნაყოფიერ საორგანიზაციო მუშაობას.

ალბათ ამიტომ, თავის ერთ-ერთ მოგონებაში ბატონი ალექსი გორგიძე წერს: „მინდა აღვნიშნო ის უდიდესი ღვაწლი, რაც ბატონ ნიკოს ჩემი მეცნიერული გზის ჩამოყალიბებაში, და საერთოდ ჩემს ცხოვრებაში, მიუძღვის. ჯერ იყო და სრულიად ახალგაზრდა კაცი ასისტენტად მიმიწვია თეორიული მექანიკის კათედრაზე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, შემდგომ მისივე რეკომენდაციით მივლინება ლენინგრადში ასპირანტურაში და ბოლოს, დისერტაციის დაცვის შემდეგ 1938 წელს მან თავისი თეორიული მექანიკის კათედრა ჩამაბარა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ამის გარდა 14 წელიწადი მე ვიყავი მისი მოადგილე მათემატიკის ინსტიტუტში და მისი ხანგრძლივი მივლინებების დროს ფაქტობრივად წარვმართავდი ინსტიტუტის საქმიანობას. ამასთანავე, დაწყებული ჩვენი აკადემიის შექმნის დღიდან პარალელურად მე ვასრულებდი პრეზიდენტის თანაშემწის ფუნქციას რიგი წლების განმავლობაში“.

ამ თანამდებობაზე ალექსი გორგიძის მოღვაწეობის შესახებ აკადემიკოსი გიორგი ჭოლოშვილი იხსენებს: „სრულიად შესანიშნავ, სრულიად უნიკალურ პიროვნებასთან გვაქვს საქმე ალიოშა გორგიძის სახით... ის იყო სამაგალითო მეგობარი და ადამიანი.. მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის თანამდებობის დროს დირექტორის, ნიკო მუსხელიშვილის, არყოფნისას სხვადასხვა სხდომას ის უძღვებოდა ხოლმე და ამას აკეთებდა დაკვირვებით, დინჯად, ტაქტიანად, მარჯვედ ახერხებდა კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვას“.

საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობასთან ერთად ალექსი გორგიძე ყოველთვის პოულობდა დროს შემოქმედებითი მეცნიერული მუშაობისათვის.

1960 წელს ა. გორგიძე მიწვეული იყო ინგლისის სამეფო საზოგადოების მექანიკის ინსტიტუტში.

1968 წელს ნიკო მუსხელიშვილის რეკომენდაციით ალექსი გორგიძე არჩეულ იქნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრის გამგის თანამდებობაზე, სადაც იგი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის (52 წლის) განმავლობაში მოღვაწეობდა და ეწეოდა დაუღალავ და ნაყოფიერ სამეცნიერო, სამეცნიერო-მეთოდურ, პედაგოგიურ, საზოგადოებრივ და აღმზრდელობით მუშაობას. ბატონი ალექსი თავის პედაგოგიურ როლს ძირითადად იმაში ხედავდა, რომ უმაღლესმა ტექნიკურმა სასწავლებელმა უნდა გამოუმუშავს არა მარტო მცოდნე ინჟინერი, არამედ ღრმად და მეცნიერულად მოაზროვნე ინჟინერ-შემოქმედი.

ალექსი გორგიძემ შესანიშნავად გამოიყენა თავისი მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება და ქართულ ენაზე შექმნა ორიგინალური სახელმძღვანელოები თეორიულ მექანიკაში: „თეორიული მექანიკის კურსი“, წიგნი I (სტატიკა-კინემატიკა, 1959 წ.) და „თეორიული მექანიკის კურსი“, წიგნი II, (დინამიკა, 1965 წ.).

1998 წელს ბატონ ალექსი გორგიძის სახელმძღვანელოებს „თეორიული მექანიკის კურსი“ (წიგნი I და II), მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. დასაბამია, რომ ამ მნიშვნელოვან აღიარებას თვით ბატონი ალექსი ვერ მოესწრო.

ბატონი ალექსი გარდაიცვალა 1992 წლის დეკემბერში.

1993 წელს დაწესდა საქართველოს საინჟინრო აკადემიის ალექსი გორგიძის სახელობის პრემია, ხოლო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ალექსი გორგიძის სახელობის სტიპენდია. ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭა ა. გორგიძის სახელი.



პროფესორი **იასონ მეცხვარიშვილი** იყო ქართველი მათემატიკოსთა დიდებული ოთხეულის - ა. რაზმაძის, გ. ნიკოლაძის, ნ. მუსხელიშვილის, ა. ხარაძის და მათი მემკვიდრეების მიერ შექმნილი მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი.

ი. მეცხვარიშვილი დაიბადა 1903 წლის 25 მარტს გორის რაიონის სოფელ მერეთში, მან 1929 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის მათემატიკური განხრა, 1929-32 წლებში იგი მუშაობდა ასისტენტად **თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტში**, თსუ-ში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. პერსპექტიული და ნიჭიერი ახალგაზრდა ი. მეცხვარიშვილი მივლინებული იქნა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკისა და მექანიკის ინსტიტუტში ასპირანტად. ამავე წლებში ამ ინსტიტუტში მიწვეული იყო და ლექციებს კითხულობდა დრეკადობის თეორიაში ასპირანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებისათვის, უკვე დიდი ავტორიტეტის მქონე ნიკოლოზ მუსხელიშვილი.



მარცხნიდან მარჯვნივ: ნ. მუსხელიშვილი, გ. ხაყალია, დ. ვაშაკიძე, ა. გორგიძე, ა. რაზ-
მაძე, ა. ბარკალაია, ი. მეცხვარიშვილი, გ. ნიკოლაძე (1930)




ალექსანდრე გორგიძე, შალვა მიქელაძე და იასონ მეცხვა-
რიშვილი, 40-იან წლებში

აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა ახალ კონტინენტთან უშუალოდ ვისმეცნიერ-
მუშაობად არ ჩიეს პერსპექტიული ახალგაზრდები გრიგოლ ხაყალია, იასონ
მეცხვარიშვილი, ალექსანდრე გორგიძე და მოვლინებულთა რიგებში აღნიშნულ
სახელმწიფო უნივერსიტეტთან ემატიკისად ამეცანიკის ინსტიტუტში მუშაობდა

ასევე იყვნენ მივლინებული ლენინგრადში ქართველი მათემატიკოსები ვიქტორ კუპრაძე, ილია ვეკუა, დავით დოლიძე, ამბროსი რუხაძე, ვახტანგ გოგოლაძე, კონსტანტინე მარჯანიშვილი, შალვა მიქელაძე და სხვები, რათა შემდგომში მათ ემუშავათ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

საზოგადოება „ქართველები რუსეთში“ ინიციატივით, რომლის პრეზიდენტი იყო აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი, 2004 წლის 14 ოქტომბერს სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში გაიხსნა მემორიალური დაფა ქართველი და რუსი მეცნიერ მათემატიკოს-მექანიკოსების პატივსაცემად. დაფის გახსნაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანმა პროფ. გ. ლეონოვმა, უნივერსიტეტის რექტორის აკად. ლ. ვერბინსკაიას მხარდაჭერით, ასევე „საქართველოს კავშირი საზღვარგარეთის ქვეყნებთან“ საზოგადოებამ (თავმჯდომარე რ. ლომინაძე).



ახლად შექმნილმა საგნობრივმა კომისიამ გიორგი ნიკოლაძის წინადადებით საგრძნობლად შეცვალა და გადაახალისა საგნობრივი პროგრამები, კერძოდ I კურსის სასწავლო პროგრამაში დადგინდა განსაზღვრული და განუსაზღვრელი ინტეგრალების ცნებების შეტანა, ანალიზური გეომეტრია ცალკე საგნად იკითხებოდა და ასეც დარჩა, ანალიზის კურსი ორად გაიყო: I ანალიზი იკითხებოდა I კურსზე, ანალიზი II - II კურსზე.

ამრიგად, თეორიული მექანიკის კურსის სწავლების ორგანიზებას სათავეში ნ. მუსხელიშვილი ჩაუდგა. მის გარდა თეორიული მექანიკის კურსს უძღვებოდნენ ანტონ ზეგიაშვილი, ვიქტორ კუპრაძე (ქართულ სექტორზე), გ. გოლუბი, კ. მარჯანიშვილი

(რუსულ სექტორზე). უმაღლეს მათემატიკას (მათემატიკური ანალიზი, ანალიზური გეომეტრია) უძღვებოდნენ გ. ნიკოლაძე, ი. გვარაშვილი, ლ. გოკიელი, მ. კონიაშვილი, ნ. მგელაძე, ა. რუხაძე (ქართულ სექტორზე), ნ. ბერგი, ნ. ბარანოვსკი, გ. გოლუბი, კ. მარჯანიშვილი (რუსულ სექტორზე), მხაზველობითი გეომეტრიის კურსს კითხულობდნენ გ. ნიკოლაძე, ი. გვარაშვილი, ა. გულისაშვილი, ნ. ბარანოვსკი. ქართველ მათემატიკოსთა ამ თაობამ დიდი კვალი დატოვა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არა მარტო სწავლების საქმეში, არამედ სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაციასა და მეცნიერული ტრადიციების დამკვიდრებაში.

საათების განაწილება მასწავლებლებს შორის ხდებოდა ასე: გაერთიანებული საგნობრივი კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე განიხილებოდა საკითხი „სამაცადინო საათების განაწილება“ (წინასწარი მოსაზრება), შემდგომ სხდომაზე კი - „საათების საბოლოო განაწილება“. მაგალითისთვის მოგვყავს 1928 წლის 10 ოქტომბერს ჩატარებული სხდომის ოქმი N3.

ესწრებოდნენ - მუსხელიშვილი, ბეგიაშვილი, ბარანოვსკი, გოკიელი, გვარაშვილი, ბერგი, მარჯანიშვილი, გოლუბი, მუხაძე, ზავრიევი, ნიკოლაძე, კონიევი, მგელაძე, პროკოფიევი, რუხაძე, კუპრაძე.

სტუდენტები - მელქუმოვი, აგრიანკოვი, კალგატოვა, ფალკოვიჩი, კუტლოვა.

მოისმინეს: საათების საბოლოო განაწილება (წინასწარი მოსაზრება განხილულ იყო 28 სექტემბრის სხდომაზე).

თავმჯდომარე ნ. მუსხელიშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „I კურსზე იქნება 9 ჯგუფი, II - ზე - 10 ჯგუფი (2 საათიანი ანალიზისა და მექანიკაში), იმ I კურსელთათვის, რომელნიც დატოვებული იქნებიან ჯგუფის გარეთ, დანიშნული უნდა იყოს გამოცდებისა და კონსულტაციების საათები (2 კვირეული საათი მექანიკაში, I ანალიზში, ანალიზურ გეომეტრიაში, ხოლო მხაზველობით გეომეტრიაში - 4 კვირეული საათი)“.

ინფორმაცია ცნობად იქნა მიღებული: ამის შემდეგ ნ. მუსხელიშვილმა გააცნო სხდომას, როგორ განაწილდა „სამაცადინო საათები“:

I კურსი

ანალიზი I

9 ჯგუფი - 6 საათი - 54 საათი

1. გ. ნიკოლაძე - 1 ჯგუფი - 6 საათი;
2. ი. გვარაშვილი - 4 ჯგუფი - 24 საათი;
3. ლ. გოკიელი - 2 ჯგუფი - 12 საათი;
4. მ. კონიაშვილი - 2 ჯგუფი - 12 საათი;

საკონსულტაციო საათები - ლ. გოკიელი - 2 საათი.

ანალიზური გეომეტრია

9 ჯგუფი - 3 საათი - 27 საათი

1. გ. ნიკოლაძე - 1 ჯგუფი - 3 საათი;
2. ნ. მგელაძე - 8 ჯგუფი - 24 საათი;

საკონსულტაციო საათები - 8 ჯგუფი - 2 საათი.

მექანიკა I

9 ჯგუფი - 3 საათი - 27 საათი

1. ა. ბეგიაშვილი - 9 ჯგუფი - 27 საათი;
საკონსულტაციო საათები - ა. ბეგიაშვილი - 2 საათი.

მხაზველობითი გეომეტრია

9 ჯგუფი - 3 საათი - 27 საათი

1. გ. ნიკოლაძე - 1 ჯგუფი - 3 საათი;
2. ი. გვარამიანი - 2 ჯგუფი - 6 საათი;
3. ა. გულისაშვილი - 6 ჯგუფი - 18 საათი;
საკონსულტაციო საათები - 6 ჯგუფი - 18 საათი.

II კურსი

ანალიზი II

ლექცია:

1. გ. ნიკოლაძე - 4 საათი;
2. ლ. გოციელი - 2 საათი (სამთო).

პრაქტიკული მეცადინეობა:

10 ჯგუფი - 2 საათი - 20 საათი

1. ა. რუხაძე - 8 ჯგუფი - 16 საათი;
2. ვ. კუპრაძე - 2 ჯგუფი - 4 საათი.

მექანიკა II

ლექცია:

1. ნ. მუსხელიშვილი - 4 საათი;
2. ა. ბეგიაშვილი - 2 საათი (სამთო).

პრაქტიკული მეცადინეობა

10 ჯგუფი - 2 საათი - 20 საათი

1. ვ. კუპრაძე - 6 ჯგუფი - 12 საათი;
2. ა. რუხაძე - 4 ჯგუფი - 8 საათი.

რუსულ სექტორზე:

ანალიზი I

6 ჯგუფი - 6 საათი - 36 საათი

1. ნ. ბერგი - 2 ჯგუფი - 12 საათი;
2. ნ. ბარანოვსკი - 3 ჯგუფი - 18 საათი;
3. კ.კ. მარჯანიშვილი - 1 ჯგუფი - 6 საათი.

ანალიზური გეომეტრია

5 ჯგუფი - 3 საათი - 15 საათი

1. გ.გოლუბი - 3 ჯგუფი - 9 საათი;
2. კ.კ. მარჯანიშვილი - 2 ჯგუფი - 6 საათი.

თეორიული მექანიკა I

5 ჯგუფი - 3 საათი - 15 საათი

1. გ.გოლუბი - 4 ჯგუფი - 12 საათი;

2. კ. მარჯანიშვილი - 1 ჯგუფი - 3 საათი.

მხაზველობითი გეომეტრია

5 ჯგუფი - 3 საათი - 15 საათი

1. ჯ. ზურაბიანი - 2 ჯგუფი - 6 საათი;
2. ნ. ბარანოვსკი - 3 ჯგუფი - 9 საათი.

II კურსი

ანალიზი II

ლექცია:

ნ. ბერგი - 4 საათი

პრაქტიკული მეცადინეობა : 6 ჯგუფი - 3 საათი - 18 საათი

1. ნ. ბარანოვსკი - 3 ჯგუფი - 9 საათი;
2. კ. მარჯანიშვილი - 2 ჯგუფი - 6 საათი;
3. ნ. ბერგი - 1 ჯგუფი - 3 საათი.

მექანიკა II

ლექცია:

ნ. მუსხელიშვილი - 4 საათი.

პრაქტიკული მეცადინეობა:

6 ჯგუფი - 2 საათი - 12 საათი

1. გოლუბი - 5 ჯგუფი - 10 საათი;
2. კ. მარჯანიშვილი - 1 ჯგუფი - 2 საათი.

ასევე ჩამოაყალიბეს სუსტი სტუდენტებისათვის ელემენტარული ჯგუფი, რომლებიც წელი ტემპით გაივლიან მასალას:

ქართულ სექტორზე

ანალიზური გეომეტრია - ნ. მგელაძე;
ანალიზი - ი. გვარაშვილი;
მექანიკა - ა. ბეგიაშვილი;
მხაზველობითი გეომეტრია - ელიაშვილი.

რუსულ სექტორზე

ანალიზური გეომეტრია - ნ. მგელაძე;
ანალიზი - ნ. ბარანოვსკი;
მექანიკა - ა. ბეგიაშვილი;
მხაზველობითი გეომეტრია - ჩიკვაძე.

ეროვნულ არქივში ჩვენ მიერ მოძიებული მასალიდან გვსურს მოვიყვანოთ ამონარიდები გაერთიანებული კომისიის სხდომების ზოგიერთი ოქმიდან:

1. 1928 წლის 2 ნოემბერი - მოისმინეს მასწავლებელი ნ. მგელაძის განცხადება მისი სამი ჯგუფისაგან გათავისუფლების შესახებ ანალიზურ გეომეტრიაში დიდი

გადატვირთულობის გამო (იგი მუშაობდა სკოლაშიც, იყო ასევე პროფესიული განათლების მთავარმმართველობის გამგე)

2. დოცენტ გ. ნიკოლაძის განცხადება მისი გათავისუფლების შესახებ ქართული სექტორის ერთი ჯგუფისაგან მისი გადატვირთულობის გამო. დაადგინეს-გათავისუფლებული ჯგუფები 1 წლით გადაეცეს ვ. გიგინეიშვილს.

3. 1928 წლის 4 ოქტომბრის სხდომაზე მოისმინეს ნ. მუსხელიშვილის წინადადება:

1. მ. კონიაშვილის მოწვევა ლექტორად;
2. ნ. მგელაძის მოწვევა ლექტორად;
3. ვ. კუპრაძის მოწვევა მეცნიერ თანამშრომლად.

დაადგინეს: მხარი დაუჭირეს თავმჯდომარის ნ. მუსხელიშვილის წარდგინებას, ამავე დროს ნ. მგელაძე გათავისუფლებულ იქნა საცდელი ლექციის წაკითხვისაგან.

4. 1928 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე მოისმინეს:

1. ა. რუხაძის არჩევა სამეცნიერო თანამშრომლად - წარდგენა ნ. მუსხელიშვილის.
- დაადგინეს:** არჩეულია ერთხმად.

5. 1928 წლის 2 ნოემბერი

ოქმი N2

ესწრებოდნენ: მუსხელიშვილი, ბეგიაშვილი, ბარანოვსკი, გოკიელი, გვარაშვილი, ბერგი, მარჯანიშვილი, გოლუბი, მუხაძე, ზავრიევი, ნიკოლაძე, კონიევი, მგელაძე, პროკოფიევი, რუხაძე, კუპრაძე.

თავმჯდომარე - ნ. მუსხელიშვილი

მდივანი - სტუდენტი კალგატოვა

მოისმინეს: კ. ს. ზავრიევის წარდგენით გ. ნიკოლაძის არჩევა მათემატიკის კათედრის პროფესორად.

დაადგინეს: არჩეული იქნას გ. ნიკოლაძე უმაღლესი მათემატიკის პროფესორად.

6. 1929 წლის 4 დეკემბრის სხდომაზე მოისმინეს:

1. პროფესორ ნ. მუსხელიშვილის წარდგინება სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტ გ. ხაჯალიას მეცნიერ თანამშრომლად მოწვევის საკითხი.

დაადგინეს: 1) მოწვეულ იქნას გ. ხაჯალია მეცნიერ-თანამშრომლად და მიეცეს მას 6 ჯგუფი მექანიკა II-ში, გათავისუფლდნენ ამ ჯგუფებიდან ა. რუხაძე და ვ. კუპრაძე, მათი თხოვნის თანახმად ვ. კუპრაძის წასვლასთან დაკავშირებით, ხოლო ა. რუხაძის ძლიერი გადატვირთვის გამო.

2) კ. მარჯანიშვილი გათავისუფლდა ანალიზი I-ის ერთი ჯგუფისაგან და დაევალა ანალიზი II-ში ლექციის წაკითხვა აქტივისტების ჯგუფში.

7. მათემატიკური საგნობრივი კომისიის 1929 წლის 7 დეკემბრის გაერთიანებული სხდომის

ოქმი N 5

ესწრებოდნენ: ა. ხარაძე, ნ. მუსხელიშვილი, ა. გულისაშვილი, გოლუბი, ა. ბეგიაშვილი, ი. გვარაშვილი, კ. მარჯანიშვილი, ნ. ბარანოვსკი, ა. რუხაძე, გ. ნიკოლაძე, დ. ვაშაკიძე, შ. მიქელაძე, ელიაშვილი, ვ. გიგინეიშვილი.

განიხილეს: ა. დევიძის, ი. გაჩეჩილაძის, ნ. კვინიკაძის, ნ. ფლორინსკის, გ. გეგელაშვილის, ი. მეცხვარიანაშვილის, ა. გორგიძის, თ. ჯავახიშვილის განცხადებები მათი მასწავლებლად არჩევასთან დაკავშირებით.

დაადგინეს: ერთხმად აირჩიეს ყველა მათგანი და ინსტიტუტის მმართველობას სთხოვენ შუამდგომლობას: ჩარიცხონ მასწავლებლებად 1 ოქტომბრამდე ა. დევიძე, ი. გაჩეჩილაძე, ნ. ფლორინსკი, გ. გეგელაშვილი უმაღლეს მათემატიკაში, ხოლო მომდევნო წლისათვის თანამდებობაზე დარჩენისათვის მათ უნდა წაიკითხონ სასინჯი ლექციები. ი, მეცხვარიანაშვილი და ა. გორგიძე აირჩიეს ერთხმად, ამავე დროს სასინჯი ლექციებისგან გათავისუფლდნენ. თ. ჯავახიშვილის არჩევა კი სტუდენტთა წარმომადგენლობის თხოვნით გადადეს შემდეგი სხდომისათვის.

სტუდენტებმა მოითხოვეს, არ გამოუცვალონ მასწავლებელი კ. მარჯანიშვილი, იგი გადატვირთულობის გამო გაათავისუფლეს II კურსზე კონსულტირების 4 საათისაგან და ამით დააკმაყოფილეს სტუდენტთა მოთხოვნა.

ამ წელს ჩატარდა ახალი რეფორმა: შემოდებული იყო ჯგუფურ-ლაბორატორიული მეთოდით მეცადინეობა, რომელიც ახალ სახეს იღებდა. წარმოების ანალოგიით ინსტიტუტშიც ჩამოყალიბდა სტუდენტთა დამკვერელი ჯგუფები, რომლებიც მოკლე დროში აბარებდნენ საგნებს და ამთავრებდნენ ინსტიტუტს. ასეთ ჯგუფებთან მუშაობის აღრიცხვა ცალკე ხდებოდა. მათემატიკასა და თეორიულ მექანიკაში ასეთ მუშაობას ატარებდნენ: კ. მარჯანიშვილი, გ. გეგელაშვილი, ა. ხარაძე, ნ. ბერგი, ნ. ფლორინსკი, ნ. მგელაძე, ნ. კვინიკაძე, ვ. გიგინეიშვილი, ნ. ბარანოვსკი, ა. გორგიძე, ი. მეცხვარიანაშვილი.

მუშათა კადრების უმაღლეს სკოლაში მოსაზიდად დააარსეს მოსამზადებელი ქართული ჯგუფები, ამ ჯგუფებში ასწავლიდნენ ვლადიმერ ჭელიძე, ვახტანგ გოგოლაძე, ევგენი ხარაძე, შოთა მიქელაძე (მაშინ ახალგაზრდა მათემატიკოსი, ცნობილი მთამსვლელი, დაიღუპა მყინვარწვერზე)

მოგვყავს საგამოცდო ფურცლების ნიმუშები:

3. ი. ლენინის სახელობის საპაატოვალოს სახელაწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი
Государственный Политехнический Институт Грузии имени В. И. Ленина

გახავლის №
Исходный №

გამოცდის ფურცელი
ЭКЗАМЕНАЦИОННЫЙ ЛИСТ

დაბრუნებულია №
Возвращено №

19 წ.

19 წ.

ვის
Кому ვევიძე
სავანი
Предм მათემატიკა
რომელ რიცხვებთან
На какое число 1920 წ.

სექტორი
Сектор ფაკულტეტი
ფაკულტეტი
Факультет საინჟინერო-მშენებლის
დარგი
Отдел

№№ რიგებში по порядку	გვარი, სახელი და მამის სახელი Фамилия, имя и отчество	პ.ი.მ. პატრიკ. №№ matr.	საგნის ნაწილი და განყოფილება Часть и отдел предмета	ნაბარების დრო Время сдачи	ნაბარებულია (გამომცდელის ხელის მოწერა) Сдано (подпись экзаменатора)	შენიშვნა Примечания
1	ვახაშვილი ნიკოლოზ	00426	ს. გ. მ. მ.	21/1	სადაც	
2	ვახაშვილი ნიკოლოზ	00432	ს. გ. მ. მ.	21/1	სადაც	
3	ვახაშვილი ნიკოლოზ	00461	ს. გ. მ. მ.	22/1	სადაც	
4	ვახაშვილი ნიკოლოზ	00559	ს. გ. მ. მ.	ს. გ. მ. მ.	სადაც	
5	ვახაშვილი ნიკოლოზ	00572	ს. გ. მ. მ.	ს. გ. მ. მ.	სადაც	
6	ვახაშვილი ნიკოლოზ	00615	ს. გ. მ. მ.	ს. გ. მ. მ.	სადაც	
7	ვახაშვილი ნიკოლოზ	00520	ს. გ. მ. მ.	ს. გ. მ. მ.	სადაც	
8	ვახაშვილი ნიკოლოზ	00585	ს. გ. მ. მ.	ს. გ. მ. მ.	სადაც	
9	ვახაშვილი ნიკოლოზ	00582	ს. გ. მ. მ.	ს. გ. მ. მ.	სადაც	

3. ი. ლენინის სახელობის საპაატოვალოს სახელაწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი
Государственный Политехнический Институт Грузии имени В. И. Ленина

გახავლის №
Исходный №

გამოცდის ფურცელი
ЭКЗАМЕНАЦИОННЫЙ ЛИСТ

დაბრუნებულია №
Возвращено №

19 წ.

19 წ.

ვის
Кому ვახაშვილი
სავანი
Предм მათემატიკა
რომელ რიცხვებთან
На какое число 19/11 1929 წ.

სექტორი
Сектор ფაკულტეტი
ფაკულტეტი
Факультет საინჟინერო-მშენებლის
დარგი
Отдел

№№ რიგებში по порядку	გვარი, სახელი და მამის სახელი Фамилия, имя и отчество	პ.ი.მ. პატრიკ. №№ matr.	საგნის ნაწილი და განყოფილება Часть и отдел предмета	ნაბარების დრო Время сдачи	ნაბარებულია (გამომცდელის ხელის მოწერა) Сдано (подпись экзаменатора)	შენიშვნა Примечания
1	ვახაშვილი ნიკოლოზ	377	ს. გ. მ. მ.			
2	ვახაშვილი ნიკოლოზ	1682	ს. გ. მ. მ.			
3	ვახაშვილი ნიკოლოზ	1315	ს. გ. მ. მ.			
4	ვახაშვილი ნიკოლოზ	443	ს. გ. მ. მ.			
5	ვახაშვილი ნიკოლოზ	1400	ს. გ. მ. მ.			
6	ვახაშვილი ნიკოლოზ	479	ს. გ. მ. მ.			
7	ვახაშვილი ნიკოლოზ	1332	ს. გ. მ. მ.			
8	ვახაშვილი ნიკოლოზ	1266	ს. გ. მ. მ.			
9	ვახაშვილი ნიკოლოზ	1280	ს. გ. მ. მ.			

3. ი. ლენინის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი
Государственный Политехнический Институт Грузии имени В. И. Ленина

გახვალის № 2331
Исходящ. № 80

19 წ. წ. წ.
19 წ. წ. წ.

კომუ მ. მჭედიაძე
საგანი მანქანა I
რამდენ ბიულეტენს 1915 1930 წ.
На какое число

სექტორი ფაკულტეტი
ფაკულტეტი

გაბრუნებულია № 80
Возвращено № 80

გამოცდის ფურცელი
ЭКЗАМЕНАЦИОННЫЙ ЛИСТ

№№ по пор.	გვარი, სახელი და მამის სახელი Фамилия, имя и отчество	№№ მატრიკ. №№ matr.	საგნის ნაწილი და განყოფილება Часть и отдел предмета	ჩაბარების დრო Время сдачи	ჩაბარებულია (გამომცდელის ხელის მოწმობა) Сдано (подпись экзаменатора)	შენიშვნა Примечания
1	სურგიაძე რატიონი	00464	სახე	19, I, 30	ს. მჭედიაძე	
2	ვახუშტიაშვილი ვახუშტი	00492	სახე	19, I, 30	ს. მჭედიაძე	
3	მხედველი ბენიამინი	00615	"	19, I, 30	ს. მჭედიაძე	
4	საბურთაძე იუსუპი	00437	"			
5	მურმანიძე ვახუშტი		"			
6	ნაჭყალიძე ვახუშტი	00548	"	19, I, 30	ს. მჭედიაძე	
7	სურგიაძე ვახუშტი	00561	"	19, I, 30	ს. მჭედიაძე	
8	ვახუშტიაშვილი ვახუშტი	00492	"	19, I, 30	ს. მჭედიაძე	
9	მურმანიძე ვახუშტი	00641	"			

3. ი. ლენინის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი
Государственный политехнический институт Грузии имени В. И. Ленина

გახვალის № 1060
Исходящ. № 22

14/11/19 წ. წ. წ.
19 წ. წ. წ.

კომუ ა. ხუბიაძე
საგანი მექანიკა II
რამდენ ბიულეტენს 15/11 1929 წ.
На какое число

სექტორი ფაკულტეტი
ფაკულტეტი

გაბრუნებულია № 22
Возвращено № 22

ჩათვლის ფურცელი
ЗАЧЕТНЫЙ ЛИСТ

№№ по пор.	გვარი, სახელი და მამის სახელი Фамилия, имя и отчество	№№ მატრიკ. №№ matr.	საგნის ნაწილი და განყოფილება Часть и отдел предмета	ჩაბარების დრო Время сдачи	ჩაბარებულია (გამომცდელის ხელის მოწმობა) Зачтено (подпись экзаменатора)	შენიშვნა Примечания
1	სურგიაძე ვახუშტი	1649 00207	II (მექ)	15/11/25	ს. მჭედიაძე	
2	სურგიაძე ვახუშტი	1650 00181	II (მექ)	15/11/25	ს. მჭედიაძე	
3	ვახუშტიაშვილი ვახუშტი	1434 00206	II (მექ)	25/11/25	ს. მჭედიაძე	
4	მურმანიძე ვახუშტი	1315 00152				
5	ვახუშტიაშვილი ვახუშტი	1443 00165				
6	სურგიაძე ვახუშტი	168 00191	II (მექ)	15/11/25	ს. მჭედიაძე	
7	სურგიაძე ვახუშტი	1483 00166	II (მექ)	20/11/25	ს. მჭედიაძე	
8	სურგიაძე ვახუშტი	1266 00148				
9	სურგიაძე ვახუშტი	977 00135	II (მექ)	15/11/25	ს. მჭედიაძე	

ს. ი. ლენინის სახელმწიფო საბავთრობო სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი
 Государственный Политехнический Институт Грузии имени В. И. Ленина

განმცდის ფურცელი
 ЭКЗАМЕНАЦИОННЫЙ ЛИСТ

განმცდის № 1016 დაბრუნების № 19
 № 14/11 1998
 კლასი ბ. მეცნიერ. სექტორი მეცნიერ.
 სახელი მადონა გვამყვანიძე ფაკულტეტი მეცნიერ.
 გრძელობა 14/11 1998 ოფისი

№ პირის პოლიტიკური	გვარი, სახელი და გვარის სახელი Фамилия, имя и отчество	№ მატრიკის № № матр.	საქმის სახელი და განყოფილება Имя и отчество предмета	ამბობის დრო Время сдачи	ამბობის სალონი Салон (подпись экзаменатора)	შენიშვნა Примечания
✓	გვამყვანიძე მადონა	00246	მეცნიერ.		ბ. მეცნიერ.	
✓	გვამყვანიძე მადონა	00280	მეცნიერ.		ბ. მეცნიერ.	
✓	გვამყვანიძე მადონა	00282	მეცნიერ.		ბ. მეცნიერ.	
4	მსახურაძე ნინო	00289				
5	გვამყვანიძე მადონა	00292				
✓	გვამყვანიძე მადონა	00255	მეცნიერ.		ბ. მეცნიერ.	
7	გვამყვანიძე მადონა	00283				
✓	გვამყვანიძე მადონა	00274	მეცნიერ.		ბ. მეცნიერ.	
9	გვამყვანიძე მადონა	00247				

გვამყვანიძე მადონა	140			
გვამყვანიძე მადონა	1647			
გვამყვანიძე მადონა II სემ.	749	სპმ	21.11.28	გ. გვამყვანიძე
გვამყვანიძე მადონა	1341			
გვამყვანიძე მადონა	325			
გვამყვანიძე მადონა II სემ.	771	სპმ	17.11.28	გ. გვამყვანიძე
გვამყვანიძე მადონა I სემ.	1322	სპმ	17.11.28	გ. გვამყვანიძე
გვამყვანიძე მადონა	1313			
გვამყვანიძე მადონა	785			
გვამყვანიძე მადონა	1428			
გვამყვანიძე მადონა	1280			
გვამყვანიძე მადონა	1274			
გვამყვანიძე მადონა II სემ.	735	სპმ	17.11.28	გ. გვამყვანიძე
გვამყვანიძე მადონა	1014			
გვამყვანიძე მადონა	1056	სპმ	17.11.28	გ. გვამყვანიძე
გვამყვანიძე მადონა	1000			

ს. ი. ლენინის სახელმწიფო საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი
 Государственный Политехнический институт Грузии имени В. И. ЛЕНИНА

საინჟინერო-მექანიკური ფაკულტეტი
 Инженерно-механический факультет

ელექტრო-მექანიკური განყოფილება
 Электро-Механическое Отделение

39

№ 020 გვარი, სახელი, მამის სახელი ქ. ბუკა ა. ალექსანდრე ვიქტორიძე
 Фамилия, имя и отчество

შემოსვლის წელი 1992/93
 Год поступления

კურსი I
 Курс.

	ჩ ა თ ვ ზ ა Зачет	გ ა მ ა ც ი ა Экзамеи
1. უმაღლესი ანალიზი I Высший анализ I	15/11/23 ა. ხაჩიძე	15/11/23 ა. ხაჩიძე
2. ანალიზური გეომეტრია Аналитическая геометрия	15/11/23 ა. ხაჩიძე	15/11/23 ა. ხაჩიძე
3. თეორიული მექანიკა I Теоретическая механика I	6/12/24 ა. ბეგიაშვილი	6/12/24 ა. ბეგიაშვილი
4. ფიზიკა I Физика I	28/12/25 კურკუაძე	15/12/25 ა. დიდიშვილი
5. ჰიმია არაორგანიკული Химия неорганическая		9/12/25 ა. ბიქვიანი
6. მხატვრობითი გეომეტრია Начертательная геометрия	17/12/24 გ. ნიკოლაძე	15/12/24 გ. ნიკოლაძე
7. გეოდეზიის საფუძვლები Основы геодезии	11/12/24 ა. გვიგენიძე	13/12/24 ა. ბეგიაშვილი
8. ტექნიკური ხაზვა და ცკიტირება Техническое черчение и скицирование	28/12/24 ვაშაძე	
9. ხატვა Рисование	გსინიძე	
10. საზოგადოებრივების საგანი Общественный предмет		
11. სამხედრო საგნები Военные предметы		
a.		
b.		
c.		
12. რუსული ენა Грузинский язык		
13. გვანა Язык		
14.		
15.		
16.		
17.		
18.		
19.		
20.		

შენიშვნა:
 Примечание:

- a) გადაყვანილია: 19 წ.
- Переведен: 19 г.
- b) დიტოვებულია: 19 წ.
- Оставлен: 19 г.
- c) გამოტოვებულია: 19 წ.
- Исключен: 19 г.

სტამბა

ამიერკავკასიის (შემდგომში საქართველოს) კიროვის სახელობის ინდუსტრიული
ინსტიტუტი (ЗИИ) და თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის
ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი (ТВИИЖТ)

1930 წელს ჩატარდა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რეორგანიზაცია. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა ექვსი სასწავლო ინსტიტუტი.

1. საქართველოს საინჟინრო-სამშენებლო;
2. ამიერკავკასიის ენერგეტიკული;
3. ამიერკავკასიის სამთო-მეტალურგიული;
4. ამიერკავკასიის ქიმიურ ტექნოლოგიური;
5. ამიერკავკასიის მიმოსვლის გზათა ინჟინერთა ინსტიტუტი;
6. ამიერკავკასიის საინჟინრო-მელიორაციული (ეს უკანასკნელი გადატანილ იქნა განჯაში).


1929 წელს გარდაიცვალა ანდრია რაზმაძე და ჩვენმა მათემატიკამ დაკარგა საუკეთესო სპეციალისტი მათემატიკურ ანალიზში. 1931 წელს გარდაიცვალა გამოჩენილი გეომეტრი გიორგი ნიკოლაძე. პირველი ოთხეულის ორი მათემატიკოსის გამოკლება უდიდესი დარტყმა აღმოჩნდა უმაღლესი სკოლისათვის.

1931 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთდა. ქართული მათემატიკური სკოლის მთავარ ბაზად ამ წლიდან საქართველოს სამშენებლო ინსტიტუტი ხდება. მათემატიკის სწავლების მთელი სიმძიმე ნ. მუსხელიშვილსა და ა. ხარაძეს დააწვათ.

1932 წელს ამიერკავკასიის ინსტიტუტებმა სახელწოდება შეიცვალეს და თბილისის ინსტიტუტებად გადაიქცნენ. ამ ინსტიტუტებში მათემატიკის სწავლება იმავე კადრებს უხდებოდათ, რომლებიც პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მუშაობდნენ. გამწვანდა მხოლოდ ხელმძღვანელობა; ხშირად ერთი და იგივე პირი სამ-ოთხ ინსტიტუტში მუშაობდა.

1932 წელს სამთო მეტალურგიული და ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტები გაერთიანდა და შეიქმნა ამიერკავკასიის სამთო-ქიმიური ინსტიტუტი.

1933 წელს სამთო-ქიმიური, საინჟინრო-სამშენებლო და ენერგეტიკული ინსტიტუტების გაერთიანების შედეგად დაარსდა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი (1933-34 წწ.), რომელსაც 1934 წელს ს. მ. კიროვის სახელობის ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი (1934-36 წწ.) ეწოდა, შემდეგ 1936-1947 წწ. ს.მ. კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი, ხოლო 1947-59 წწ. იგი ს.მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტად იწოდება



ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმების წელს, ე.ი. 1936 წელს, თბილისში მხოლოდ ორი დიდი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი დარჩა: კიროვის სახელობის საქართველო ინდუსტრიული ინსტიტუტი და თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი (ТБИИЖТ). გაერთიანების გარეშე დარჩა მხოლოდ კავშირგაბმულობის ამიერკავკასიის ინსტიტუტი.

კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში უმაღლესი მათემატიკის კათედრას ხელმძღვანელობდა ჯერ ა. ხარაძე, შემდეგ ვ. კუპრაძე, ხოლო 1944 წლიდან მას სათავეში ჩაუდგა ა. რუხაძე. 1958 წელს ა. რუხაძე პირადი განცხადებით წავიდა კათედრის გამგეობიდან, კათედრის გამგე გახდა დ. ავაზაშვილი, რომელიც 1984 წლამდე ედგა სათავეში კათედრას.

მის პარალელურად თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში მათემატიკის კათედრას ხელმძღვანელობდა ჯერ ა. ხარაძე, შემდეგ შ. მიქელაძე, ე. წითლანაძე, დ. ავაზაშვილი, თეორიული მექანიკის კათედრას – ნ. მუსხელიშვილი, შემდეგ ი. ვეკუა, ი. კვიციანი, მ. მიქელაძე.

ინდუსტრიულ ინსტიტუტში 1937 წელს კადრები ასე გამოიყურებოდა: დირექტორი – გიორგი გვარჯალაძე, დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში – გრიგოლ წულუკიძე, დირექტორის თანაშემწე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში – ალექსანდრე ბახტაძე, მდივანი – გიორგი კიკნაძე.

ფაკულტეტების დეკანები:

1. ზოგად-ტექნიკური ფაკულტეტი – ლ. მ. დიასამიძე;
2. სამშენებლო ფაკულტეტი – ალექსანდრე დიდებულიძე;
3. ენერგეტიკის ფაკულტეტი – კალისტრატე გაბუნია;
4. ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი – გიორგი მუხაძე;
5. სამთო ფაკულტეტი – ვასილ კაკაბაძე.

დეკანების მოადგილეები:

1. ზოგად-ტექნიკური ფაკულტეტი – ვალერიან ჭაბაშვილი;
2. სამშენებლო ფაკულტეტი – ივანე ხონელიძე, ბეგლარ დოლიძე;
3. ენერგეტიკის ფაკულტეტი – პლატონ კიკნაძე, ბორის გულაკოვი;
4. ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი – შალვა ზაალიშვილი, გიორგი ბალანჩივაძე;
5. სამთო ფაკულტეტი – გიორგი ცქიტიშვილი, შალვა კურტანიძე.

მდივნები:

1. ზოგად-ტექნიკური ფაკულტეტი – ელენე მაჭარაშვილი;
2. სამშენებლო ფაკულტეტი – შუმანა კალანდაძე;
3. ენერგეტიკის ფაკულტეტი – თამარ ძიძიშვილი;
4. ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი – ოლღა ღვინიაშვილი;
5. სამთო ფაკულტეტი – ნინა ასათიანი.

საქმის მწარმოებელი სტუდენტთა დასწრების საქმეში დილის ცვლაში: ა) არსენალის მთაზე არსებულ შენობაში – ქსენია ვასაძე; ბ) სამოსწავლო შესახვევი N2/4 მდებარე

შენობაში (ახლანდელი უშ. ჩხეიძის ქუჩაზე) – ალექსანდრე გაგნიძე; გ) საღამოს ცვლაში არსენალის მთაზე – სევასტი ბართაია (შემდგომში მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის დოცენტი).




პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასწავლო კორპუსი უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე



პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასწავლო კორპუსი არსენალის მთაზე

მათემატიკის კათედრის გამგეა – ვიქტორ კუპრაძე, თეორიული მექანიკის კათედრის გამგე – ნიკოლოზ მუსხელიშვილი, მხაზველობითი კათედრის გამგე – არჩილ გულისაშვილი.

ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი ტერიტორიულად მდებარეობდა ქ. თბილისში, ლენინის ქუჩა N58 (ამჟამად სტუ-ს პირველი კორპუსი);



უმალესი მათემატიკის კათედრას ხელმძღვანელობდა არჩილ ხარაძე, შემდეგ შალვა მიქელაძე, ელიზბარ წითლანაძე, ამბროსი რუხაძე, დავით ავაზაშვილი. თეორიული მექანიკის კათედრას ხელმძღვანელობდა ჯერ ნიკოლოზ მუსხელიშვილი, შემდეგ ილია ვეკუა, ი. კვიციანი, მერაბ მიქელაძე.



შალვა ექვთიმეს-ძე მიქელაძე, ცნობილი ქართველი მათემატიკოსი, დაიბადა 1895 წლის 16 მარტს ქ. თელავში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1929 წელს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორია 1935 წლიდან, პროფესორია 1935 წლიდან, საქართველოს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია 1960 წლიდან, საქართველოს სსრკ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეა 1966 წლიდან

შ. მიქელაძე 1935 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში გამოთვლითი მათემატიკის განყოფილების გამგედ.

1936-37 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრას პროფ. არჩილ ხარაძის შემდეგ.

1954-70 წლებში იყო **თსუ**-ში მიახლოებითი ანალიზისა და გამოთვლითი ტექნიკის კათედრის გამგე, იყო გამოთვლითი მათემატიკის ქართული სკოლის ფუძემდებელი. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, ხალხთა მეგობრობის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორი ორდენით და მედლებით.

შ. ე. მიქელაძე გარდაიცვალა 1976 წლის 27 აგვისტოს, თბილისში.



ელიზბარ წითლანაძე (1912-1982). მათემატიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა ქალაქ ბორჯომში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა 1934 წელს. 1934 წელს ელიზბარ წითლანაძე ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1937 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ფიზიკა –მათემატიკის დოქტორი (1951).

1937 წლიდან ელიზბარ წითლანაძე მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოცენტის თანამდებობაზე, პარალელურად კითხულობს ლექციებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

1944-1945 წწ. **ე. წითლანაძე** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორია დაუსწრებელი სწავლების დარგში. 1945-1947 წლებში მუშაობს მოსკოვის სახელმწიფო ეკონომიკურ ინსტიტუტში უმაღლესი მათემატიკის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე.

1947-1955წწ **ე. წითლანაძე** თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კათედრის გამგეა, ხოლო 1955 წლიდან გარდაცვალებამდე განაგებდა

უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მათემატიკის კათედრას. აღზარდა სტუდენტთა და ასპირანტთა ღირსეული თაობები.

1969 წლიდან 1976 წლამდე იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვალიფიკაციის ამალღების ფაკულტეტის დეკანი.

პროფესორი ელიზბარ წითლანაძე პირველი ქართველი მათემატიკოსია, რომელმაც გაშალა თბილისში ნაყოფიერი მუშაობა ფუნქციონალური ანალიზის მიმართულებით. მისი სამეცნიერო ინტერესები ძირითადად ეხება არაწრფივ ფუნქციონალურ ანალიზს, ვარიაციათა აღრიცხვას და არაწრფივ ინტეგრალურ განტოლებათა მნიშვნელოვან პრობლემებს. ე. წითლანაძე თანაავტორია მონოგრაფიის „ფუნქციონალური ანალიზი“, რომელიც მოსკოვში გამოიცა 1964 წელს. ეს მონოგრაფია თარგმნილია სხვადასხვა უცხოურ ენაზე. იგი ავტორია ქართულ ენაზე გამოცემული მონოგრაფიის „ფუნქციონალური ანალიზის საფუძვლები“. იმავე წლებში დაიბეჭდა მისი მესამე მონოგრაფია „თანამედროვე არაწრფივი ანალიზის ზოგიერთი ამოცანა.“

ე.წითლანაძე დიდ ყურადღებას აქცევდა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნას. პროფ. ვლ. ჭელიძესთან ერთად იგი ავტორია ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოსი „მათემატიკური ანალიზის კურსი“ ორ ტომად. ე. წითლანაძე ამ სახელმძღვანელოს მესამე ტომის ავტორია.

მინდა მოვიყვანო კათედრის რამდენიმე სხდომის ოქმი, რომლებიც მოვიპოვე ეროვნულ არქივში, საიდანაც ჩანს კათედრებზე მომუშავე მათემატიკოსი პედაგოგების შემადგენლობა და კათედრის მუშაობაც.

ინსტიტუტის კედლის გაზეთში „Эксплуатационник N6“, გამოქვეყნდა სტუდენტთა წერილი, რომელშიც დოც. ბ. მანჯგალაძის მუშაობა შეფასებული იყო, როგორც „საზოგადოებისთვის მავნე“. სტატიაში, რომელსაც ხელს აწერს ანონიმური ავტორი „მედგარი“, ბ. მანჯგალაძეს „ბრალი ედებოდა“:

- 1) ტიპურ ამოცანებს არ ახსნევენ სტუდენტებს;
- 2) იყო კონსულტაციების ჩაშლის მცდელობა;
- 3) იყო საკონსულტაციო საათების გადაწევის შემთხვევა;
- 4) იყო ლექციაზე დაგვიანების შემთხვევა;
- 5) სტუდენტებს არ განუმარტავს გაუგებარ საკითხებს;
- 6) იყო შემთხვევა, როდესაც მან დაიწუნა ლექტორის, დ. ავაზაშვილის, სწავლების მეთოდისა და სხვა მეთოდებს მიმართა.

ამის გამო მოწვეულ იქნა უმაღლესი მათემატიკისა და თეორიული მექანიკის კათედრების გაფართოებული სხდომა სტუდენტების მონაწილეობით.

ოქმი N7

1938 წლის 5 იანვარს ჩატარდა უმაღლესი მათემატიკისა და თეორიული მექანიკის კათედრის გაფართოებული სხდომა ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის უფროსის, პროფესორ კირილ ზავრიევის მონაწილეობით.

ესწრებოდნენ: კათედრის გამგე – პროფესორი შალვა მიქელაძე, წევრები: ნ. ბერგი, ბ. მანჯგალაძე, ი. კვიციანი, გ. ხახუბია, დ. ავაზაშვილი, ს. ხალილოვი, ნ. ასლანოვი, სასწავლო ნაწილის უფროსის მოადგილე – ვაშაკიძე, დეკანი – გვერდწითელი, მეცნიერ-მუშაკები: ვ. მამასახლისოვი, მ. მახვილაძე, დ. ავაქოვი და სტუდენტთა წარმომადგენლები (18 სტუდენტი).

დღის წესრიგი: 1 ინსტიტუტის კედლის გაზეთში დოცენტი ბ. მანჯგალაძის შესახებ მოთავსებული სტატიის განხილვა, შეფასება, რეაგირება. 2. მიმდინარე საკითხები - ზამთრის სესიების ჩატარების შესახებ.

მოისმინეს: 1. კათედრის გამგემ პროფ. შ. მიქელაძემ წევრებს სთხოვა განეხილათ საკითხი ობიექტურად, მიეცათ შეფასება სტუდენტთა ბრალდებისათვის. მან აღნიშნა, ბრალდება ძალიან მძიმეა და თუ აღმოჩნდა, რომ კედლის გაზეთში მოყვანილი ფაქტები რეალურია, მაშინ ასეთი თანამშრომლის ადგილი ინსტიტუტში არაა, ამიტომ დავნიშნე გაფართოებული სხდომა სხვადასხვა ჯგუფების სტუდენტთა მონაწილეობით. ხოლო თუ აღმოჩნდა, რომ გაზეთის ბრალდებები არ შეესაბამება სინამდვილეს, მაშინ გაზეთმა უნდა გამოაქვეყნოს უარყოფა და ამით მოხდეს დოც. ბ. მანჯგალაძის რეაბილიტაცია.

სიტყვით გამოვიდა სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი კ. ზავრიევი, რომელმაც მოიწონა ასეთი გაფართოებული სხდომის ჩატარება რეალობის დასადგენად. მოუწოდა ყველას, საკითხის განხილვისას გამოიჩინონ ობიექტურობა, არ ჩართონ არავითარი პირადული, საკითხი გაირჩეს საქმიანად, შეულამაზებლად.

პირველი სიტყვა ითხოვა სტუდენტმა ჯიქიამ. მან აღნიშნა, რომ იგი არის 12/D ჯგუფის წარმომადგენელი და მთელი ჯგუფის სახელით უფლებამოსილია განაცხადოს: სტატია არ შეესაბამება სინამდვილეს, რომ იგი არაა ყველა სტუდენტის აზრი, ეს არის ერთი ჯგუფის „ინტრიგა“, პირადული შურისძიება. პირიქით, დოცენტი ბ. მანჯგალაძე არის კარგი პედაგოგი, ხსნის მასალას გასაგებად, არც ერთ სტუდენტს არ ეუბნება უარს კონსულტაციებზე, მართალია, თავიდან ზოგი სტუდენტი უკმაყოფილო იყო იმით, რომ მაგალითები ბოლომდე არ მიჰყავდა, არითმეტიკულ ნაწილს გვიტოვებდა დამოუკიდებლად დასამთავრებლად, მაგრამ დეკანის დახმარებით ჩვენს შორის უთანხმოება აღმოიფხვრა, დღეს ძალიან ნორმალური დამოკიდებულება აქვს ჯგუფს მასთან, კმაყოფილი ვართ.

დაცვითი სიტყვით გამოვიდნენ სტუდენტები: ლებანიძე, ქრისტესაშვილი, თათაშვილი, მიროიანი, ასათიანი. სტუდენტმა ჩოგოვაძემ 12/C ჯგუფიდან აღნიშნა, რომ გაზეთის რედკოლეგიამ და სტატიის ავტორმა პასუხი უნდა აგოს იმის გამო, რომ ჩირქი

მოსცხო კარგ, მისაბამ მასწავლებელს. ზოგი სტუდენტი, მართალია, უკმაყოფილოა იმით, რომ მასწავლებელს ზოგიერთი (არა ყველა) მაგალითი არ დაჰყავს ბოლომდე, მაგრამ ხომ შეიძლება სტუდენტმა ბოლო, არითმეტიკული ნაწილი დამოუკიდებლად დაიყვანოს ბოლომდე. ჩემი ფიქრით, მასწავლებელი ამ საკითხში მართალია, იგი ლექციაზე არ უნდა ხარჯავდეს დროს წილადების შეკრება-გამოკლებაზე. სტატიის უმცირესი პროცენტიც კი არაა ჭეშმარიტება. დოც. ბ. მანჯგალაძე კონსულტაციებს გვიწევს არამართო მათემატიკაში, არამედ ფიზიკასა და თეორიულ მექანიკაშიც.

დამსწრე სტუდენტთა დიდი ნაწილი გამოვიდა სიტყვით და ყველამ დაადანაშაულა კედლის გაზეთი არაობიექტურობასა და ტენდენციურობაში.

პროფ. კ. ზავრიევმა წუხილი გამოთქვა, რომ კრებას არ ესწრებოდა რედკოლეგიის არც ერთი წევრი, ისინი დარწმუნდებოდნენ თავიანთ უმძიმეს შეცდომაში, რომ აჰყვნენ განაწყენებული სტუდენტების მცირე ნაწილს და შექმნეს ეს „პასკვილი“.

მან აღნიშნა, რომ იგი უკვე დარწმუნდა დოც. ბ. მანჯგალაძის სიმართლეში, რომ იგი სრულიად ართმევს თავს თავის საქმიანობას.

კრებამ შემდეგ სიტყვა მისცა სატრანსპორტო ფაკულტეტის ექსპლოატაციის განყოფილების მეორე კურსელ სტუდენტებს, დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებს და თანამშრომლებს, რომლებმაც ერთხმად დადებითად დაახასიათეს ბ. მანჯგალაძე - მას კარგი ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები აქვს, როგორც უმაღლეს მათემატიკაში, ასევე თეორიულ მექანიკაში.

სიტყვებით გამოვიდნენ ვ. მამასახლისოვი, დ. ავაზაშვილი, მ. მახვილაძე. მათ აღნიშნეს, რომ თავს ბედნიერად თვლიან ბ. მანჯგალაძესთან მუშაობით, მასწავლებელთან, რომელსაც გააჩნია პასუხისმგებლობა, რომლისგანაც ბევრი კარგი შეიძლება ისწავლო.

მოძრაობის ფაკულტეტის დეკანმა დოც. გვერდწითელმა აღნიშნა, რომ I კურსის სტუდენტები სასწავლო წლის დასაწყისში მოვიდნენ ჩემთან და გამოთქვეს უკმაყოფილება ბ. მანჯგალაძის სწავლების მეთოდების შესახებ, საქმის კურსში ჩავაყენე კათედრის გამგე პროფ. შ. მიქელაძე, რომელმაც მიიღო სათანადო ზომები, ახლა სტუდენტები უკვე კმაყოფილები არიან მისი მუშაობითაც და მისი მათდამი დამოკიდებულებითაც.

სხდომის ბოლოს პროფ. კ. ზავრიევმა აღნიშნა: „არ შეიძლება ჯგუფში არ აღმოჩნდეს ერთი მაინც განაწყენებული, უკმაყოფილო სტუდენტი, მაგრამ საჭიროა გავმიჯნოთ პირადული უკმაყოფილება მასწავლებლის საერთო კარგი თვისებებიდან“.

დაასკვნეს: სტატია არ შეესაბამება სინამდვილეს, საჭიროა პასუხი გაეცეს სტატიის ავტორს და გაზეთის რედკოლეგიას. აირჩიეს კომისია ვ. მამასახლისოვის, მ. მახვილაძის, დ. ავაზაშვილის შემადგენლობით, სტუდენტებმა თავის მხრივ კომისიაში შეიყვანეს ასათიანი, ჯიქია, კვირიკაშვილი. კომისიას დაევალა დამატებით შეისწავლოს საქმის ვითარება, კვლავ იქნა მოწვეული კათედრის გაფართოებული სხდომა, რომელსაც წარედგინა კომისიის დასკვნა.

კათედრის სპეციალურმა გაფართოებულმა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება: ჩვენი აზრი ერთადერთია – სტატია აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს. დოც. ბ. მანჯგალაძე არ იმსახურებს დადანიშნულებას, რომელიც ასე არაობიექტურად ჰქონდა წაყენებული, შემდეგ ჩამოთვლილია გამამართლებელი სიტყვები ბრალდების ყველა პუნქტთან დაკავშირებით:

- 1) დოც. ბ. მანჯგალაძე არის კეთილსინდისიერი და განათლებული თანამშრომელი.
- 2) მართალია, 1937 წლის 9 დეკემბერს ბ. მანჯგალაძემ კონსულტაცია სადამოს 6-8 საათების ნაცვლად 5-7 საათზე ჩაატარა, რადგან 1937 წლის 9 დეკემბერს 7 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნული იყო მეცნიერ-მუშაკების საერთო კრება, რომელსაც, როგორც მიწვეული დელეგატი, უნდა დასწრებოდა ბ. მანჯგალაძე, ყველგან ასეთ შემთხვევაში მეცნიერ-მუშაკებს ათავისუფლებენ სამუშაოდან, რათა დაესწროს ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებას, მაგრამ მანჯგალაძემ არ ისურვა კონსულტაციის გაცდენა და დანიშნა იგი 7 საათამდე, ე. ი. 5-7 საათებში. კონსულტაციების გაცდენა-გადაადგილების სხვა შემთხვევები არ ყოფილა. კომისიის დასკვნაში ასევე გაცემულია პასუხი ყველა დანარჩენ პუნქტებზეც.

ყველა ზემოთ თქმულის საფუძველზე უმაღლესი მათემატიკისა და თეორიული მექანიკის კათედრის გაფართოებული სხდომა მიმართავს გაზეთის რედკოლეგიას ამ წერილით და სხდომის ოქმით, რათა მოახდინოს დოცენტ ბაგრატ მანჯგალაძის სრული რეაბილიტაცია, ამოიღოს სტატია გაზეთიდან, ბოდიში მოუხადონ მას.

მე ეს შემთხვევა და ეს ოქმი ასე დაწვრილებით იმიტომ მოვიყვანე, რომ 1960-იან და შემდგომ წლებშიც ჰქონდა ადგილი სტუდენტებისაგან მასწავლებლების წინააღმდეგ „ინტრიგებს“, შანტაჟებს, მაგრამ თანამშრომლის ასეთი დაცვა ხშირ შემთხვევაში არ მომხდარა, რის გამოც ზოგიერთმა დამსახურებულმა პედაგოგმა აღარ ისურვა ინსტიტუტში მუშაობა.

ნუ ვატკენტ გულს პედაგოგებს დაუმსახურებლად განაწყენებული სტუდენტების მცირე ნაწილის „ინტრიგებით“.

კიდევ მინდა ერთი სხდომის ოქმი შემოგთავაზოთ.

ოქმი N13

1938 წლის 28 ივნისს შედგა უმაღლესი მათემატიკისა და თეორიული მექანიკის კათედრის სხდომა.

ესწრებოდნენ: პროფ. შ. მიქელაძე, წევრები: ნ. ბერგი, ბ. მანჯგალაძე, დ. ავაზაშვილი, დ. კვესელავა, ნ. ასლანოვი, ს. ხალილოვი, სპევაჩევსკაია, ვ. მამასახლისოვი, მ. მახვილაძე, მუმლაძე, გოთოშია, ლიასოცკი.

დღის წესრიგი: 1. მისაღები გამოცდების ორგანიზება.
2. გაზაფხულის სესიების შედეგების განხილვა.

კათედრის გამგე შალვა მიქელაძე კათედრას აცნობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მისაღები გამოცდების ნორმალურად ჩატარებას კათედრის შემდგომი მუშაობისთვის.

„მიმდინარე წელს ინსტიტუტში ჩარიცხულნი იყვნენ აბიტურიენტები, რომლებმაც მათემატიკაში მიიღეს არადამაკმაყოფილებელი ნიშნები, ზოგიერთი სტუდენტი რამდენიმეჯერ იქნა გამოცდილი“ – აღნიშნა მომხსენებელმა.

დაადგინეს: 1. ეთხოვოს სასწავლო ნაწილს, მისაღები გამოცდების კომისიამ ყურად იღოს მათემატიკის კათედრის წარგზავნილთა აზრი. მათემატიკის გამოსაცდელ კომისიაში აირჩიეს – კვირკველია, ლიასოცკი, მანჯგალაძე, ასლანოვი, ხალილოვი, ავაზაშვილი, კვესელავა, ხახუბია, მახვილაძე, სპევაჩევსკაია, კანდიდატებად კი აირჩიეს: ჩარეჩიშვილი, ფარცხალაძე, ფადევი და ავაქოვი.

2. პროფ. შ. მიქელაძე – ქართული სექტორი – შედეგები საშუალოდ დამაკმაყოფილებელია, ჩააბარა დაახლოებით 50%-მა, მიზეზი იმისა, რომ არაა უფრო მაღალი მოსწრება, შემდეგია: 1. მისაღებ გამოცდებზე ძალიან დაბალი ნიშნებით ჩარიცხული სტუდენტების დიდი რაოდენობა. 2. აუდიტორიების ნაკლებობის გამო ვერ მოხერხდა უფრო მეტი კონსულტაციების ჩატარება. 3. სტუდენტებს ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები უტარდებათ საღამოს საათებში. 4. ჯგუფები გადატვირთულია, 48 სტუდენტია ჯგუფში, ზოგჯერ პრაქტიკულ მეცადინეობას ფეხზე მდგომი უსმენს სტუდენტი, ჩაწერასაც ვერ ახერხებს. 5. ბევრი სტუდენტი გამოცდაზე დაგვიანებით ცხადდება.

ნ. ბერგი – რუსული სექტორი – II/II და II/T ჯგუფებში მოსწრება 75%-ია, II/Д – 78%. სტუდენტები ერთი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდნენ როგორც ცოდნით, ისე საგნებისადმი მიდგომით, მოტივაციით.

ნ. ასლანოვი – სომხური სექტორი – 30 გამოცხადებული სტუდენტიდან ჩააბარა 25-მა, ე.ი. 83%; გარდა დიდი რაოდენობის კონსულტაციებისა, გამოყოფილი იყო დამატებითი მეცადინეობები ამოცანების ამოხსნისათვის.

ს. ხალილოვი – აზერბაიჯანული სექტორი – 14/T ჯგუფში 25 გამოცხადებული სტუდენტიდან ჩააბარა 14-მა, ე. ი. 44%-მა, ხოლო 14/D ჯგუფში ვერც ერთმა სტუდენტმა ვერ ჩააბარა გამოცდა მათემატიკაში. ამ ჯგუფების შესახებ ბევრჯერ დავაყენეთ საკითხი, მაგრამ შედეგი ვერ მივიღეთ.

თეორიული მექანიკა

პროფ. შ. მიქელაძე – ქართული სექტორი – I კურსზე მოსწრება 50%-ია, II კურსზე – 75%.

ი. კვირკველია – რუსული სექტორი – ექსპლოატაციის ფაკულტეტზე ჩააბარა 75%-მა, მექანიკურ ფაკულტეტზე – 77%, სამშენებლო ფაკულტეტზე – 70%.

ნ. ასლანოვი – სომხური სექტორი – I პირველ კურსზე ჩააბარა 87%-მა, II კურსზე ჩააბარა – 100%-მა.

ს. ხალილოვი – აზერბაიჯანული სექტორი – II/T – 64%, II/Д – 50%, I კურსზე – 75%.

3. დაუსწრებელი სწავლების განყოფილება – სწავლების ხანგრძლივობა 6 წელია. მომხსენებელი დოცენტი ბ. მანჯგალაძე. მან აღნიშნა, რომ მექანიკაში I სემესტრში

მეცადინეობებს ატარებდა კვალიფიციური პედაგოგი კვირკველია, ახლა მის ნაცვლად მუშაობს გ. ხახუბია, რომელიც ყველა მონაცემით კარგად ხასიათდება.

უმაღლეს მათემატიკაში სტახანოველების ჯგუფში განსაკუთრებული გეგმით მუშაობს გამოცდილი პედაგოგი ა. დევიძე, Iკურსზე რუსულ სექტორზე მუშაობს დიდი სტაჟის მქონე პედაგოგი სპევაჩევსკაია. სტუდენტებისაგან იყო სიგნალი, რომ „იგი მეცადინეობებზე მოდის მოუმზადებელი, ელემენტარულ საკითხებს დიდხანს აჭიანურებს, რთულებს კი გასარჩევად დამოუკიდებლად გვაძლევს.“ მე დავესწარი მის მეცადინეობებს, უხეში შეცდომები მას არ დაუშვია, თუმცა ხარვეზები იყო. დანარჩენ ჯგუფებში უმაღლეს მათემატიკას ვუძღვები მე (ზ. მანჯგალაძე).

კათედრის გამგემ პროფ. შ. მიქელაძემ განაცხადა, რომ თვეში ერთხელ პირადად დაესწრება თითოეულ მასწავლებელს ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობაზე.

ასევე კათედრის ყველა წევრმა აიღო ვალდებულება დაესწროს გამოცდილ, წარჩინებულ მასწავლებლებს ლექციებზე, გაუზიარონ ერთმანეთს აზრები და მიიღონ გამოცდილება.

ოქმი N1

1955 წლის 13 იანვარი. უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე ელიზბარ წითლანაძეა.

ესწრებოდნენ: პროფ. ე. წითლანაძე, დოც. ნ. ბერგი, დოც. ხვოლესი, დ. ავაზაშვილი, დოც. პ. კოლონია, ასისტენტები: ა. კარაპეტანი, ნ. ნიშნიანიძე, თ. ყიფიანი, ლ. შავლიაშვილი, ი. მამუჩიშვილი, კ. გვაზავა.

ერთ-ერთი საკითხი იყო ასისტენტ კ. გვაზავასათვის შუამდგომლობის გაწევა მისთვის ასპირანტურაში ერთ წლიანი მივლინების შესახებ მოსკოვში დისერტაციაზე მუშაობისთვის, რაც დაკმაყოფილებულ იქნა. 1958 წლის 8 ნოემბრის სხდომაზე კ. გვაზავას უკვე მიენიჭა დოცენტის წოდება.

ოქმი N16

1955 წლის 21 მაისს შედგა უმაღლესი მათემატიკის კათედრის სხდომა.

მოისმინეს: უმაღლესი მათემატიკის კათედრაზე ლაბორატორიის ორგანიზაციის შესახებ.

პროფ. ე. წითლანაძემ განაცხადა იმის შესახებ, რომ ახალ პროგრამაში გათვალისწინებულია გამოთვლითი მათემატიკის განვითარება, საჭიროა საკითხების ჩამოთვლა, რომლებიც უნდა იქნას შეტანილი ლაბორატორიულ მეცადინეობებში.

დაადგინეს: კათედრა თვლის აუცილებლად:

1. შეძენილ იქნას ლოგარითმული სახაზავები – 15 ცალი;
2. შეძენილ იქნას არითმომეტრები – 20 ცალი მექანიკური, 10 – ელექტრული;
3. ნატურალური სიდიდეების ცხრილები (ბარლოუს და სხვა);
4. გამოიყოს შესაბამისი ფართი ლაბორატორიული მეცადინეობების ჩასატარებლად;

გეგმაში შეტანილ იქნას საკითხები (ვიდრე დამტკიცდება ოფიციალური პროგრამა):

1. ცხრილებით სარგებლობა – 2 საათი;

2. ლოგარითმული სახაზავი – 7 საათი;
3. არითმომეტრი – 4 საათი;
4. გამოთვლების ცდომილობების შეფასება – 2 საათი;
5. ემპირიული ფუნქციები – 5 საათი.

კათედრა ავალებს ლ. შავლიაშვილს, რომელსაც აქვს გარკვეული მომზადება და გამოცდილება, მიიღოს მონაწილეობა ამ საკითხების მოგვარებაში, ამავე დროს სასწავლო ნაწილის წინაშე დაისვას საკითხი ლ. შავლიაშვილის ასისტენტად გადაყვანის შესახებ.

სამეცადინო ცხრილებში გათვალისწინებულ იქნას სპეციალური საათები ლაბორატორიული სამუშაოებისათვის. მიეცეთ წინადადება ასისტენტებს ნ. ნიშნიანიძეს, ი. მამუჩიშვილს, თ. ყიფიანს, ნ. მახვილაძეს დაიწყონ ლოგარითმული სახაზავის შესწავლა.



1960 წლიდან გამოთვლითი მათემატიკის ლაბორატორიას ხელმძღვანელობს დოც. ნ. ართმელაძე.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის №3 კათედრა

1936-1959 წწ.

1959-1989 წწ.

1990 წ. 6/I-დან



ვ.ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობა

1959 წელს საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი და თბილისის რკინიგზის ინსტიტუტი გაერთიანდა და შეიქმნა ვ.ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1958 წლამდე უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე იყო პროფესორი ამბროსი რუხაძე. 1959 წელს კათედრის გამგედ დაინიშნა პროფესორი დ. ავაზაშვილი, მისი გარდაცვალების (1984წ) შემდეგ კათედრის გამგედ არჩეული იქნა პროფ. ა. ლაშხი (1984 წლის მაისიდან 1985 წლის აგვისტომდე, იგი დღეს გამოყენებითი მათემატიკის კათედრის გამგეა), 1986 წელს იგი პროფ. ლ. მძინარიშვილმა შეცვალა.



ცნობილი ქართველი მათემატიკოსი და მექანიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ამბროსი კალისტრატეს ძე რუხაძე** დაიბადა 1905 წლის 5 მაისს. 1928 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის მათემატიკური დარგის სრული კურსი და სხვა ქართველ მათემატიკოსთა ჯგუფთან ერთად, ნ. მუსხელიშვილის რეკომენდაციით, მივლინებული იყო პეტერბურგში სამეცნიერო კვალიფიკაციის ასამაღლებლად. იმ პერიოდში ნ. მუსხელიშვილი გამოსაცემად ამზადებდა მონოგრაფიის – “დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა” პირველ გამოცემას და ხშირად

ჩადიოდა პეტერბურგში მიღებულ შედეგებზე მოხსენების წასაკითხად. სწორედ ამ შედეგების შესწავლამ განსაზღვრა ა. რუხაძის მეცნიერული ინტერესი. პირველი ორი შრომა მან ი. ვეკუასთან თანაავტორობით პეტერბურგში შეასრულა და გამოაქვეყნა. ეს ინტერესი სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ა. რუხაძის გამოკვლევები შედგენილი ძელების გრებისა და ღუნვის ამოცანებში. მის მიერ შემოღებული ე.წ. “განზოგადებული ცენტრის” ცნება, რომელიც ინერციის ცენტრის მოხდენილ განზოგადებას წარმოადგენს, არსებით როლს ასრულებს სხვადასხვა დრეკადი მასალისგან შედგენილი ძელების დეფორმაციის საკითხების შესწავლისას.

1937 წელს ა. რუხაძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1948 წელს – სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა პროფესორის წოდება.

ა. რუხაძის შრომები დრეკადობის მათემატიკურ თეორიაში, რომელთა რიცხვი ასამდეა, კარგადაა ცნობილი როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამ დარგში მან მოამზადა 25-მდე კანდიდატი და 3 მეცნიერებათა დოქტორი. ა. რუხაძე 1930 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა ნაყოფიერ მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც 14 წლის განმავლობაში (1944-1958წ.წ) ხელმძღვანელობდა უმაღლესი მათემატიკის კათედრას.

მისი პედაგოგიური საქმიანობა არ შემოფარგლულა რაიმე ერთი დისციპლინით, მისი სასწავლო კურსები შეადგენდა საუნივერსიტეტო მათემატიკური საგნების ვრცელ სიას (დაწყებული მექანიკიდან ვარიაციათა აღრიცხვის ჩათვლით). პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უცვლელად კითხულობდა უმაღლესი მათემატიკის სრულ კურსს. ა. რუხაძის ლექციები მაღალი მეცნიერული და პედაგოგიური ოსტატობის ნიმუშს წარმოადგენდა და განსაკუთრებით იზიდავდა სტუდენტ-ახალგაზრდობას.

აღსანიშნავია ბატონი ამბროსის ღვაწლი უმაღლესი მათემატიკის სახელმძღვანელოების შექმნაში, ჯერ პროფ. ა. ხარაძესთან ერთად, შემდეგ დამოუკიდებლად. მისი “უმაღლესი მათემატიკის კურსი” (ორტომეული) რამდენჯერმე გამოიცა და იგი საინჟინრო სპეციალობის სტუდენტთა სამაგიდო წიგნად იქცა. ა.რუხაძის სახელმძღვანელოებზე მთელი თაობები აღიზარდა.

1967 წელს ა. რუხაძეს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. მისი ღვაწლი აღინიშნა მრავალი მედლით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და ღირსების ორდენით. 1995 წლის 2 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ფართოდ აღინიშნა ცნობილი მათემატიკოსისა და პედაგოგის ამბროსი რუხაძის დაბადების 90 წლისთავი. გამოჩენილი მეცნიერის სახელი ეწოდა სასწავლო აუდიტორიას. იგი დაჯილდოვდა “ღირსების ორდენით”.

ამბროსი რუხაძე გარდაიცვალა 1998 წლის 17 ოქტომბერს, მას დიდი პატივი მიაგო საზოგადოებამ. ამბროსი რუხაძის ნაღვაწი მუდამ იბრწყინებს ქართული მათემატიკური სკოლის თანავარსკვლავედში.



ცნობილი ქართველი მათემატიკოსი, მეცნიერი და პედაგოგი **დავით ზაქარაიას ძე ავაზაშვილი** დაიბადა 1911 წლის 16 სექტემბერს, ყვარელში. იქვე მიიღო დაწყებითი განათლება, საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1937 წ. წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და გახდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ასპირანტი. მის მუშაობას მათემატიკურ ფიზიკაში ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, შემდეგ – ვ. კუპრაძე.

1940 წელს დ. ავაზაშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: "მაქსველის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამონახსნის ერთადერთობის დამტკიცება უსასრულო არაერთგვაროვან არეში".

1944-49 წლებში დ. ავაზაშვილი მუშაობდა ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. ამ პერიოდში იგი კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენებით იკვლევდა ბრტყელი დრეკადობის თეორიის და პოტენციალთა თეორიის სასაზღვრო ამოცანებს.

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით მიღებული ადრინდელი შედეგები შევიდა ისეთ ცნობილ გამოცემებში, როგორცაა ვ. სმირნოვის მრავალტომეული, "უმაღლესი მათემატიკის კურსი" (1941 წლის გამოცემა, IV ტომი), ნ. მუსხელიშვილის "სინგულარული ინტეგრალური განტოლებები (1946 წლის გამოცემა), ა.სოკოლნიკოვის "დრეკადობის მათემატიკური თეორია" (1946 წლის გამოცემა). შემდგომ წლებში დ. ავაზაშვილი იკვლევდა სივრცული დიფრაქციის თეორიის სასაზღვრო ამოცანებს, რის შემდეგაც, 1958 წელს, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე "ელექტრომაგნიტური რხევის დიფრაქციის ამოცანა". 1959 წელს მას პროფესორის წოდება მიენიჭა გამოყენებითი მათემატიკის დარგში. დ. ავაზაშვილის კვლევითი მუშაობის შედეგები ასახულია სამეცნიერო პერიოდიკაში გამოქვეყნებულ სამოცზე მეტ ნაშრომში.

დ. ავაზაშვილი ასპირანტურის წლებიდანვე აქტიურად იყო ჩართული საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე სასწავლო პროცესში. სხვადასხვა წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ინდუსტრიულ ინსტიტუტში, სატყეო ინსტიტუტში, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში, სადაც მისი დამსახურება რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა მომზადების საქმეში აღინიშნა ადმინისტრაციული სამსახურის დირექტორ-პოლკოვნიკის წოდების მინიჭებით.

1959 წლიდან დ. ავაზაშვილის მოღვაწეობა მთლიანად დაკავშირებულია თბილისის ორი უმაღლესი სასწავლებლის – რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა და ინდუსტრიული ინსტიტუტების ბაზაზე შექმნილ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან, სადაც 1960-1984 წლებში ხელმძღვანელობდა უმაღლესი მათემატიკის კათედრას. საინჟინრო კადრების მომზადების საქმეს მან მიუძღვნა არაერთი მეთოდური ხასიათის პუბლიკაცია და დამხმარე სახელმძღვანელო.

დ. ავაზაშვილს 1967 წელს საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. იგი დაჯილდოებული იყო "საპატიო ნიშნის" ორდენით, მედლით "შრომითი მამაცობისათვის".

ბატონი დავითი იყო უაღრესად კეთილშობილი, სპეტაკი პიროვნება, ამასთან ერთად მეტად პრინციპული და მომთხოვნი საკუთარი თავისა და კოლეგების მიმართ.

დავით ავაზაშვილი გარდაიცვალა 1984 წელს. იგი დიდი გულისტკივილით გააცილა ფართო საზოგადოებამ უკანასკნელ გზაზე.



ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლეონარდ დიმიტრის ძე მძინარიშვილი** დაიბადა 1938 წლის 4 იანვარს, თბილისში. 1956 წელს დაამთავრა თბილისის 70-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1961 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1961-1964 წლებში სწავლობდა ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი 1968 წლიდან. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი 1980 წლიდან, პროფესორის წოდება მიენიჭა 1989 წელს.

შრომები: ნაშრომთა სრული სია მოიცავს 50 დასახელებას, მათ შორის 6 სახელმძღვანელო, 8 საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი.

ენების ცოდნა: ქართული (მშობლიური), ინგლისური, რუსული.

სამუშაო გამოცდილება:

2007.09-დღემდე – სტუ, სრული პროფესორი, ალგებრა-გეომეტრიის მიმართულების ხელმძღვანელი;

1986.11-2007.09 – სტუ, პროფესორი, უმაღლესი მათემატიკის №3 კათედრის გამგე;

1964-1986 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტი (უმცროსი, უფროსი, წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი).

შეთავსებითი სამუშაო:

1969 – 1971 – თსუ, დოცენტი;

1983 – 1985 – თსუ, პროფესორი.

პროფესიონალური საზოგადოებების წევრობა:

1981 წლიდან – მეცნიერებათა დოქტორის ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოების წევრი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი);

1994 წლიდან – საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

სამეცნიერო გრანტები:

1982 – გერმანიის სამეცნიერო დეპარტამენტის გრანტი;

1984 – 1985 – პოლონეთის სამეცნიერო აკადემიის გრანტი;

1988 – იტალიის მათემატიკური საზოგადოების გრანტი;

1989 – კანადის მათემატიკური საზოგადოების გრანტი;

1990 – აშშ მათემატიკური საზოგადოების გრანტი;

1990 – იაპონიის მათემატიკური საზოგადოების გრანტი;

1993 – ინგლისის სამეფო საზოგადოების გრანტი;

1995-1996 – გერმანიის სამეცნიერო დეპარტამენტის გრანტი;

1994 (შვეიცარია), 1998 (გერმანია), 2006 (ესპანეთი) – მსოფლიო მათემატიკოსთა კავშირის გრანტი;

2006–2009 საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი;

2008 – საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი;

2010 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრანტი;

სამეცნიერო მიწვევები უცხოეთის უნივერსიტეტებში და კონფერენციებზე:

გერმანია: ჰაიდელბერგის, ბოხუმის, მიუნხენის, ფრანკფურტის, ობერვოლფახის უნივერსიტეტები (1982-1996);

ინგლისი: ოქსფორდის, ლონდონის, კემბრიჯის უნივერსიტეტები (1990);

იტალია: ტურინოს, პადუას, ლეჩეს, ლაქვილას უნივერსიტეტები (1988);

კანადა: სენტ-ჯონსონის, ტორონტოს, კინგსტონის, ჰამილტონის უნივერსიტეტები (1989);

იაპონია: ცუკუბას უნივერსიტეტი (1990);

აშშ: ბერკლის, სტენფორდის, ჩიკაგოს უნივერსიტეტები (1990);

პოლონეთი: კრაკოვის უნივერსიტეტი (1985).

კიდევ ერთხელ გადავაგვლოთ თვალი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკისა და თეორიული მექანიკის კათედრის თანამშრომელთა სიას დაარსებიდან 1960 წლამდე

პროფესორები

1	დავით ავაზაშვილი	მათემატიკა, მექანიკა
2	ფ. განტმახერი	მათემატიკა, მექანიკა
3	არჩილ გულისაშვილი	მხაზველობითი გეომეტრია
4	ილია ვეკუა	მექანიკა
5	პოლიკარპე ზერაგია	მათემატიკა, მექანიკა
6	ვიქტორ კუპრაძე	უმაღლესი მათემატიკა
7	ს. ლეიბენზონი	მათემატიკური ანალიზი, მექანიკა
8	შალვა მიქელაძე	მათემატიკა, მექანიკა
9	მერაბ მიქელაძე	მექანიკა
10	ნიკოლოზ მუსხელიშვილი	მექანიკა
11	ანდრია რაზმაძე	მათემატიკა
12	ამბროსი რუხაძე	მათემატიკა, მექანიკა
13	გიორგი ნიკოლაძე	მათემატიკა
14	ელიზბარ წითლანაძე	მათემატიკა, მექანიკა
15	არჩილ ხარაძე	მათემატიკა
16	ბორიხ ხვედელიძე	მათემატიკა

დოცენტები და ლექტორები

1	ლიპარიტ აგამირზანი	მექანიკა
2	გიორგი არეშკინი	მექანიკა
3	ნინო ართმელაძე	მათემატიკა
4	კონსტანტინე ასლანოვი	მათემატიკა
5	ნ. ბარანოვსკი	მათემატიკა, მხაზველობითი გეომეტრია
6	აკაკი ბარკალაია	მათემატიკა
7	გიორგი ბახტაძე	მექანიკა
8	ანდრო ბეგიაშვილი	მათემატიკა, მექანიკა
9	ავთანდილ ბენდუქიძე	მათემატიკა
10	ნინა ბერგი	მათემატიკა
11	გიორგი გაბუნია	მათემატიკა
12	ივანე გაჩეჩილაძე	მათემატიკა
13	ევგენი გეგელაშვილი	მექანიკა
14	ივანე გვარაშვილი	მათემატიკა, მხაზველობითი გეომეტრია
15	ვალენტინ გიგინეიშვილი	მათემატიკა
16	ლევან გოკიელი	მათემატიკა
17	გრიგოლ გოლუბი	მათემატიკა, მექანიკა
18	ალექსი გორგიძე	მათემატიკა, მექანიკა
19	ვახტანგ გოგოლაძე	მათემატიკა, მექანიკა
20	ალექსანდრე დევიძე	მათემატიკა
21	დავით დოლიძე	მექანიკა
22	ვ. ელიაშვილი	მათემატიკა
23	არჩილ ელიაშვილი	მათემატიკა
24	დარეჯან ვაშაკიძე	მათემატიკა
25	გიორგი თევზაძე	მექანიკა
26	ალექსანდრე კაკუშაძე	მექანიკა
27	მაკარ კარაპეტიანი	მათემატიკა
28	დავით კვესელავა	მათემატიკა
29	ნიკოლოზ კვინიკაძე	მათემატიკა
30	ივანე კვიციანი	მექანიკა
31	მიხეილ კონიაშვილი	მათემატიკა
32	ნიკო ლომჯარია	მათემატიკა, მექანიკა
33	ა. ლურსმანაშვილი	მათემატიკა
34	გვანჯი მანია	მათემატიკა
35	ბაგრატ მანჯგალაძე	მათემატიკა, მექანიკა
36	კონსტანტინე მარჯანიშვილი	მათემატიკა
37	მიხეილ მახვილაძე	მათემატიკა
38	ლეო მალნარაძე	მათემატიკა, მექანიკა

39	მელიქ-ფარსადანოვი	მათემატიკა
40	ა. მგალობლიშვილი	მათემატიკა
41	ნიკო მგელაძე	მათემატიკა
42	რაჟდენ მენტეშაშვილი	მათემატიკა
43	ვასილ მეცუგოვი	მექანიკა
44	იასონ მეცხვარიშვილი	მათემატიკა
45	მათე მირიანაშვილი	მექანიკა
46	ვახტანგ ჟღენტი	მათემატიკა, მექანიკა
47	ალექსანდრე სანიკიძე	მათემატიკა
48	ფილიმონ სიგუა	მათემატიკა
49	აფრასიონ სიხარულიძე	მათემატიკა
50	ივანე ტარასაშვილი	მათემატიკა
51	მელქისედეგ ფარცხალაძე	მათემატიკა
52	სიმონ შათაშვილი	მექანიკა
53	ალექსი შარაგია	მექანიკა
54	არჩილ შანშიაშვილი	მექანიკა
55	გრიგოლ ჩხიკვაძე	მექანიკა
56	ივანე ცაგარეიშვილი	მექანიკა
57	გაიოზ ჭანკვეტაძე	მექანიკა
58	ვლადიმერ ჭელიძე	მათემატიკა, მექანიკა
59	ევგენი ჭოლოშვილი	მათემატიკა
60	ზაიდ ხალილოვი	მათემატიკა, მექანიკა
61	გალაქტიონ ხახუბია	მათემატიკა, მექანიკა
62	ადამ ჩახტაური	მექანიკა
63	დავით ხარაზოვი	მათემატიკა, მექანიკა
64	გაიოზ ხატიაშვილი	მექანიკა
65	ალექსანდრე ხვოლესი	მექანიკა

ასპირანტები, ასისტენტები და მასწავლებლები

1	ნიკოლოზ აბდულაევი	მექანიკა
2	გიორგი აბდუშელიშვილი	მათემატიკა
3	ალმასხან ალბუთაშვილი	მათემატიკა
4	თინათინ ამაშუკელი	მათემატიკა
5	ნინო ახვლედიანი	მათემატიკა
6	სამსონ ბერძენიშვილი	მათემატიკა
7	გიორგი ბიწაძე	მათემატიკა
8	თენგიზ ბურჭულაძე	მათემატიკა
9	დემიტრი გამყრელიძე	მექანიკა
10	კალისტრატე გახარია	მექანიკა
11	გიორგი გეგელაშვილი	მათემატიკა

12	გურამ გვაზავა	მათემატიკა
13	ნიკოლოზ გიორგობიანი	მათემატიკა
14	რობერტ გოქსაძე	მათემატიკა
15	არჩილ გოჩიაშვილი	მექანიკა
16	გიორგი დანელია	მექანიკა
17	დალილა დოლიძე	მათემატიკა
18	გივი ვაზაგაშვილი	მათემატიკა
19	ლამარა ვეკუა	მათემატიკა
20	ნ. თავდგირიძე	მათემატიკა
21	სერგო კანკავა	მექანიკა
22	მედეა კეკელია	მათემატიკა
23	ქეთევან კარვალიშვილი	მათემატიკა
24	გიორგი კომლაძე	მათემატიკა
25	ი. ლიასოცკი	მათემატიკა
26	იოსებ მამუჩიშვილი	მათემატიკა
27	ნოდარ მახვილაძე	მათემატიკა, მექანიკა
28	მაყვალა მელია	მათემატიკა
29	ქეთევან მესხი	მათემატიკა, მექანიკა
30	შოთა მიხელაძე	მათემატიკა
31	ნუნუ ნიშნიანიძე	მათემატიკა
32	გოჩა ოსიძე	მათემატიკა
33	ქეთევან სარალიძე	მათემატიკა
34	პერიკო სიმონგულოვი	მათემატიკა
35	ანრი სულიკაშვილი	მათემატიკა
36	ციცია ტარყაშვილი	მათემატიკა
37	ნ. ფლორინსკი	მათემატიკა
38	ლეო ქავთარაძე	მათემატიკა
39	ერგი ქიქოძე	მათემატიკა
40	თამარ ყიფიანი	მათემატიკა
41	ლიანა შავლიაშვილი	მათემატიკა, მექანიკა
42	შახბაზიანი	მათემატიკა
43	რევაზ ცხვედაძე	მექანიკა
44	ოთარ წერეთელი	მათემატიკა
45	გიგლა წივწივაძე	მათემატიკა
46	ევგენი ხარაძე	მექანიკა
47	გრიგოლ ხაჭალია	მათემატიკა, მექანიკა
48	თ. ჯავახიშვილი	მათემატიკა
49	ალექსანდრე ჯოჯუა	მექანიკა

დრო გადიოდა, ბევრი მათგანი გახდა დოცენტი, პროფესორი.
მათემატიკის კათედრა იწოდება უმაღლესი მათემატიკის №3 კათედრად.
კათედრის უხუცესები



ნინო ართმელაძე



გიორგი ბიწაძე



გალაქტიონ ხახუბია, ვლადიმერ ჭელიძე, ნიკოლოზ ლომჯარია და სატრანსპორტო
ფაკულტეტის კათედრის გამგე ლევან აბელიშვილი (1960 წელი)

კათედრის კოლორიტები



თენგიზ ბურჭულაძე




გივი ვაზაგაშვილი



გივი მირზიაშვილი



სულიკო გველესიანი



დემეტრი ზიწაძე



მირზა გელაშვილი



ეო ქავთარაძე

უმალესი მათემატიკის N3 კათედრის სხდომა, 1962 წელი



მარცხნიდან მარჯვნივ: I რიგი - ნონა თარხნიშვილი, ნინო ართმელაძე, თინა ამაშუკელი, მედეა კეკელია, თამარ ზანდუკელი, ინგა ყურაშვილი, თინა ყურაშვილი.

II რიგი - აღმასხან ალბუთაშვილი, რუიზან ავთანდილაშვილი, ლიდა ბერიძე.

III რიგი - გიორგი ბიწაძე, თემურ მელიქიძე, ავთანდილ კვალიაშვილი



ლია პაპისმედოვი, დავით ჯანაშვილი, თამაზ ლაზრიშვილი, ნიკო ლომჯარია,
დავით ავაზაშვილი, კარლო ჟვანია, მომხსენებელი ისტორიის
კათედრის დოცენტი გრიგოლ ბრეგვაძე.



თამაზ ლაზრიშვილი, ლეო ქავთარაძე, გალაქტიონ ხახუზია, კოტე გვაზავა, მერაბ აღნიაშვილი, მირზა გელაშვილი, სიმონ შათაშვილი, ამბროსი რუხაძე, თინა რუხაძე, ჰამლეტ ჩირიკაშვილი, როლანდ რუხაძე

უმადლესი მათემტიკის კათედრა ქალაქგარეთ



დგანან: გვი ფარასტაშვილი, გოგი ყირმელაშვილი, როლანდ რუხაძე, ომარ კახიანი.
სხედან: გიორგი ბიწაძე, თინა რუხაძე, მედეა კიკელია, დემური ბიწაძე, ნიკო ლომჯარია,
დავით ავაზაშვილი, თინა ბობილაშვილი, თინა ყურაშვილი.



დგანან: 1 - ნიკო დურგლიშვილი, 5 - სულიკო გველესიანი, 7 - როლანდ რუხაძე, 8 - გიორგი ბიწაძე, 10 - კოტე გვაზავა, 11 - ეკა გვაზავა, 12 - მედეა კვიციანი, 13 - თამაზ მოსიძე. სხედან: 2 - ნიკო ზურდული, 3 - ენძელა გაბუნია, 4 - თინა ყურაშვილი, 5 - თამარ ზანდუკელი, 6 - თინა რუხაძე, 7 - დავით ავაზაშვილი, 8 - ამბროსი რუხაძე. წინ: მირზა გელაშვილი, ალიონა ბუაძე.



უმადლესი მათემატიკის N3 კათედრა 1983 წელს.

ზემოდან I რიგში დგანან: გივი მირზიაშვილი, სულიკო გველესიანი, როლანდ რუხაძე, დემურ ბიჭაძე, გოგი ყირმელაშვილი, ლეო კავთარაძე, -, ომარ კახიანი. II რიგში: დავით ჯანაშვილი, გივი ფარასტაშვილი, ამბროსი რუხაძე, დავით ავაზაშვილი, რუსიკო ლომიძე, ნანა მუქერია, -, III რიგში: გიორგი ბიჭაძე, თამარ ფიცხელაური, ნინო ართმელაძე, ნიკო ლომჯარია, ციცო ბუჩუკური. IV რიგში: თინა რუხაძე, ნონა თარხნიშვილი,

ლიდა ბერიძე, თინა ამაშვილი, იკა გვაზავა, თინა ყორაშვილი



ქუთაისში მისაღები გამოცდების შემდეგ სტუმრად მაიაკოვსკში.

დგანან: 1 - კარლო ჟვანია, 3 - ლეო ქავთარაძე. სხედან: 2 - ელიზბარ ცისკარიშვილი, 3 - თენგიზ გემელია, 4 - კოტე გვაზავა, 5 - იოსებ მამუჩიშვილი.


კათედრასთან არსებული მათემატიკური წრის მეცადინეობებზე



ალმასხან ალბუთაშვილი, ემზარ რთველიაშვილი, მირზა გელაშვილი, ამირან დავითაძე,
როლანდ რუხაძე, მამუკა ნადარეიშვილი, დემური ბიწაძე
უცხოელ სტუდენტებთან ერთად



ლაბორატორიული მეცადინეობები უმაღლესი მათემატიკის პრაქტიკუმში



ასისტენტი ნონა თარხნიშვილი, 1962 წელი.



ასისტენტი ლიდა ბერიძე, 1963 წელი.

კათედრის ღვაწლმოსილი, ყველასათვის საყვარელი დათიკო ჯანაშვილს იუბილეს
ულოცავენ კათედრის თანამშრომლები



დათიკო ჯანაშვილი, ლიდა ბერიძე



ონისე სურმანიძე, თინა ბიბილაშვილი, ეკა გვაზავა,



მარცხნიდან მარჯვნივ: ტრისტან ბუაძე, გივი ფიფია, ნოდარ ხომერიკი, ნიკო ბურდული, სოსო გალახვარიძე, გივი ჯავახიშვილი, ონისე სურმანიძე, თინა ბიბილაშვილი.



მარცხნიდან მარჯვნივ: იუზა წერეთელი, ტრისტან ბუაძე, გივი ფიფია, ნოდარ ხომერიკი.



მარცხნიდან მარჯვნივ: ნოდარ ხომერიკი, ონისე სურმანიძე, ლეონარდ მძინარიშვილი.

№3 კათედრა ექსკურსიაზე ვარძიაში



მარცხნიდან მარჯვნივ: ამირან დავითაძე, გივი მირზიაშვილი, ლეონარდ მძინარიშვილი, თამარ ფირცხალავა, თამარ ესიტაშვილი, თემურ ბათლიძე, ნოდარ ხომერიკი, ომარ კახიანი, ლიდა ბერიძე.

ნინო ჩეჩელაშვილი, იზა ლომია, რუსიკო ლომიძე




კათედრის ქალბატონები 8 მარტს აღნიშნავენ




კათედრის ქალბატონები შესვენებაზე:
ნინო ჩეჩელაშვილი, ნანა ექსეულიძე, ნანა მუქერია.



ინგა ყურაშვილი



რამინ დიხამინჯია



ნანა მუქერია



ომარ კახიანი

უაღრესად დიდია ჩვენი გულისტკივილი თქვენი უდროოდ გარდაცვალების გამო



ცალკე მინდა გამოვყო, გავესაუბრო და მოვეფერო ემზარ რთველიაშვილს, რომელსაც ამ ქვეყანაზე ყოფნის 40 წელიც არ ჰქონდა შესრულებული (1958 წლის 19 აგვისტო - 1998 წლის 16 თებერვალი). ეს იმიტომ გადავწყვიტე, რომ დროზე დავაფასოთ ნიჭიერი ახალგაზრდები და გავუფრთხილდეთ მათ.

ამბობენ მოგონება წარსულთან შეხვედრააო. ჩვენც ვიგონებთ დღეებს, რომლებიც ასე მოულოდნელად, ასე ნაუცბათევად წარსულად გადაიქცა და შენ, რა მწარე სათქმელიც არ უნდა იყოს, ამიერიდან წარსულის მკვიდრი გახდი, იმ ქვეყნის სამარადისო მოზინადრე.

ადამიანები იმიტომ კვდებიან, რომ კაცობრიობამ იცოცხლოს, ყველას თავისი ზღვარი აქვს დაწესებული. სანამ

ამქვეყნად ვართ, სიცოცხლემ სიკვდილი უნდა დათრგუნოს. ჩვენ, შენს მოსიყვარულე ადამიანებს, გულდამძიმებულებს, ვერ აგვიხსნია, შენს წინაპრებთან შეყრა ასე რატომ იჩქარე.

ძალზე ძნელია, ჩემო ემზარ, შენ შესახებ წარსულ დროში საუბარი. შენი თავმდაბლობის, მორიდებულობისა და მოკრძალებულობის გამო ბევრჯერ იყავი ჩრდილში, ბევრმა არ იცოდა შენი მრავალმხრივობის, დიდი ცოდნის, თითქმის ვუნდერკინდობის შესახებ. შენ ხომ „ცოცხალ ენციკლოპედიას“ გიწოდებდით. კითხვაზე „შენთვის სადოქტორო დისერტაციის დაცვა ხომ არავითარ პრობლემას არ წარმოადენს“, შენ ხშირად პასუხობდი: „ერთი ქალაქის წაღება იმქვეყნად რამეს წარმოადგენს განა? მთავარია ხალხის სიყვარული წაიღო ამ ქვეყნიდან.“ რა იყო ეს? ნუთუ გრძნობდი შენს ასე სწრაფად წასვლას ამ ქვეყნიდან?

სტუდენტების განსაკუთრებული სიყვარული გქონდა, ასეთივე დიდი სიყვარული ჰქონდათ მათ შენი, ისეთი მიდგომა გქონდა სტუდენტებთან, ბევრ გამოცდილ პედაგოგსაც შემურდებოდა.


„მშობლიურ კუთხესთან - ძეგვთან შენ მისტიური განცდა და ხედვა გაკავშირებდა. აქედან აცნობიერებდი საქართველოს დანარჩენი რეგიონების ხიბლსა და განუმეორებლობას, ქართული სოფლის წიაღში ხედავდი ქართულ მენტალურ წყაროებს და მათ სათავეებს. შენთვის ქართული სულიერების აკვანი და საარსებო სივრცე სოფელი

იყო, ქალაქს ძნელად ეგუებოდი, სოფლური სითამამე და სიმაღლე აკლიაო“ (თ. ჯაგოდნიშვილი). ამიტომაც იყო, რომ საფრანგეთიდან მიწვევას არ დათანხმდი, გამიჭირდება საქართველოს, ძეგვის გარეშეო.

ახლა მაინც რომ გამეგო მეტი შენ შესახებ, გამეცნო შენი თავი მომავალი თაობებისთვის, ჩავედი ძეგვში, მოვინახულე შენი ოჯახი, დედა, შვილი, შვილიშვილი ნიკოლოზი, რომელსაც შენ, ცხადია, არ იცნობ, მაგრამ მან იცის, რომ „ძალიან მაგარი ემზარი“ ჰყავდა. ვესტუმრე შენს დას ნატოს და დისშვილს ბექნუს, რომელსაც, თურმე, შენი გზა, მათემატიკოსობა, აურჩევია. მოვინახულე შენი მასწავლებლები, შემდგომში უკვე შენი კოლეგები, შენ ხომ იმავე სკოლაში დაიწყე მუშობა მათემატიკის მასწავლებლად და შემდეგ გახდი პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის დოცენტი, მოვინახულე შენი ყოფილი მოსწავლეებიც. ყველა მათგანი ერთხმად აღიარებს შენს მრავალმხრივობას, ღრმა ცოდნას ბევრ საკითხში.

მითხრეს, სახელი „ემზარი“ არ უყვარდაო. „ზარი გოდებაა და ეს სახელი მზარავსო“. 4 წლისა ჭადრაკის ოსტატებად თანაბრად ეთამაშებოდაო, ქართული და რუსული კითხვა დამოუკიდებლად გისწავლია, ყველას აწუხებდი, თურმე, 3-4 წლისა „ეს რა არის, ეს, ეს...?“ ერთხელ ბებიამ გარდრობიდან გამოგიყვანა, ჩაკეტილი ყოფილხარ და კითხულობდი. ფრანგულიც დამოუკიდებლად გისწავლია . 5 წლისა ტიროდი ბავშვები რომ სკოლაში მიდიოდნენ და შენ არა, მამას უთხოვია დირექტორისათვის, იქნებ გამოსცადოთ და მიიღოთ სკოლაში, როგორც გამონაკლისიო. დირექტორის შეკითხვები ასეთი ყოფილა: სად ცხოვრობ? პასუხი: საქართველოში, მცხეთის რაიონში, სოფელ ძეგვშიო. რამდენი რესპუბლიკაა სსრკ-ში? შენი პასუხი: 16. რა არის X? პასუხი: სამიეხელი, მას პოვნა სჭირდებაო. მიგიღეს სკოლაში 5 წლისა. თურმე კვადრატული ფესვის ამოღებაც გცოდნებია სკოლაში შესვლისას.

აღმოვაჩინე შენდამი მოძღვნილი საგაზეთო სტატიაც:



№3 კათედრაზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ პედაგოგები: ამირან დავითაძე, ონისე სურმანიძე, გოგი ქემხაძე, გია გაფრინდაშვილი, თემურ ფირაშვილი, მაია მიმინოშვილი, იზა ლომია, მარიკა სადალაშვილი, გივი ჯავახიშვილი, გივი მჭედლიძე, თამარ ფიცხელაური, ნიკო ბურდული, ლამარა გამხიტაშვილი, ჯული მარდალეიშვილი, გივი ფარასტაშვილი, კარლო ჟვანია...

რადგან ჩვენს მონათესავე, თეორიული მექანიკის კათედრაზე მათემატიკოსები მუშაობდნენ, მიზანშეწონილად ჩავთვალე კათედრის ერთი სურათი მომეთავსებინა წიგნში.



თეორიული მექანიკის კათედრა, 1974 წელი

ზემოდან პირველი რიგი: ა. ჯოჯუა, კ. დოლაბერიძე, კ. მთვრალაშვილი, ნ. მახვილაძე, ზ. ონეზაშვილი, ზ. არქანია, გ. მაღასაძე, გ. შელია, გ. ბალათურია; მეორე რიგი: ვ. ფაჩულია, ნ. ანთიძე, ლ. შავლიაშვილი, ა. გოჩიაშვილი, კ. დუმბაძე, კ. თაბუკაშვილი, დ. გორგიძე, ი. გვარჯალაძე, გ. კორძაძე, ქ. სარალიძე, თ. გეგელაშვილი, გ. ქათამაძე, ა. მენაბდიშვილი, გ.


ჟორჟოლოანი, თ. მანველიძე; მესამე რიგი: ი. თავდუმაძე, გ. დანელია, ა. შარანგია, გ. რურუა,

ა. გორგიძე, ვ. მეცხოველი, ა. მეცხოველი, გ. თევზაძე, დიასამიძე


უმაღლესი მათემატიკის კათედრა №63

1962 წელს ცალკე დაარსდა უმაღლესი მათემატიკის კათედრა დაუსწრებელი და საღამოს სწავლების განყოფილების სტუდენტებისთვის, რომელსაც პროფ. **ბორის ხვედელიძე** განაგებდა, 1967 წელს იგი პროფ. სერგო თოფურიაშვილს შეეცვალა. კათედრას დაევალა აგრეთვე ლექციების კურსის გამძღოლა დღის სწავლების ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტებზე (კათედრა N63).

ხვედელიძე ბორის ვლადიმირის - ძე, დაიბადა 1916 წლის 25 ოქტომბერს, ჭიათურაში. 1938 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1942 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, 1939-58 და 1967-68 წლებში შეთავსებით მუშაობდა **თსუ**-ში. 1980 წლიდან მუშაობდა აფხაზეთის გორკის სახელობის უნივერსიტეტში, 1956-67 წლებში იგი საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის N63 კათედრის გამგეა. 1957 წლიდან ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორია, 1959 წლიდან პროფესორია, 1967 წლიდან საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეა. 1967 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, 1983 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია.



ბორის ხვედელიძე გარდაიცვალა 1997 წელს.



ცნობილი ქართველი მეცნიერი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **სერგო თოფურია** - დაიბადა 1931 წლის 27 დეკემბერს. იგი იყო უაღრესად კეთილშობილი, მაღალი ზნეობისა და მოქალაქეობრივი პრინციპების მქონე პიროვნება, რომლის ცხოვრებისეული გზა, მაღალი პროფესიონალური ავტორიტეტი და საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარება - ქვეყნისა და ხალხისთვის გაწეული დიდი ღვაწლის ჭეშმარიტი დადასტურებაა.

1953 წელს სოხუმის პედაგოგიური

ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, სერგო თოფურია აგრძელებს სწავლას ასპირანტურაში ცნობილი ქართველი მათემატიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ვლადიმერ ჭელიძის ხელმძღვანელობით. 1959 წელს ა.რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში სერგო თოფურიამ დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ტაუბერის ტიპის ზოგიერთი თეორემის შესახებ ჯერადი მწკრივებისა და ჯერადი ინტეგრალებისათვის“.

1960 წელს სერგო თოფურიას ირჩვევენ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკისა და თეორიული მექანიკის კათედრის გამგედ. 1966 წელს იგი თბილისში გადმოდის და მუშაობას იწყებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის №3 კათედრის დოცენტის თანამდებობაზე. 1967 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი ამავე ინსტიტუტის, შემდგომში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, უმაღლესი მათემატიკის №63 კათედრის გამგეა. მისი უაღრესად დიდი ორგანიზაციული ნიჭის, უდიდესი ძალისხმევით შედეგად ეს კათედრა ათეულობით წლების განმავლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრებს შორის. ამავდროულად, მრავალი წლების განმავლობაში იგი კითხულობდა სპეციალურ სალექციო კურსს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. პედაგოგიურ, ორგანიზაციულ და საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად ჩვეული ენერგიით განაგრძობდა დიდ სამეცნიერო მუშაობას და 1973 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ჰარმონიულ ფუნქციათა სასაზღვრო თვისებების, ფურიე-ლაპლასის და ფურიეს ჯერად ტრიგონომეტრიულ მწკრივთა თეორიის ზოგიერთი საკითხი“.

1975 წელს სერგო თოფურიას მიენიჭა პროფესორის, ხოლო 1978 წელს - მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ს. თოფურიას კალამს ეკუთვნის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 3 მონოგრაფია. მისი ავტორობით და ხელმძღვანელობით გამოცემულია 30-ზე მეტი სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უმაღლესი მათემატიკის ხუთტომეული. ამ სახელმძღვანელოებმა შეადგინეს უმაღლესი მათემატიკის სრული კურსი (თეორია და ამოცანათა კრებული). ცალკე უნდა გავამახვილოთ ყურადღება ორტომეულზე აბიტურიენტებისათვის. ამ ორტომეულის უკვე ხუთი გამოცემა არსებობს, თითქმის ოცდაათი წელიწადია უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და დიდი წარმატებით გამოიყენება სამშალო სკოლების მაღალ კლასებში.

სერგო თოფურია უეცრად გარდაიცვალა 2011 წლის 15 მარტს.

კათედრის კოლორიტები



იოსებ მამუჩიშვილი



ანრი სულიკაშვილი



თენგიზ მანჯავიძე



თენგიზ გეგელია

და კიდევ ბიძინა კვიციანიძე, დემურ გიორგაძე, ალექსანდრე დრაჩინსკი, სოსო წიკლაური, სტეფანე ტოკლიკიშვილი.



ქვემოდან პირველი რიგი, მარცხნიდან მარჯვნივ: ნელი ხვადაგანი, გულიკო ანდრონიკაშვილი, იზუა ჟვანია, სვეტა ჯიქია, ქეთინო კერგალიშვილი, სერგო თოფურია, მედეა კეკელია, თამარ ყიფიანი, ძაბული ამაშუკელი, ეთერი ზარიძე; მეორე რიგი: დადამ ონიანი, ზუბიკო ნაცვლიშვილი, თენგიზ მანჯავიძე, თებრო ყიფიანი, არჩილ ბეგალიშვილი, ვიოლეტა ყაყჩაშვილი, ალექსანდრე დრაჩინსკი, ანრი სულიკაშვილი: მესამე რიგი: ჯონი ჯანელიძე, თემურ ტულუში, დათო ქაჯაია, აკაკი ცივამე, ბიკნტი ფირცხალავა, სტეფანე ტოკლიკიშვილი, მეველუდ იდუკაშვილი, ზვიად წიკლაური, ნოდარ მაჭარაშვილი, დიმიტრი მხეიძე; მეოთხე რიგი: ილია ჯვარშიშვილი, ტრისტან რამიშვილი, რამაზ ხიზანიშვილი, კოტე დარჯანია, ლადო ხოჭოლავა, თამაზ კვინიკაძე, ილია ჩახტაური, გაიოზ აბესაძე, ბიძინა კვიციანიძე, სოსო წიკლაური, გივი ოზბეგაშვილი, დემური გიორგაძე, გივი ქავთარაძე, მერაბ გაბიაშვილი.



ქვემოდან პირველი რიგი: სვეტა ჯიქია, გულიკო ანდრონიკაშვილი, იზა ჟვანია, თამარ ყიფიანი, მედეა კეკელია, ქეთინო კერგალიშვილი, ეთერი ზარიძე, გულიკო კაკუბერი; მეორე რიგი: ზუბიკო ნაცვლიშვილი, სოსო წიკლაური, ბუდუ მანჯავიძე, ანრი სულიკაშვილი, სერგო თოფურია, სტეფანე ტოკლიკიშვილი, ნოდარ მაჭარაშვილი, თენგიზ მანჯავიძე, თამაზ კვინიკაძე, ზურა მეტრეველი, მევლუდ იდუკაშვილი; მესამე რიგი: გიგლა წიფივაძე, დადაშ ონიანი, გივი ქავთარაძე, ბიძინა კვიციანი, თებრო ყიფიანი, აკაკი ცივაძე; მეოთხე რიგი: ჯონი ჯანელიძე, ავთანდილ კვალიაშვილი, ლადო ხოჭოლავა, კოტე დარჯანია, თემურ ტულუში, გაიოზ აბესაძე, ილია ჩახტაური, დემურ გიორგაძე, ილია ჯვარშიშვილი, რეზო დანელია, მურმან ამბროლაძე; მეხუთე რიგი: ბიკნტი ფირცხალავა, ნუგზარ ღონიაშვილი, გივი გიორგაძე, გივი ოზბეგაშვილი, აჩიკო ოსიძე, მამუკა ნადარიშვილი, ზურაბ ჭყონია.


უმაღლესი მათემატიკის კათედრა №99

1970 წელს ცალკე დაარსდა უმაღლესი მათემატიკის კიდევ ერთი კათედრა (N99), რომელიც სამთო-გეოლოგიურ, ენერგეტიკულ და კავშირგაბმულობის ფაკულტეტს ემსახურება. კათედრის პირველი გამგე იყო პროფ. ს. შათაშვილი, 1987 წელს იგი პროფესორმა დ. ნატროშვილმა შეცვალა.



სიმონ ხაიმის - ძე შათაშვილი დაიბადა 1910 წელს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1949-64 წლებში მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრაზე. 1970 წლიდან 1987 წლამდე იყო უმაღლესი მათემატიკის N99 კათედრის გამგე. მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, იგი 16 სახელმძღვანელოს ავტორია.


კათედრის კოლორიტები




კოტე გვაზავა



თამაზ მოსიძე



ოთარ მელაძე



ნიკო დურგლიშვილი



ალიოზა ბუაძე




თამაზ ლაზარიშვილი

№99 კათედრის აქტიური, ნაყოფიერი შრომა და ცხოვრება მსურს მოგაწოდოთ ფოტოების დახმარებით.



დგანა: ლანა შონია, უშანგი ბაციკაძე, თამაზ მოსიძე, ალიოზა ბუაძე, თამარ კვიციანი-
შვილი, გურამ სადუნიშვილი, რუსიკო კიკალიშვილი; სხედან: ალფიოზ გამრაშვილი,
მიმოზა იოსავა, თამარ ზანდუკელი, ენძელა გაბუნია, თამაზ ლაზარიშვილი, მამუკა
შუბლაძე, გურამ სამსონაძე



ვარძიაში

დგანან კათედრის წევრები: 5. დათო წვენიაშვილი, 6. ალიოზა ბუაძე, 8. ალფიოზ გაბრაშვილი,

9. ენძელა გაბუნია, 11. ცილა ჩხიკვაძე, 13. ია რამიშვილი, 15. რუსიო კიკელიძე

16. თარ მელაძე; ზის: 3. თამაზ მოსიძე




ქალაქგარეთ

2. ჯემალ ქარსელაძე, 3. ოთარ მელაძე, 4. თამაზ მოსიძე, 5. ლია სიხარულიძე, 6. ენძელა გაბუნია,
7. ქეთიწო სხვიტარიძე, 8. ალექსანდრე მშვენიერაძე, 9. ია რამიშვილი, 10. ვალერი დოლოძე,
11. ლეილა სიგუა, 12. ვიტალი კუჭაიძე, 15. ისიდა ქინქლაძე



კათედრის წევრთა შეხვედრა ცნობილ მოქალაქეებთან ნონა გაფრინდაშვილსა და თენგიზ გიორგაძესთან



შესანიშნავი ოთხეული: ოთარ მელაძე, ჯემალ ქარსელაძე,
გურამ სამსონაძე, გივი გიორგაძე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტი

2007 წელს უმაღლესი მათემატიკის კათედრების ბაზაზე ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნა მათემატიკის დეპარტამენტი, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა პროფესორი დავით ნატროშვილი.

დეპარტამენტი აერთიანებდა სამ მიმართულებას: ალგებრისა და გეომეტრიის – ხელმძღვანელი პროფ. ლ. მძინარიშვილი (N3), მათემატიკური ანალიზის მიმართულება – ხელმძღვანელი პროფ. ს. თოფურია (N63), ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ – ვლადიმერ ხოჭოლავა, მათემატიკური ფიზიკის მიმართულება – ხელმძღვანელი პროფ. ლ. გიორგაშვილი (N99).



დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი დავით ნატროშვილი, მიმართულების ხელმძღვანელები: ლეონარდ მძინარიშვილი, ვლადიმერ ხოჭოლავა და ლევან გიორგაშვილი.

აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად 2009 წლის ღია კონკურსის შედეგად დეპუტატამენტი ასე გამოიყურებოდა:

№3

1	ყირმელაშვილი გიორგი ისაკის ძე	სრული პროფესორი
2	მესხი ალექსანდრე ნოდარის ძე	სრული პროფესორი
3	მძინარიშვილი ლეონარდო	სრული პროფესორი
4	ბეჟუაშვილი იური ალექსანდრეს ძე	ასოცირებული პროფესორი
5	რუხაძე როლანდ ვლადიმერის ძე	ასოცირებული პროფესორი
6	ბერიძე ლიდა ნიკოლოზის ასული	ასოცირებული პროფესორი
7	ბუაძე ტრისტან გრიგოლის ძე	ასოცირებული პროფესორი
8	ჩხელაშვილი ნინა ილიას ასული	ასოცირებული პროფესორი
9	ჩხელაშვილი ლიანა კუკურის ას	ასოცირებული პროფესორი
10	ბერიკელაშვილი გივი კონსტანტინეს ძე	ასოცირებული პროფესორი
11	პაატაშვილი ვახტანგ აბრამის ძე	ასოცირებული პროფესორი
12	უგულავა დუგლას კარლოს ძე	ასოცირებული პროფესორი
13	მასპინძელაშვილი ბორის იოსების ძე	ასისტენტ პროფესორი
14	გაჩეჩილაძე ავთანდილ როლანდის ძე	ასისტენტ პროფესორი

№63

1	ფანცულაია გოგი რაულის ძე	სრული პროფესორი
2	ხოჭოლავა ვლადიმერ ვლადიმერის ძე	სრული პროფესორი
3	ტეტუნაშვილი შაქრო თენგიზის ძე	სრული პროფესორი
4	კირთაძე ალექსი პეტრეს ძე	სრული პროფესორი
5	ნაცვლიშვილი ზუბიკო მიხეილის ძე	სრული პროფესორი
6	მაჭარაშვილი ნოდარ დავითის ძე	ასოცირებული პროფესორი
7	თოდუა გოჩა შალვას ძე	ასოცირებული პროფესორი
8	გიორგაძე გივი პეტრეს ძე	ასოცირებული პროფესორი
9	ქვათაძე ზურაბ ავთანდილის ძე	ასოცირებული პროფესორი
10	მანჯავიძე ნინო გიორგის ას	ასოცირებული პროფესორი
11	ცანავა ცირა ენვერის ასული	ასისტენტ პროფესორი
12	წიკლაური ზვიად იოსების ძე	ასისტენტ პროფესორი

№99

1	ალიაშვილი თეიმურაზ მურთაზის ძე	სრული პროფესორი
2	ხარიბეგაშვილი სერგო სერგოს ძე	სრული პროფესორი
3	ზაზაშვილი შოთა პეტრეს ძე	სრული პროფესორი
4	ნატროშვილი დავით გიორგის ძე	სრული პროფესორი

5	გიორგაშვილი ლევან გიორგის ძე	სრული პროფესორი
6	სხვიტარიძე ქეთევან მირიანის ასული	ასოცირებული პროფესორი
7	სადუნიშვილი გურამ უშანგის ძე	ასოცირებული პროფესორი
8	სიგუა ირინე ვაჟას ასული	ასოცირებული პროფესორი
9	თედიაშვილი ზურაბ უშანგის ძე	ასოცირებული პროფესორი
10	ქარსელაძე გიორგი პავლეს ძე	ასოცირებული პროფესორი
11	ელერდაშვილი ეკა შოთას ას	ასოცირებული პროფესორი
12	ცუცქირიძე ვარდენ ნიკოს ძე	ასოცირებული პროფესორი
13	რამიშვილი ია ვახტანგის ასული	ასისტენტ პროფესორი
14	ხარაშვილი მაია გიორგის ას	ასისტენტ პროფესორი

მ ოწვეული პროფესორები

1	ფერაძე ჯემალ გივის ძე	სრული პროფესორი
2	ბუჩუკური თენგიზ ვლადიმერის ძე	სრული პროფესორი
3	გაჩეჩილაძე როლანდ ივანეს ძე	სრული პროფესორი
4	თევდორაძე ზაზა ალბერტისძე	სრული პროფესორი
5	კაპანაძე დავით რაფაელის ძე	სრული პროფესორი
6	სამსონაძე გურამ ტიტეს ძე	ასოცირებული პროფესორი
7	კვალიაშვილი ავთანდილ გიორგის	ასოცირებული პროფესორი
8	კვირიკაშვილი თამარ გურამის ასული	ასოცირებული პროფესორი
9	ფიფია გივი მამიას ძე	ასოცირებული პროფესორი
10	ვეკუა თამაზ პლატონის ძე	ასოცირებული პროფესორი
11	ხომერიკი ნოდარ იგორის ძე	ასოცირებული პროფესორი
12	კაჭახიძე ნიკოლოზ დიმიტრის ძე	ასოცირებული პროფესორი
13	ყიფიანი თებრო გრიგოლოს ასული	ასოცირებული პროფესორი
14	ყურაშვილი თინა შალვას ასული	ასოცირებული პროფესორი
15	ჯაღმაიძე ასლან იაკობის ძე	ასოცირებული პროფესორი
16	ბადათურია გიორგი გურამის ძე	ასოცირებული პროფესორი
17	შანქიშვილი ლამარა დიმიტრის ასული	ასოცირებული პროფესორი
18	მელაძე რევაზ ვარლამის ძე	ასოცირებული პროფესორი
19	მჭედლიძე გივი გიორგის ძე	ასოცირებული პროფესორი

მასწავლებლები

1	ბუჩუკური ციალა იაკობის ასული
2	იოსავა მიმოზა ჯონდოს ასული
3	კლიშიაშვილი ალექსანდრე მერაბის ძე
4	მშვენურიძე ალექსანდრე ლევანის ძე

ლაბორანტები

- | | |
|--------------------------------|----------------------------|
| 1 მუმლაური როინი არჩილის ძე | უფროსი ინჟინერ პროგრამისტი |
| 2 ქაჯაია დავით შალვას ძე | უფროსი ინჟინერ პროგრამისტი |
| 3 ფირცხალავა თამარ რევაზის ას | უფროსი ინჟინერ პროგრამისტი |
| 4 ორთოიძე გუგუშვილი გიორგის ძე | ლაბორანტი |
| 5 შონია ლანა გენოს ას | ლაბორანტი |

ლაბორანტები - ხელშეკრულებით

- | | |
|--------------------------|-----------|
| 1 ზარიძე ეთერ გიორგის ას | ლაბორანტი |
|--------------------------|-----------|

2012 წელს მიმართულებები გაუქმდა, ამჟამად იგი იწოდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტად, მისი ხელმძღვანელი კვლავ პროფესორი დავით ნატროშვილია.



**ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი დავით გიორგის ძე ნატროშვილი**

დაბადების ადგილი: დედოფლისწყაროს რ-ნი, სოფ. ზემო მაჩხაანი.

განათლება და სამეცნიერო-პედაგოგიური წოდებები:

- დედოფლისწყარო, სოფ. ზ. მაჩხაანის საშ. სკოლა 1955-1965 (ოქროს მედალზე);
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1965-1970 (წარჩინებით);
- ასპირანტურა (თსუ) 1970-1973;
- ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი 1973 (თსუ);
- ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი 1985 (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტი, მოსკოვის უმაღლესი საატესტაციო კომისია);
- პროფესორის წოდება 1989 (მოსკოვის უმაღლესი საატესტაციო კომისია);
- გლაზგოს (დიდი ბრიტანეთი) კალედონიის უნივერსიტეტის პროფესორი 2004-2006.

შრომები:

ნაშრომათა სრული სია მოიცავს 230-ზე მეტ დასახელებას, მათ შორის 9 სა - მეცნიერო მონოგრაფია (ხუთი რუსულ და ოთხი ინგლისურ ენაზე), 7 სახელმძღვანელო; 13 საკანდიდატო და 2 სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი ენების ცოდნა: ქართული (მშობლიური), ინგლისური, რუსული. (კითხულობს მათემატიკის ლექციებს სამივე ენაზე)

სამუშაო გამოცდილება:

- 2007.09-დღემდე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სრული მათემატიკის დეპარტამენტის უფროსი;
- 1987.11-2007.09 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი, უმაღლესი მათემატიკის № 99 კათედრის გამგე;
- 1973.06-1987.11 – თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი (უმცროსი, უფროსი, წამყვანი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი).

შეთავსებითი სამუშაო:

- 1987-დღემდე – თსუ, გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;
- 1998-2005 – სოროსის საერთაშორისო საგანმანათლებლო ფონდის ექსპერტი;
- 2003-2004 – საქართველოს განათლების სამინისტროს სახელმწიფო კურიკულუმის შემმუშავებელი კომისიის ექსპერტი მათემატიკაში;
- 2004-2006 – გლაზგოს (ბრიტანეთი) კალედონიის უნივერსიტეტის პროფესორი.

საზოგადოებრივი მოღვაწეობა:

- 1994-1998 – სსსაქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტი;
- 1998 წლიდან – საქართველოს მათემატიკოსთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე.

პროფესიონალური საზოგადოებების წევრობა:

- 1984 წლიდან – ამერიკის მათემატიკური საზოგადოების წევრი;
- 1992 წლიდან – ევროპის მათემატიკოსთა საზოგადოების წევრი;
- 1990 წლიდან – მათემატიკოსთა და მექანიკოსთა საერთაშორისო საზოგადოების წევრი;
- 1998 წლიდან – მათემატიკისა და ინფორმატიკის თბილისის საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტის წევრი (ევროპის მათემატიკოსთა კავშირი);
- 1994 წლიდან – საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ჯილდოები და სამეცნიერო გრანტები:

- 1998 წ. – ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედალი (თსუ);
- 1990-2006 – გერმანიის სამეცნიერო დეპარტამენტის (DFG) გრანტები (ყოველწლიურად);
- 1994-1996 – SOROS-ის გრძელვადიანი გრანტი (ნიუ-იორკი);
- 1992 – ევროპის მათემატიკოსთა კავშირის გრანტი;
- 1997 – DAAD გრანტი (გერმანია);
- 1998 – ლონდონის მათემატიკური საზოგადოების გრანტი;
- 2000 – 2001 – ინგლისის სამეფო საზოგადოების გრანტი;
- 1998 (ბერლინი), 2002 (პეკინი, შანხაი), 2006 (მადრიდი) – მსოფლიო მათემატიკოსთა კავშირის გრანტი;
- 2001-2002 – NAT-ის გრანტი (შტუტგარტის უნივერსიტეტთან ერთად);
- 2001, 2004, 2006, 2010 – ათენის უნივერსიტეტის სამეცნიერო გრანტი;
- 2005 – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გრანტი;
- 2005 – ავეიროს უნივერსიტეტის (პორტუგალია) გრანტი;
- 2006–2007 საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი;
- 2006–2008 ინგლისის სამეფო საზოგადოების გრანტი;
- 2007 – 2009 CRDF(აშშ) & GRDF(საქართველო) გრანტი;
- 2008–2010 საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი;
- 2008–2010 საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი;
- 2010-2013 დიდი ბრიტანეთის გრანტი;

სამეცნიერო-პედაგოგიური მიწვევები უცხოეთის უნივერსიტეტებში და კონფერენციებზე:

- აშშ:** ოკლაჰომას (ტალსა) (1991), დელავერის (ნიუ-იორკი), როჩესტერის (1997), მიჩიგანის (1998), დელავერის (ნიუ-არკი) (2007) უნივერსიტეტები,
- ბულგარეთი:** სოფიის უნივერსიტეტი (1977), რუსეს უნივერსიტეტი (1988).
- გერმანია:** ქემნიცის, შტუტგარტის, დარმშტატის, გოტინგენის, ბერლინის, ობერვოლფახის, ბრაუნშვაიგის, კარლსრუეს, ჰამბურგის, ფრაიბერგის, პოტსდამის, საარბრუკენის, მიუნხენის უნივერსიტეტები (1990-2006);
- ესპანეთი:** კანტაბრიას უნივერსიტეტი (სანტანდერი) (2008);

ინგლისი: ლონდონის, ბათის, გლაზგოს, მანჩესტერის, სალფორდის, ლიდსის, რედინგის, ბრუნელის, სასექსის უნივერსიტეტები (1998, 2000, 2001, 2004, 2007, 2008, 2009, 2010, 2011, 2012, 2013),

ირანი: თეირანის უნივერსიტეტი (1995),

იტალია: რომის უნივერსიტეტი “LA SAPIENZA”, (2008),

პოლონეთი: ვარშავის მექანიკის ინსტიტუტი (1996),

პორტუგალია: ლისაბონის ტექნიკური უნივერსიტეტი, ავეიროს უნივერსიტეტი (2005, 2009, 2011);

საბერძნეთი: ათენის უნივერსიტეტი (2001, 2004, 2006, 2009, 2010),

საფრანგეთი: სორბონის უნივერსიტეტი (1992), პარიზის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1996), სენტ-ეტიენის უნივერსიტეტი (2002),

შვეიცარია: ციურიხის ტექნიკური უნივერსიტეტი (1994, 2007),

ჩინეთი: პეკინის უნივერსიტეტი(2002), შანხაის უნივერსიტეტი (2002).

აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად 2013 წლის ღია კონკურსის შედეგად დეპატრამენტი ასე გამოიყურება:

1	ვლადიმერ ხოჭოლავა	სრული პროფესორი
2	ალექსანდრე მესხი	სრული პროფესორი
3	შაქრო ტეტუნაშვილი	სრული პროფესორი
4	დუგლას უგულავა	სრული პროფესორი
5	ვახტანგ პაატაშვილი	სრული პროფესორი
6	ლეონარდ მძინარიშვილი	სრული პროფესორი
7	თეიმურაზ ალიაშვილი	სრული პროფესორი
8	დავით ნატროშვილი	სრული პროფესორი
9	სერგო ხარიბეგაშვილი	სრული პროფესორი
10	შოთა ზაზაშვილი	სრული პროფესორი
11	ლევან გიორგაშვილი	სრული პროფესორი
12	გივი გიორგაძე	სრული პროფესორი
13	გივი ბერიკელაშვილი	სრული პროფესორი
14	გოგი ყირმელაშვილი	სრული პროფესორი
15	ზუბიკო ნაცვლიშვილი	სრული პროფესორი
16	ალექსი კირთაძე	სრული პროფესორი
17	გოგი ფანცულაია	სრული პროფესორი
18	ზურაბ ქვათაძე	ასოცირებული პროფესორი
19	ტრისტან ბუაძე	ასოცირებული პროფესორი
20	გივი ფიფია	ასოცირებული პროფესორი
21	გურამ სამსონაძე	ასოცირებული პროფესორი
22	გოჩა თოდუა	ასოცირებული პროფესორი
23	ნიკოლოზ კაჭახიძე	ასოცირებული პროფესორი

24	ავთანდილ გაჩეჩილაძე	ასოცირებული პროფესორი
25	ნოდარ მაჭარაშვილი	ასოცირებული პროფესორი
26	ზურაბ თედიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
27	გიორგი ქარსელაძე	ასოცირებული პროფესორი
28	იური ბეჟუაშვილი	ასოცირებული პროფესორი
29	ლიდა ბერიძე	ასოცირებული პროფესორი
30	ვარდენ ცუცქირიძე	ასოცირებული პროფესორი
31	გურამ სადუნიშვილი	ასოცირებული პროფესორი
32	ქეთევან სხვიტარიძე	ასოცირებული პროფესორი
33	ირინე სიგუა	ასოცირებული პროფესორი
34	ეკა ელერდაშვილი	ასოცირებული პროფესორი
35	ნოდარ ხომერიკი	ასოცირებული პროფესორი
36	თამარ კვირიკაშვილი	ასოცირებული პროფესორი
37	ზვიად წიკლაური	ასოცირებული პროფესორი
38	მაია ხარაშვილი	ასოცირებული პროფესორი
39	ბორის მასპინძელაშვილი	ასოცირებული პროფესორი
40	ცირა ცანავა	ასისტენტ პროფესორი
41	ია რამიშვილი	ასისტენტ პროფესორი
42	მაია მრევლიშვილი	ასისტენტ პროფესორი
43	ციალა ბუჩუკური	ასისტენტ პროფესორი

მოწვეული პროფესორები

1	თემურ ჯანგველაძე	სრული პროფესორი
2	თამაზ ვეკუა	სრული პროფესორი
3	დაზმირ შულაია	სრული პროფესორი
4	ნუგზარ შავლაყაძე	სრული პროფესორი
5	დავით კაპანაძე	სრული პროფესორი
6	როლანდ გაჩეჩილაძე	სრული პროფესორი
7	თენგიზ ბუჩუკური	სრული პროფესორი
8	ჯემალ ფერაძე	სრული პროფესორი
9	ავთანდილ კვალიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
10	ასლან ჯაღმაიძე	ასოცირებული პროფესორი
11	გივი მჭედლიძე	ასოცირებული პროფესორი
12	ნანა მახარაშვილი	ასოცირებული პროფესორი
13	თენგიზ ტეტუნაშვილი	ასოცირებული პროფესორი
14	თინა ყურაშვილი	ასოცირებული პროფესორი
15	თებრო ყიფიანი	ასოცირებული პროფესორი
16	ლამარა შანჭიშვილი	ასოცირებული პროფესორი
17	თამარ კვარაცხელია	ასოცირებული პროფესორი

- | | | |
|----|------------------------|---------------------|
| 18 | ალექსანდრე მშვენიერაძე | უფროსი მასწავლებელი |
| 19 | მიმოზა იოსავა | უფროსი მასწავლებელი |
| 20 | სანდრო კლიმიაშვილი | უფროსი მასწავლებელი |
| 21 | მარეხი ივანიძე | უფროსი მასწავლებელი |
| 22 | დიანა ივანიძე | უფროსი მასწავლებელი |
| 23 | თამარ ქასრაშვილი | უფროსი მასწავლებელი |



დეპარტამენტის სრული პროფესორები სილაბუსებზე მსჯელობისას.



პროფესორი დავით ნატროშვილი დოქტორანტებთან მუშაობისას



დეპარტამენტის ქალბატონები შესვენებაზე: ლიდა ბერიძე, ირინა სიგუა, ქეთინო სხვიტარიძე, თამარ კვირიკაშვილი



დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტები: როინ მუმლაური, თამარ ფირცხალავა, ლანა შონია.




დეპარტამენტის სხდომა



პროფესორი შოთა ზაზაშვილი სიტყვით გამოდის დეპარტამენტის სხდომაზე



პროფესორი ლეონარდ მძინარიშვილი სიტყვით გამოდის დეპარტამენტის სხდომაზე




ლაბორატორიული მუშაობა MATLAB-ში ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფთან, პედაგოგები ეკა ელერდაშვილი და ბადრი ცუცქერიძე

2008 წლიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პირველად ამოქმედდა მათემატიკის სპეციალობის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

ამჟამად საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მათემატიკის სპეციალობაზე სწავლებას წარმართავენ მაღალკვალიფიციური პროფესორები, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერ-მათემატიკოსები. მათ მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტები აქვთ საზღვარგარეთის ისეთ წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან და უნივერსიტეტებთან, როგორცაა ლონდონის იმპერიალ კოლეჯი და ლონდონის ბრუნელის უნივერსიტეტი – დიდი ბრიტანეთი, ვაშინგტონის ჰარვარდის, დელავერის და ფლორიდის უნივერსიტეტები – აშშ, შტუტგარტის და კარლსრუეს უნივერსიტეტები – გერმანია, ათენის უნივერსიტეტი – საბერძნეთი, ლისაბონის ტექნიკური უნივერსიტეტი და ავეიროს უნივერსიტეტი – პორტუგალია, რენეს უნივერსიტეტი – საფრანგეთი, კრაკოვის ტექნიკური უნივერსიტეტი და პოზნანის უნივერსიტეტი – პოლონეთი და სხვა. ისინი აწარმოებენ ერთობლივ სამეცნიერო კვლევებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში, აგრეთვე საერთაშორისო საგრანტო ბაზაზე.

გამოყენებითი მათემატიკის კათედრა N104

კათედრის გამგე ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი ალექსანდრე ლაშხი.



ალექსანდრე არსენის ძე ლაშხი დაიბადა 1945 წლის 4 თებერვალს, თბილისში, ინტელიგენტთა ოჯახში, 1963 წელს დაამთავრა თბილისის 55 საშუალო სკოლა და იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1968 წელს.

1968-71 წლებში იყო მოსკოვის უნივერსიტეტის ასპირანტი ალგებრის კათედრაზე (ხელმძღვანელი პროფ. ა. შმელკინი);

1973 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, სპეციალობით ლოგიკა, ალგებრა, რიცხვთა თეორია;

1971-84 წლებში იყო მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;

1984-85 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე;

1989 წელს ასევე წარმატებით დაიცვა ფიზიკა მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი სპეციალობით გეომეტრია და ტოპოლოგია;

1973-90 წლებში პერიოდულად, როგორც მეცნიერ მუშაკი, დოქტორანტი, მიწვეული პროფესორი თან ამშრომლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის ალგებრის კათედრასა და სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში;


2005-2007 და 2008-2009 წლებში იყო ბათუმის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე.

2007-2008 წლებში იყო ბათუმის უნივერსიტეტის რექტორი.

2012 წლიდან დღემდე არის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი.

1983 წლიდან იგი ხშირად იყო მიწვეული პროფესორი საზღვარგარეთ (საფრანგეთი, ინგლისი, ისრაელი, იტალია, გერმანია და სხვ.).

არის მრავალი სტატიის, სახელმძღვანელოს ავტორი (186 დასახელება). იყო 6 მეცნიერებათა დოქტორის, 25 მეცნიერებათა კანდიდატის, 4 აკადემიური დოქტორის ხელმძღვანელი.



მსურს მოგაწოდოთ გამოყენებითი მათემატიკის N104 კათედრის შექმნის ისტორია.

ცხოვრებისეულმა საჭიროებამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამოყენებითი მათემატიკის სპეციალობის (შიფრი 01.02) შემოღების საკითხი კადრების ინჟინერ-მათემატიკოსის კვალიფიკაციით მოსამზადებლად. მითუმეტეს, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს ფუნდამენტურ მეცნიერებებში სპეციალისტების მომზადების საკმაოდ ტრადიცია (საინჟინრო-ფიზიკა, ქიმიურ ტექნოლოგიური და სხვ.).

გამოყენებითი მათემატიკის სპეციალიზაციები წარმოდგენილია ყველა ავტორიტეტულ და პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში.

რექტორის პროფ. გ. ჩოგოვადის 1990 წლის 20 აპრილის ბრძანებით გადაწყდა შექმნას საინიციატივო ჯგუფი 10 წევრის შემადგენლობით ამ საკითხის მოსამზადებლად, საკითხის განხილვისას გათვალისწინებულ იქნა უმაღლესი მათემატიკის კათედრების და თეორიული მექანიკის კათედრის გამგეების აზრი გამოყენებითი მათემატიკის სპეციალობის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ. ჯგუფის ხელმძღვანელობა დაევალა პროფესორ ა. ლაშხს.

რექტორის, პროფ. გ. ჩოგოვადის 1990 წლის 24 სექტემბრის N110 ბრძანებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამოყენებითი და საინჟინრო მათემატიკის სპეციალობების შექმნასთან დაკავშირებით შედგა საინიციატივო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ჩხეიძე დევი - პრორექტორი სასწავლო დარგში (ხელმძღვანელი);
2. ჩიქოვანი რაფიელ - პრორექტორი ფუნდამენტურ მეცნიერებათა კომპლექსის (ინსტიტუტის) ხელმძღვანელი;
3. წერეთელი რევაზ - სასწავლო ნაწილის გამგე;
4. ლაშხი ალექსანდრე - მეცნ. დოქტორი, ფუნდამენტურ მეცნიერებათა კომპლექსის (ინსტიტუტის) ხელმძღვანელის მოადგილე, საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი;
5. მარი გიორგი - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი;
6. თავაძე ამური - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
7. ხვედელიძე ბორისი - საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;
8. გეგელია თენგიზი - საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი;
9. თოფურია სერგო - პროფესორი, კათედრის გამგე;
10. გუგუშვილი ალექსანდრე - პროფესორი, კათედრის გამგე.

საინიციატივო ჯგუფის მიერ და უმაღლესი მათემატიკის კათედრების გამგეების, პროფესორების ლ. მძინარიშვილის (N3), დ. ნატროშვილის (N99), ს. თოფურიას (N63), თეორიული მექანიკის კათედრის გამგის პროფესორ ლ. დობორჯგინიძის (N4) მონაწილეობით შემუშავდა სამუშაო გეგმა და გადაწყდა წარედგინოს იგი ფუნდამენტური მეცნიერებათა ინსტიტუტის საბჭოს. ამ საბჭოს შემადგენლობა ასეთი იყო :

1. ჩიქოვანი რ. ი. – პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე, კომპლექსის ხელმძღვანელი;
2. ლაშხი ა. ა – ფ.მ.მ.დ., პროფესორი, თავმჯდომარის მოადგილე, კომპლექსის ხელმძღვანელის მოადგილე;
3. გლურჯიძე ლ. ნ. – დოცენტი, საინჟინრო-ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი;
4. მძინარიშვილი ლ.დ. – ფ. მ. მ. დ., პროფესორი, უმ. მათემატიკის N3 კათედრის გამგე;
5. დობორჯგინიძე ლ. გ. – ფ. მ. მ. დ., პროფესორი, თეორიული მექანიკის N4 კათედრის გამგე;
6. ჩაჩხიანი ლ. გ. – დოცენტი, ფიზიკის N5 კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი;
7. ჯაბუა ზ.უ. – დოცენტი, N107 კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი;
8. შავგულიძე ა. ს. – პროფესორი, N6 კათედრის გამგე;
9. შეყრილაძე ი.გ – პროფესორი, N11 კათედრის გამგე;
10. უფლისაშვილი ჯ.მ – პროფესორი, N39 კათედრის გამგე;
11. თოფურია ს. ბ. – პროფესორი, N63 კათედრის გამგე;
12. ნატროშვილი დ. გ – პროფესორი, N99 კათედრის გამგე;
13. ზვიადაძე მ. დ. – პროფესორი, N95 კათედრის გამგე;
14. ქევანიშვილი გ. შ – პროფესორი, N96 კათედრის გამგე;
15. ქუთელია ე. რ – პროფესორი, N101 კათედრის გამგე;
16. რუხაძე ა. კ. – N3 კათედრის პროფესორი;
17. ღონღაძე დ. ნ – N95 კათედრის პროფესორი;
18. კუკულაძე გ. ვ. – N96 კათედრის პროფესორი;
19. შათაშვილი ს. ხ. – N99 კათედრის პროფესორი;
20. ჯიმშელიშვილი ე. გ. – დოცენტი, N41 კათედრის გამგე;
21. კახიშვილი ნ. ი. – დოცენტი, სსგ „მიონის“ გენერალური დირექტორი.

1991 წლის 31 იანვარს შედგა გამოყენებითი და საინჟინრო მათემატიკის სპეციალობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით შექმნილი საინიციატივო ჯგუფის გაფართოებული სხდომა (ოქმი N2 31.01.1991).

სხდომის თავმჯდომარე – სტუ-ს პრორექტორი პროფ. დ. ვ. ჩხეიძე;

მდივანი – პროფ. ა. ლაშხი.

ესწრებოდნენ: უმაღლესი მათემატიკის კათედრების გამგეები, ფ.მ.მ. დოქტორები, პროფესორები: ლ. მძინარიშვილი (N3), დ. ნატროშვილი (N99), ს. თოფურია (N63), თეორიული მექანიკის კათედრის გამგე პროფ. ლ. დობორჯგინიძე, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის კათედრის გამგეები: პროფ. გ. გოგიჩაიშვილი, პროფ. ა. გუგუშვილი, დოც. ბ. მებუკე, ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კომპლექსის ხელმძღვანელი, პროფ. ნ. ლომინაძე, ჰიდროტექნიკური ნაგებობათა

კათედრის გამგე, მეცნ. დოქტორი ზ. გედენიძე, სამშენებლო მექანიკის კათედრის გამგე, დოც. მ. ყურაშვილი, სტუ-ს სასწავლო ნაწილის გამგე, დოც. რ. წერეთელი, სასწავლო-მეთოდური სამმართველოს უფროსი, დოც. მ. ადეიშვილი.

განიხილეს: გამოყენებითი მათემატიკის სპეციალობის შექმნის შესახებ. სიტყვით გამოვიდა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი, პროფესორი ა. ლაშხი, რომელმაც დაწვრილებით და დამაჯერებლად ახსნა გამოყენებითი მათემატიკის სპეციალობის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

სიტყვით გამოსულებმა ა. გუგუშვილმა, ნ. ლომინაძემ, ბ. მეზუკემ, გ. გოგიჩაიშვილმა, ლ. მძინარიშვილმა დ. ნატროშვილმა, ლ. დობორჯგინიძემ, მ. ყურაშვილმა, ზ. გედენიძემ, მ. ადეიშვილმა, რ. წერეთელმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ინიციატივას, აღნიშნეს, რომ გამოყენებითი და საინჟინრო მათემატიკის სპეციალობის შემოღება დროულია და სასარგებლო, საინტერესოა და მისასალმებელია, ეჭვგარეშეა, რომ გამოთვლითი ტექნიკის, თეორიული მექანიკისა და სხვა კათედრები უსათუოდ ითანამშრომლებენ ამ კათედრასთან, რომ ამ „უდავოდ საინტერესო საქმეში ჩვენს კათედრებს შეუძლიათ ქმედითი დახმარების აღმოჩენა“.

1991 წლის 27 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, პროფ. გ. ჩოგოვაძემ თხოვნით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარეს ბ-ნ თენგიზ სიგუას და თავმჯდომარის მოადგილეს ბ-ნ ბაქარ გიგინეიშვილს, რათა მთავრობა დახმარებოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გამოყენებითი მათემატიკის სპეციალობის (შიფრი 01.02) შემოღებაში, რათა მომზადდეს კადრები ინჟინერ-მათემატიკოსის კვალიფიკაციით.

ბ-ნ თენგიზ სიგუასადმი მიწერილ თხოვნაში რექტორმა შესთავაზა ამ საკითხის მოგვარების იმჟამად მოხერხებული გზა, „გთხოვთ დაგვრთოთ ნება, ჩვენი კონტიგენტის ფარგლებში, შიდა საუნივერსიტეტო კონკურსის საფუძველზე 1991-92 სასწავლო წლის II კურსიდან შევარჩიოთ მათემატიკური უნარის მქონე 10 გამორჩეული ახალგაზრდა ინჟინერ-მათემატიკოსის კვალიფიკაციით მოსამზადებლად. მათ დასაქმებას უზრუნველყოფთ ტექნიკური უნივერსიტეტის ფარგლებში. ასევე გთხოვთ, რომ გაითვალისწინოთ მომავალი სასწავლო წლიდან ამ სპეციალობით ტექნიკური უნივერსიტეტისთვის 10-15 კაციანი ჯგუფის მიღება. ახალგაზრდა სპეციალისტების ადგილზე გამოყენებას და განაწილებას უზრუნველყოფს ტექნიკური უნივერსიტეტი“. რექტორი, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი გ. ჩოგოვაძე.

საქართველოს უნივერსიტეტი

380075 თბილისი, კ. კოსტავა ქ. 77
ტელეფონი: 36-04-97
36-64-70



ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

380075 Тбилиси, ул. Костава 77
Телефон: 36-04-97
36 64-70

Телетайп 212400 СТУ
Телефакс 165580

დოკუმენტი № 212400
ფაქსი № 365580
27.05.91 № 71-01-127
თქვენს № _____ 01-36

საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილეს ბატონ
ბატარ გიგინეიშვილს

ტექნიკის განვითარების დღევანდელი დონე მოითხოვს თანამედროვე მათემატიკის ყოველმხრივ გამოყენებას; დღევანდელი საინჟინრო და მათემატიკური კადრები კი საქართველოში ურთმანეთისაგან საკმაოდ ადამრბუთ ასეთ პირობებში ცხადია, რომ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება კომპლექსური პროგრამებით მომზადებულ სპეციალისტებს, რომლებიც ნაწილობრივ იქნებიან, როგორც მათემატიკის, ასევე ტექნიკის თანამედროვე დარგებს.

რამდენიმე ათეული წელია, რაც საკავშირო განათლების სისტემაში არსებობს სპეციალობა 01.02- გამოყენებითი მათემატიკა, სხვადასხვა სპეციალიზაციებით. ვაძრებს ამზადებენ, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტებში ასევე ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლებში. განსხვავება ამ ორი ტიპის უმაღლესი სასწავლებლის მიერ გამოშვებულ სპეციალისტებს შორის არსებობს; როგორც წესი პირველ შემთხვევაში კურსდამთავრებულნი ენიჭება მათემატიკოსის კვალიფიკაცია, ხოლო მეორე შემთხვევაში ინჟინერ-მათემატიკოსისა, ინჟინერ-მათემატიკოსის მომზადებისას მათემატიკურ განათლებასთან ერთად არსებობს და გადამწვევთა საინჟინრო ცოდნისა და ინტელისა? შემუშავება კონკრეტული საინჟინრო სპეციალობები (საამბიენტი, სატრანსპორტო, ელექტრო-ტექნიკური, სამთო გეოლოგიური და მრავალი სხვა). ამრიგად, სავსებით ნათელია, რომ აღნიშნული სპეციალობები მომზადება არავითარ შემთხვევაში არ იქნება რუბლიაჟი სახ. უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის მიერ გამოშვებულ კადრებთან. ამავდროულად, სტუ-ს აქვს საკმაოდ პროფესიონალი, როგორც საინჟინრო ასევე


მათემატიკური კაპრები, რა ძლიერი მათემატიკურ-ტექნიკური ბაზა
კონკრეტულ საინჟინრო რისკიპირინებში, ამ საქმის წარმატებით
თავდასარჩმევად, გარდა ამისა ბუნებრივად მიმაჩნია, რომ ინჟინერ-
მათემატიკოსის მომზადება ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის
პროგრამაში, ამბე მეტყველებს ისიც, რომ არსებობს 3 ახელი
წლის მანძილზე მსუ-ს არ მოუმზადებია სპეციალისტი ინჟინერ-
მათემატიკოსის კვლიდრკაციით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ტექნიკური უნივერსიტეტი
მოგმარდავთ თხოვნი, რომ რაგვეხმაროთ საქარტველოს ტექნიკურ უნი-
ვერსიტეტი გამოყენებითი მათემატიკის სპეციალისტის (0102)
შემოღებაში, რათა მომზადდეს კაპრები ინჟინერ-მათემატიკოსის
კვლიდრკაციით.

რექტორი საქ. რესპუბლიკის

მეცნიერებათა აკადემიის

წევრ-კორესპონდენტი



გ. კიკვიძე

თეორიული ფიზიკის ინსტიტუტი

Handwritten signature and scribbles

№ 91.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა

თბილისი, მთავრობის სახლი

ბატონ გორჩაჩოვს

ნებას გრთავთ 1991-92 სასწავლო წლის მეორე კურსელ-
თაგან შიდა საუნივერსიტეტო კონკურსის საფუძველზე შეარ-
ჩიოთ 10 სტუდენტი ინჟინერ-მათემატიკოსის სპეციალიზა-
ციით (შიფრი 01.02) მოსამზადებლად.

განათლების სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს

ბატონ ივანე ლეჟავას

Handwritten signature

ბ. გიგინეიშვილი



1991 წ. „4“ ივნისი

№ 207/38

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად (1991 წ. 4 ივნისი, N207/38) საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მიეცა უფლება 1991-92 სასწავლო წლის მეორე კურსელთაგან შიდა საუნივერსიტეტო კონკურსის საფუძველზე შეიქმნას აკადემიური ჯგუფი, ინჟინერ-მათემატიკოსის კვალიფიკაციით მოსამზადებლად. ასე დაკომპლექტდა პირველი აკადემიური ჯგუფი N1053 მეორე კურსელთაგან. ჯგუფში ჩაირიცხნენ სტუდენტები:

1. ჩართოლანი რუსუდანი ლაოტის ას - ჯგ. 1051, საინჟინრო ფიზიკის ფაკ.;
2. მურჯიკნელი მამუკა გურამის-ძე - ჯგ. 883, აგტ ფაკ.;
3. როსტომაშვილი ზვიადის ნოდარის-ძე - ჯგ. 886, აგტ ფაკ.;
4. კაჩუხაშვილი შოთა გიორგის-ძე - ჯგ. 876, აგტ ფაკ.;
5. გამხუაშვილი ლელა ომარის ას. - ჯგ. 882, აგტ ფაკ.;
6. მესხი ალექსანდრე ნოდარის-ძე - ჯგ. 171, სამშენებლო ფაკ.;
7. ბიწაძე გიორგი დემურის-ძე - თსუ, მექანიკა-მათემატიკის ფაკ.;
8. გვაზავა კონსტანტინე ჯონდოს-ძე - თსუ, ფიზიკის ფაკ.;
9. ხუბულვა მამუკა აბელის-ძე - აფხაზეთის უნივერსიტეტი, ფიზ-მათ. ფაკ.

1991 წლის დეკემბერში ბევრმა პირველკურსელმაც გამოთქვა სურვილი ანალოგიური ჯგუფის შექმნის თაობაზე პირველ კურსელთათვის. 1992 წლის 4 თებერვალს საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა, პროფ. ა. ლაშხმა მიმართა სტუდენტორს პროფ. გ. ჩოგოვამეს:

„საქ. რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად, როგორც მოგეხსენებათ, შიდა საუნივერსიტეტო კონკურსის საფუძველზე მეორე კურსელთაგან შეიქმნა ერთი აკადემიური ჯგუფი N 1053 (10 სტუდენტი) ინჟინერ-მათემატიკოსის სპეციალობით მოსამზადებლად. ამ ექსპერიმენტს დიდი ენთუზიაზმით შეხვდა როგორც საინჟინრო, ასევე მათემატიკური საზოგადოება. დაკომპლექტდა აკადემიური ჯგუფი, რომელთაც მეცადინეობებს უტარებენ საერთაშორისო აღიარების მეცნიერ-მკვლევარები (ვ. კოკილაშვილი, თ. ქადეიშვილი, რ. ბანცური, ჯ. გვაზავა, გ. ეპრიკაშვილი, გ. ბერიშვილი, ზ. შერვაშიძე, ა. კვიტაშვილი, ა. ჯიშკარიანი, აგრეთვე გ. გაფრინდაშვილი, ა. ქურთიშვილი, ი. გენებაშვილი, ზ. გიუნაშვილი, თ. გელაშვილი და სხვა). სტუდენტებიც დიდ მონდომებას და დაინტერესებას იჩენენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს წამოწყება სასურველ შედეგს გამოიღებს, სტუდენტები მოკლე ხანში ჩაებმებიან აქტიურ სამეცნიერო მუშაობაში.

რექტორის ბრძანების საფუძველზე (N12, 02.03.92) შეიქმნა ჯგუფი N7100 1991-92 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან შიდა კონკურსის შედეგად ფუნდამენტურ მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტთან სპეციალობით - გამოყენებითი მათემატიკა (შიფრი 01.02) და ჩაირიცხნენ პირველკურსელი შემდეგი სტუდენტები:

1. კვირიკაძე დავით ალექსანდრეს-ძე - ჯგ. 7105, საინჟინრო ფიზიკის ფაკ.;
2. ჩიტბე მათა ტარიელის ასული - ჯგ. 7105, საინჟინრო ფიზიკის ფაკ.;

3. ლომსაძე ილია დიმიტრის-ძე - ჯგ. 8115, აგტ. ფაკ.;
4. ცქვიტაია ინა ვალერის ას. - ჯგ. 8120, აგტ. ფაკ.;
5. გეგეჭკორი დავითი ვასილის-ძე - ჯგ. 8131, აგტ. ფაკ.;
6. მასურაძე დავით ანზორის-ძე - ჯგ. 8130, აგტ. ფაკ.;
7. მასაია ირაკლი ფელიქსის-ძე - ჯგ. 8131, აგტ. ფაკ.;
8. ხარებავა ზვიად ანტონის-ძე - ჯგ. 1115, სამშენებლო ფაკ.

საინიციატივო ჯგუფს (პროფ. ა. ლაშხი) სასწავლო-მეთოდურ სამმართველოსთან ერთად (დოც. მ. ადეიშვილი) დაევაღათ შექმნილი ჯგუფებისათვის სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა, ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა დაეკისრა სტუ-ს ფუნდამენტურ მეცნიერებათა ინსტიტუტს (პროფ. რ. ჩიქოვანი).

აქვე გადაწყდა მიმდინარე წელს განხორციელდეს პირველი მიღება გამოყენებითი მათემატიკის სპეციალობის (01.02) 15-20 სტუდენტის ოდენობით ფუნდამენტურ მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ბაზაზე.

ამ ინიციატივასთან დაკავშირებით ინსტიტუტმა მრავალი გამოხმაურება მიიღო.

პირველი გამოხმაურება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტიდან იყო:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ა.რ.აშაძის სახელობის
მათემატიკის ინსტიტუტი

380093 თბილისი, ზ.რუხაძის ქ.1
ტელ. 36-45-95, 36-52-97



Академия наук Грузии

МАТЕМАТИЧЕСКИЙ ИНСТИТУТ
ИМЕНИ А.М.РАЗМАДЗЕ

380093 Тбилиси, ул. З.Рухадзе, 1
тел 36-45-95, 36-52-97

28.08.97 № 020/640

На Ваш № _____

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორს ბატონ გ. ჩოგოვაძეს

გაზეთ „აღმშენებლის“ მიმდინარე წლის მაისის ნომრიდან შევიტყვეთ, რომ საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა ჭეშმარიტად მისასალმებელი საქმე წამოიწყო გამოყენებითი მათემატიკის სპეციალობის შემოღებით. განსაკუთრებით საზრუნავია, რომ უნივერსიტეტი ინჟინერ-მათემატიკოსის კვალიფიკაციით მოამზადებს სპეციალისტებს, ეგზომ რომ აკლია რესპუბლიკას. მას ქართული უმაღლესი განათლების სისტემაში ანალოგი არ გააჩნია და ძირეულად განსხვავებული იქნება თბილისის უნივერსიტეტის შესაბამისი დასახელების სპეციალობისაგან.

თქვენი ინოვაცია დროული და მისასალმებელია; მითუმეტეს რომ ტექნიკურ უნივერსიტეტს საამისოდ ყველა პირობა გააჩნია - აქვს როგორც საინჟინრო, ასევე მათემატიკური კადრების მაღალი სამეცნიერო-პედაგოგიური პოტენციალი.

მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი მზადაა მხარში ამოვიდეთ ამ ფრიად მნიშვნელოვან წამოწყებაში.

ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე
სამეცნიერო დარგში, პროფ.

საქ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი

საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორ.

საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორ.

საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორ.
უზენაესი საბჭოს დეპუტატი

ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი

ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი

უფრ. მეცნ. თან.
უზენაესი საბჭოს დეპუტატი

უფრ. მეცნ. თან.
უზენაესი საბჭოს დეპუტატი

უზენაესი საბჭოს დეპუტატი
დოც.

კ. კოკილაშვილი

ბ. ხვედელიძე

თ. გეგელია

ბ. ბურჭულაძე

ხ. ინასარიძე

ჯ. გვაზავა

რ. ბანცური

მ. კვანცილაშვილი

მ. შრიდია

მ. ცაგარეიშვილი

გ. კოკილაშვილი

ბ. ხვედელიძე

თ. გეგელია

თ. ბურჭულაძე

ხ. ინასარიძე

ჯ. გვაზავა

რ. ბანცური

მ. კვანცილაშვილი

მ. შრიდია

მ. ცაგარეიშვილი

სივ-
ში



საქართველოს სახელმწიფო განათლების სახელმწიფო კომისია

საქავტოგზა

0060, თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ. № 2/3

ტელეფონი: 37-66-07, 38-76-93

168/91 № 03/37

კუბს №

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის რექტორატს

მთავრ-

იმასთან დაკავშირებით, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში
შესაძლებელია მომზადდეს სპეციალისტები ინჟინერ მათემატი-
კოსის კვალიფიკაციით, სახელმწიფო კონცერნი „საქავტოგზა“
გთხოვთ მოგვიმზადოთ რამოდენიმე სპეციალისტი 1995 წლისათვის.

სახელმწიფო კონცერნის

„საქავტოგზის“ თავმჯდომარის

პირველი მოადგილე

თ. შილაკაძე

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო-მეთოდური სამმართველოს უფროსს დოც. მ. ადეიშვილს

ტექნიკური უნივერსიტეტის თეორიული მექანიკის N4 კათედრის გამგის პროფ. ლერი დობორჯგინიძის მოხსენებითი ბარათი:

მოგეხსენებათ, რომ თეორიული მექანიკის კათედრას აქვს შესაძლებლობა ორ სპეციალობაში გაუძღვეს ინჟინერ-მათემატიკოსის მომზადებას და გახდეს საბაზო კათედრა, ესენია გამოყენებითი მათემატიკა სპეციალობები 01.02.04 - მყარი დეფორმადი სხეულის მექანიკა და 01.02.05 - სითხეებისა და გაზების მექანიკა.

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ლაპარაკია აღნიშნულ სპეციალობების ასპექტებზე, რომელიც სავსებით შეესაბამება, საზოგადოდ, გამოყენებითი მათემატიკის სპეციალობას და ინჟინერ-მათემატიკოსის პროფესიას. გთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში.

კათედრის გამგე პროფ. ლ. დობორჯგინიძე.

14.11.1990

ასეთი სახის დაინტერესება სხვა კათედრებმაც გამოთქვეს.

საკითხი მწიფდებოდა მათემატიკის სპეციალური კათედრის გახსნის შესახებ.

სტუ-ს ფუნდამენტურ მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის საბჭოს 1992 წლის 25 მარტის სხდომაზე, რომლის თავმჯდომარე იყო პროფ. რ. ჩიქოვანი, მდივანი დოც. გ. გაფრინდაშვილი და რომელსაც საბჭოს 35 წევრიდან ესწრებოდა 31 წევრი, მოისმინეს პროფ. რ. ჩიქოვანის ინფორმაცია მათემატიკის **სპეციალური კათედრის** გახსნის მიზანშეწონილობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მათემატიკური უნარებით დაჯილდოვებულ და შრომისმოყვარე სტუდენტთაგან ფუნდამენტურ მეცნიერებათა სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტში I და II კურსებზე შეიქმნა აკადემიური ჯგუფები №7100 და N 1053 კადრების ინჟინერ-მათემატიკოსთა კვალიფიკაციის მოსამზადებლად, წელს დაგეგმილია მიღება აღნიშნული სპეციალობით (01.02).

აღნიშნული სპეციალობის ჯგუფებზე ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობისათვის მიზანშეწონილია შეიქმნას მათემატიკის სპეციალური კათედრა. წარმოდგენილია მოხსენებითი ბარათი, რომლებზეც ხელს აწერენ პროფ. ლ. მძინარიშვილი, პროფ. ა. ლაშხი, მოხსენებითი ბარათი ვიზირებულია რექტორის მიერ.

აზრი გამოთქვეს პროფ. ა. შავგულიძემ, პროფ. დ. ნატროშვილმა, პროფ. ლ. დობორჯგინიძემ. მათ მხარი დაუჭირეს აღნიშნულ წინადადებას - შეიქმნას მათემატიკის სპეციალური კათედრა, აღიძრას რექტორატისადმი შუამდგომლობა ამ საკითხთან დაკავშირებით. დადგენილება ერთხმად იქნა მიღებული (ოქმი N5, 1992 წლის 25 მარტი).

გამოყენებითი მათემატიკის N104 კათედრა 2009 წელს ასე გამოიყურებოდა:

1. ქადეიშვილი თორნიკე ვასილის ძე – სრული პროფესორი
2. გვაზავა ჯონდო კონსტანტინეს ძე – სრული პროფესორი
3. კაკუბავა რევაზ ვლადიმერის ძე – სრული პროფესორი
4. ლაშხი ალექსანდრე არსენის ძე – სრული პროფესორი
5. გაბიძაშვილი მერაბ ახმეტის ძე – ასოცირებული პროფესორი

6. ღურწკაია ფიქრია ამბაკოს ას. – ასოცირებული პროფესორი
7. მამუჩიშვილი ალექსანდრე იოსების ძე – ასოცირებული პროფესორი
8. გულუა დავით ვლადიმერის ძე – ასოცირებული პროფესორი
9. ბურჭულაძე დავით თენგიზის ძე – მოწვეული სრული პროფესორი
10. კვარაცხელია ვახტანგ ვარლამის ძე – მოწვეული სრული პროფესორი.
11. მესაბლიშვილი ბაჩუკი ნესტორის ძე – მოწვეული სრული პროფესორი
12. მენტეშაშვილი მარინე ზაურის ას. – მოწვეული ასოცირებული პროფესორი
13. მაგრაქველიძე დალი გურამის ას. – მოწვეული ასოცირებული პროფესორი
14. ბიწაძე რუსუდან გიორგის ას. – მოწვეული ასოცირებული პროფესორი

ხოლო 2013 წლის კონკურსის შემდეგ N104 კათედრის შემადგენლობა ასეთია:

1. ლაშხი ალექსანდრე არსენის ძე – სრული პროფესორი
2. ქადეიშვილი თორნიკე ვასილის ძე – სრული პროფესორი
3. ტარიელაძე ვაჟა ივეთის ძე – სრული პროფესორი
4. კვარაცხელია ვახტანგ ვარლამის ძე – სრული პროფესორი
5. ბიწაძე რუსუდან გიორგის ას. – ასოცირებული პროფესორი
6. გაბიძაშვილი მერაბ ახმეტის ძე— ასოცირებული პროფესორი
7. გულია დავით ვლადიმერის ძე – ასოცირებული პროფესორი
8. მაგრაქველიძე დალი გურამის ას.— ასოცირებული პროფესორი
9. მამუჩიშვილი ალექსანდრე იოსების ძე – ასოცირებული პროფესორი
10. ღურწკაია ფიქრია ამბაკოს ას. – ასოცირებული პროფესორი
11. გიორგობიანი გიორგი ჯიმშერის ძე – ასოცირებული პროფესორი
12. ბურჭულაძე დავით თენგიზის ძე – მოწვეული სრული პროფესორი
13. მესაბლიშვილი ბაჩუკი – მოწვეული სრული პროფესორი
14. მენტეშაშვილი მარინე ზაურის ას. – მოწვეული სრული პროფესორი
15. გიუნაშვილი ზაქარია შალვას ძე – მოწვეული სრული პროფესორი
16. ინასარიძე ნიკოლოზ ხვედრის ძე – მოწვეული სრული პროფესორი

მიუხედავად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) არსებობის თითქმის საუკუნოვანი ისტორიისა, მათემატიკის სპეციალობით კურსდამთავრებულების გამოშვება მხოლოდ 1995 წელს მოხდა.

დღეისათვის სტუ-მ მათემატიკის კვალიფიკაციით 100-მდე სპეციალისტი მოამზადა მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებით. ამ საქმის მესვეურად გვევლინება გამოყენებითი მათემატიკის კათედრა, რომელიც ამაყობს მის მიერ გამოშვებული „პროდუქციით“. კურსდამთავრებულებს შორის არიან 15-მდე მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი, რომლებმაც მნიშვნელოვან სამეცნიერო წარმატებებს მიაღწიეს ევროპისა და ამერიკის მოწინავე სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებში.

ქვემოთ მოგვყავს ჩამონათვალი იმ ახალგაზრდა მათემატიკოსების, რომლებმაც სამეცნიერო ნაშრომები და სადისერტაციო ხარისხები შეასრულეს მოწინავე საერთაშორისო ცენტრებში და წარმატებით მოღვაწეობენ საერთაშორისო არენაზე:

ალექსანდრე მესხი
მამუკა მურჯიკნელი
ზვიად როსტომაშვილი
მარინა კლემანსკაია
ზვიად ხარებავა
სოფო ქემხაძე
ნატო ქემხაძე
ვახტანგ ჯანდიერი
გიორგი ბალათურია
თამარ გოგუა
შოთა გუგუშვილი
ნანა შარაშიძე
მაქსიმ იავიჩი
ალეკო მოსიძე
რუსუდან გოგიბერიძე.

გამოყენებითი მათემატიკის № 104 კათედრა



დგანან: ირმა ოსეფაიშვილი, ვაჟა ტარიელაძე, ვახტანგ კვარაცხელია, ალექსანდრე ლაშხი, ალექსანდრე მამუჩიშვილი, თორნიკე ქადეიშვილი, დავით გულუა. სხედან: სერგო ჩობანიანი, მარინა მენტეშაშვილი, რუსუდან ბიწაძე, დალი მაგრაქველიძე.



ალექსანდრე ლაშხი და დავით ბურჭულაძე



დგანან: მერაბ გაბიძაშვილი, დავით გულუა, ვახტანგ კვარაცხელია, ალექსანდრე ლაშხი, ბაჩანა გიორგობიანი. სხედან: დალი მაგრაქველიძე, მარინა მენტემაშვილი, რუსუდან ბიწაძე.

კათედრას მოულოდნელად გამოაკლდა ჯონდო გვაზავა, უსაზღვროდ გვატკინა გული მისმა გარდაცვალებამ



ჯონდო კონსტანტინეს-ძე გვაზავა დაიბადა 1939 წლის 2 ოქტომბერს. 1957 წელს დაამთავრა თბილისის მე-4 საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1962 წელს. 1962-1973 წლებში მოღვაწეობდა ქ. ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გაიარა გზა ასპირანტიდან უფროს მეცნიერ თანამშრომლამდე. 1967 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სპეციალური ტიპის არაწრფივი განტოლებების ერთი კლასის შესახებ“. 1973 წელს იგი გადმოვიდა თბილისში და დაიწყო მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1986 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ამავე წლიდან იგი იმავე ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ მუშაკია. იგი კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. მისი ხელმძღვანელობით მრავალმა ახალგაზრდამ დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ჯ. გვაზავა იყო საკანდიდატო და სადოქტორო წოდების მინიჭების ორი სპეციალიზებული საბჭოს წევრი, მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო, რესპუბლიკურ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და ყრილობებში. ჯონდო გვაზავა ითვლებოდა საქართველოს მათემატიკური სკოლის ღირსეულ წარმომადგენლად.





მოგონება

რუსუდან ბიწაძე - გამოყენებითი მათემატიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი.

წილად მხვდა ბედნიერება ვყოფილიყავი პროფ. ჯონდო გვაზავას სტუდენტი, შემდეგ კი მისი ხელმძღვანელობით მემუშავა სადისერტაციო თემაზე.

ჩემთვის დაუვიწყარია პირველი ლექცია, რომელიც ბატონმა ჯონდომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსელებს შერეული ტიპის კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებებში წაგვიკითხა. მან შესძლო თითოეული ჩვენგანისათვის დაენახვებინა ურთულესი საკითხის ყველა ნიუანსი. მაღალი ოსტატობით წაკითხულ ლექციასთან ერთად დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა მის მიერ დაფის ოპტიმალური გამოყენების უნარი და წერის საოცარი კულტურა.

ბატონი ჯონდო ბრძანდებოდა ახალგაზრდების ქომაგი. მან არაერთი მეცნიერი აღზარდა. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას უთითებდა რა პრობლემის გადაწყვეტის ხერხს, სასურველი გზის არჩევის სრულ თავისუფლებას აძლევდა ახალგაზრდებს და დიდად აფასებდა მათ დამოუკიდებლობას. უაღრესად დიდ ყურადღებას აქცევდა სტატიის გაფორმებას, რაგინდ პრესტიჟულ ჟურნალში უნდა გამოქვეყნებულიყო სტატია. მიუხედავად მის მომზადებაში გაწეული დიდი წვლილისა, ბატონი ჯონდო არ თანხმდებოდა თავის მოწაფეებს სტატიის თანავტორობაზე.

პროფესორ ჯონდო გვაზავას კალამს ეკუთვნის მრავალი სტატია და მონოგრაფია, რომლებიც დიდ დახმარებას გაუწევინ მათემატიკოსთა თაობებს. მისი მეცნიერული კვლევის შედეგებმა აღიარება ჰპოვეს საზღვარგარეთის მათემატიკოსთა წრეებში.

ბატონი ჯონდო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს უკითხავდა ლექციებს, რომლებიც საფუძვლად დაედო საინტერესო ნაშრომს - „საუბრები კალკულუსზე“. ამ ნაშრომმა ბატონი ჯონდოს სიცოცხლეში ვერ იხილა დღის სინათლე, ვინაიდან ავტორი არ ჩქარობდა მის გამოქვეყნებას. მას აინტერესებდა ნაშრომის შესახებ როგორც მათემატიკოსების, ისე ახალგაზრდების აზრი. უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ მისი ნაშრომის გამოქვეყნება ნამდვილად საჭირო და სასარგებლო იქნებოდა ახალგაზრდებისათვის.

ბატონი ჯონდო გამოირჩეოდა საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობით. გახლდათ უაღრესად ერუდირებული ადამიანი. ახასიათებდა პუნქტუალობა და აკურატულობა. მის პიროვნებას დიდ ხიბლს ჰმატებდა უანგარობა და თავმდაბლობა. იგი ბრძანდებოდა საინტერესო მოსაუბრე. დასანანია, რომ მისი მოგონებები ნოვოსიბირსკში გატარებული წლებისა და ცნობილ მათემატიკოსებთან მისი ურთიერთობის შესახებ არ არის ჩაწერილი.

ბატონი ჯონდო ყოველთვის დიდი სითბოთი და პატივისცემით იგონებდა თავის წინაპრებს, მასწავლებლებსა და მეცნიერ ხელმძღვანელს აკადემიკოს **ანდრია ბიწამეს**. იგი გახლდათ ოჯახის, მეგობრებისა და მოწაფეების მოყვარული პიროვნება.

ბატონი ჯონდო წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სემინარებს მათემატიკის ინსტიტუტსა და ტექნიკურ უნივერსიტეტში. ერთ-ერთ სემინარზე მან დამსწრეთ შესთავაზა ახალი იდეა და შეჰპირდა იდეის რეალიზაციის გზების შემდეგ სემინარზე განხილვას. სამწუხაროდ, ბატონ ჯონდოსთვის ეს სემინარი უკანასკნელი აღმოჩნდა. მისმა მოწაფეებმა შემოთავაზებული იდეის გამოყენებით ამოხსნეს ამოცანები სხვადასხვა განტოლებებისათვის, რასაც მიუხედავად ავადმყოფობისა, ბატონი ჯონდო დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს. მოხსენება მიღებული შედეგების შესახებ წარდგენილი იყო ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სემინარზე. ბატონი ჯონდოს იმედი, თავად წაეკითხა მოხსენება, არ შესრულდა. აღნიშნული თემისადმი მიძღვნილი სტატიები კი გამოქვეყნდა ბატონი ჯონდო გვაზავას გარდაცვალების შემდეგ.

ამაგდარ მეცნიერსა და პედაგოგს უკანასკნელ გზაზე, სხვებთან ერთად, მიაცილებდნენ მისი თვალცრემლიანი მოსწავლეები, რომელთაც დაუტოვა დიდი გულისტკივილი და მონატრება.

მოგონებები

როდესაც გადავწყვიტე დამეწერა ნაშრომი, რომლის მიზანი მათემატიკის დეაწლმოსილი პროფესორ-მასწავლებლებისადმი პატივის მიგება იქნებოდა, დავიწყე ხანდაზმული ადამიანების ძეგნა სპი-ში. ვიცოდი, რომ ბატონი ბორის ბოქოლიშვილი ძალიან გულითადი, პასუხისმგებლობიანი, ენაწყლიანი, მეგობრული ადამიანია, ამავე დროს, ის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იყო მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ჯერ დეკანის მოადგილე, შემდეგ დეკანი, ამავე დროს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტი იყო, თამამად მივაკითხე ბატონ ბორისს, ვგრძნობდი, რომ იგი ასეთ თხოვნაზე უარს არ მეტყოდა. ჩემი თხოვნა ასე ჩამოვუყალიბე: „ბატონო ბორის, თქვენ პოლიტექნიკური უნივერსიტეტის „ვეტერანი სტუდენტი“ ხართ, გთხოვთ გაიხსენოთ თქვენი მათემატიკის ლექტორები უმაღლეს მათემატიკაში, ამავე დროს, თქვენთან, როგორც ფაკულტეტის დეკანთან, ალბათ, თავს იყრიდა სტუდენტთა აზრები მათემატიკის მასწავლებლებზე, თქვენ ძალიან მეგობრული ურთიერთობები გქონდათ მასწავლებლებთან, თქვენი გახსენება ამ მასწავლებლების სულს ძალიან ესიამოვნება“.

ბატონი ბორისი უყოყმანოდ დამთანხმდა თხოვნაზე და დამიბარა ერთი კვირის შემდეგ მისვლიყავი მასთან, ასეც მოვიქეცი.



ბორის ბოქოლიშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

საკმაოდ ხანდაზმული გახლავართ. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება 1955 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გავატარე, როგორც სტუდენტმა, ასპირანტმა, ასისტენტმა, დოცენტმა, პროფესორმა, 14 წელიწადი ვიყავი დეკანის მოადგილე, 16 წელიწადი დეკანი, ამიტომ ბევრი მაქვს მოსაგონარი და როცა ქალბატონმა ლიდა ბერიძემ შემომთავაზა დამეწერა მოგონებები მათემატიკის ჩემს ყოფილ მასწავლებლებზე და მეგობრებზე, ერთობ გავიხარე, მივხვდი, რომ ძალიან ძნელი მისია ვიტვირთე, ძნელია შეზღუდული რაოდენობის გვერდებზე გადაიტანო ადრესატის შენეული შეფასებები და საკადრისად წარმოაჩინო იგი, ამიტომ გადავწყვიტე გვერდი ამევილო მათ მიერ მათემატიკის მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის, საჭიროების შემთხვევაში ამას შეძლებენ ჩემზე კომპეტენტური მეცნიერ-მათემატიკოსები, მე კი გავიხსენებ როგორი პედაგოგები იყვნენ ისინი, რით გამოირჩეოდნენ და რა ადამიანური თვისებებით დაამახსოვრეს თავი სტუდენტობას, საზოგადოებას. შევეცადე თითო-ოროლა ეპიზოდი გამეხსენებინა მათი შინაარსიანი ცხოვრებიდან და თუ ეს ვერ შევძელი ისე, როგორც მათ ეკადრებოდათ, დიდ ბოდიშს მოვიხდი მათი ნათელი სულისა და მკითხველის წინაშე.

პირველად მინდა გავიხსენო **დოცენტი გალაქტიონ ხახუბია**.

1955 წლის პირველი სექტემბერი, დილის 9 საათზე შევადეთ უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე მდებარე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კორპუსში მე-3 სართულზე 310-

ე აუდიტორიის კარები და მოუთმენლად ველოდით პირველი ლექტორის გაცნობას და მანაც არ დააყოვნა, შემობრძანდა საშუალოზე მაღალი, სასიამოვნო აღნაგობის მამაკაცი და გაგვეცნო, რომ იგი იყო უმაღლესი მათემატიკის კათედრის დოცენტი გალაქტიონ ხახუბია და დღეიდან იგი შეეცდებოდა ჩვენს დაოსტატებას უმაღლესი მათემატიკის იმ მიმართულებებში, რომლებიც აუცილებელი იყო საინჟინრო ხელოვნების დაუფლებისა და სრულყოფისათვის. მოკლე გაცნობითი საუბრის შემდეგ აიღო ცარცი ხელში, მიბრძანდა დაფასთან და დახვეწილი მეტყველებით შეუდგა ლექციის კითხვას. ლექციის კითხვის მისმა მანერამ, დაფის რაციონალური გამოყენებისა და დაფაზე დაფიქსირებული მასალის მკაფიოდ გამოსახვამ თავიდანვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე და გაგვიადვილდა ელემენტარული მათემატიკის საფუძვლებიდან უმაღლესი მათემატიკის ურთულეს დებულებათა შესწავლაზე თანდათანობით გადასვლა. ბატონი გალაქტიონი სამი სემესტრის განმავლობაში გვიკითხავდა ლექციებს და ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სამუდამოდ დაგვმახსოვრებოდა მისი ღვაწლი ჩვენი ინჟინერ-მექანიკოსებად ჩამოყალიბების პროცესში.



ლევან (ლეო) ქავთარაძე. მთლიანად განასახიერებდა „ლამაზ სხეულში ლამაზი სულის“ არსებობას. მისი სიცოცხლით სავსე ცისფერი თვალები, მუდამ მომდიმარი სახე, სტუდენტებზე და თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი არასოდეს დაავიწყდება მას, ვინც, თუნდაც ერთხელ მაინც დასწრებია მის მიერ ჩატარებულ პრაქტიკულ მეცადინეობას. ბატონი ლეო ისეთნაირად წარმართავდა პრაქტიკულ მეცადინეობას, რომ 90 წუთი ხალისით გადიოდა და პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტით მაქსიმალურად გვიმყარდებოდა თეორიული ცოდნა. მას ახასიათებდა პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების თავისი, გამორჩეული, მეთოდი. ასწრებდა საშინაო დავალების შემოწმებას, ახალი ტიპური მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნას და საშინაო დავალების მოცემას, მეცადინეობიდან მეცადინეობამდე საშინაო დავალებად გვამლევდა 40-50 მაგალითსა და ამოცანას შემდეგი სიტყვებით: „სახელმძღვანელოს ავტორი-ცუბერბილერი, მაგალითები №121-დან №201-მდე კენტი ნომრები, ვისაც უჭირს, უნდა გააკეთოს ყველა.“



ჩემს და, ალბათ ყველას, ვისთვისაც **გიორგი ბიწაძეს** უსწავლებია, მეხსიერებაში დარჩა როგორც მასწავლებლისა და ახალგაზრდებზე შეყვარებული ადამიანის ეტალონი. თავისი ჩაცმულობით, ქცევით და სტუდენტებისადმი მამაშვილური დამოკიდებულებით მაგალითს წარმოადგენდა ირგვლივ მყოფათათვის. სტუდენტობის შემდეგ მე გავხვდი ჭიათურელების სიძე და ბატონი გიორგის ოჯახს დავუმეგობრდი, მისი ქალიშვილი რუსუდანი აღმოჩნდა ჩემი მეუღლის ნათლული. პირველ შეხვედრაზე ბატონმა გოგიმ

თავისი არქივიდან ამოიღო უბის წიგნაკი, მოძებნა ჩემი გვარი და შემახსენა, რომ ერთი მეცადინეობა მქონდა გაცდენილი. ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ ჩემი მუშაობის პერიოდში ბატონ გიორგისთან კიდევ უფრო გამიმყარდა საქმიანი ურთიერთობა. ერთხელ შემოვიდა დეკანატში და მითხრა დღეს ერთმა გოგონამ ისე კარგად ჩამაბარა საგანი, რომ ოთხიანი პლიუსით დავუწერეო“, მე გამოვართვი უწყისი და „4+“ გადავაკეთე „5-“ად, შემიქო მიხვედრილობა და ბავშვივით გაწითლდა.



ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში, ვინც კი ფიქრობდა „გეპეი“-ში ჩაბარებას, ყველასათვის ცნობილი იყოს **პროფესორ ამბროსი რუხაძის** გვარი და სახელი. ყვებოდნენ ათასგვარ გამოგონილ მითებს, თუ როგორი იყო იგი მისაღებ გამოცდებზე, რა უცნაურ შეკითხვებს უსვამდა აბიტურიენტებს, მაგრამ მასთან მისაღებ გამოცდაზე პირისპირმა შეხვედრამ დამარწმუნა, რომ ვიჯექი პრინციპული და სამართლიანი გამომცდელის წინაშე და არაფერი არაბუნებრივი გამოცდაზე არ ხდებოდა. შემდგომში მე-4 და მე-5 სემესტრში ბატონი ამბროსი გავიცანი, როგორც ჩემი მასწავლებელი და მასში დავინახე ბევრი ისეთი თვისება, რომელიც აუცილებელი იყო უმაღლეს სასწავლებელში მოღვაწე ადამიანისათვის. ლექციას იწყებდა წინა ლექციაზე განხილული ძირითადი საკითხების ირგვლივ დასმული, ე. წ. „მფრინავი“ შეკითხვებით და გვაიძულებდა ვყოფილიყავით მუდმივ მზადყოფნაში. არ უყვარდა ლექციის გაცდენა და დროის ფუჭად ფლანგვა. ერთ დღეს მოხდა საოცრება, შემობრძანდა ბატონი ამბროსი აუდიტორიაში და გვითხრა, რომ „დღეს ლექციის ნაცვლად მონაწილეობა უნდა მივიღოთ ერთ-ერთი თვითნასწავლი გამომგონებლის მიერ წარმოდგენილი სიმძიმის ძალით მავალი შემადგენლობის განხილვაზე“. ავტორს წარმოდგენილი ჰქონდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის შესანიშნავად შესრულებული მაკეტი და აუდიტორიას არწმუნებდა, თუ სიმძიმის ძალის გაზრდით როგორ იყო შესაძლებელი შემადგენლობის მოძრაობა წნევის გარეშე. ბატონმა ამბროსიმ ძალიან მარტივად და ეფექტურად დაარწმუნა გამოგონების ავტორი მის მიერ დაშვებულ ელემენტარულ შეცდომაში და შემდგომ მეცადინეობაზე ჩვენ დაგვისაბუთა, როგორი უნდა იყოს სიახლეებისადმი ინჟინრული მიდგომა.



ბუმბერაზ ადამიანთან, **პროფესორ დავით ავაზაშვილთან** დაახლოება განაპირობა მისი, როგორც კათედრის გამგისა და ჩემი, როგორც ფაკულტეტის დეკანის მოადგილის საქმიანმა ურთიერთობამ.

დიახ, ბატონი დავითი იყო ბუმბერაზი ფიზიკური აღნაგობით, ინტელექტით, თანამშრომლებისა და სტუდენტებისადმი დამოკიდებულებით, შრომისმოყვარეობით, საქმისა და ქვეყნის სიყვარულით. მისი თანმდევი იყო კახური სიდინჯე და გამჭრიახობა. ნებისმიერ საკითხზე მსჯელობისას საკმარისი იყო შეგებდა სათვალის ზემოთ

მომზირალი მისი სათნო თვალებისათვის, რომ დარწმუნებულიყავი მსჯელობის მისეულ სიბრძნეში. ბატონი დავითი იყო იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა მართოს ხელმძღვანელმა კათედრა მშვიდ ატმოსფეროში ხმის აწევის გარეშე.



უბადლო პროფესორი და ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის საზოგადოებრივი საქმიანობის ერთ-ერთი წარმმართველი ძალა, ბატონი **ალიოშა გორგიძე** გამორჩეული იყო ადამიანებთან თბილი ურთიერთ დამოკიდებულებით, მისთვის არ არსებობდა უფროს უმცროსობა, დიდთან დიდი იყო და პატარასთან პატარა. აუდიტორიაში შესვლა და სტუდენტებთან ურთიერთობა საოცრად მეტყველსა და მიმზიდველს ხდიდა მის სათნო სახესა და ტანმორჩილ სხეულს. ბატონ ალიოშას მიერ შექმნილი თეორიული მექანიკის სახელმძღვანელოების უბრალო გადახედვაც კი არწმუნებს სპეციალისტებს, როგორი ოსტატობით აქვს ავტორს გამოყენებული მდიდარი მათემატიკური აპარატი გამოყენებითი მექანიკის რთული საკითხების გადასაჭრელად. ბატონი ალიოშა წლების განმავლობაში არჩეული იყო პარტიული კომიტეტის წევრად და მისი გადამჭრელი სიტყვა ყოველთვის იყო სწორი გადაწყვეტილების მიღების საწინდარი. დასანანია, რომ ეს ღვთისნიერი კაცი ვერ გადაურჩა მედროვეთა ვერაგობას, არაფრის გულისათვის გაწირეს და გაუშწარეს სიცოცხლის უკანასკნელი წლები. (სწორედ ამ შემთხვევისთვის მოვიყვანე წინა თავებში ერთერთ ოქმი).



ბატონი თენგიზ ბურჭულაძე მისი ძმის ბატონი შუქურა ბურჭულაძის საშუალებით გავიცანი. რომ იტყვიან, ბატონი შუქურა „ნადირობის ტრფიალი“ იყო. მეც თავის დროზე არ ვიყავი მწყრალად გართობის ამ საშუალებისადმი და ხშირად გვიწევდა სანადიროდ სიარული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ერთხელ კახეთში მოგზაურობისას შუქურას თან ახლდა ბატონი თენგიზი და იმ დღიდან დაიწყო ჩემი მასთან ურთიერთობაც. პირველი შეხვედრისთანავე მივხვდი, რომ ბატონი თენგიზი იყო კოლორიტული ფიგურა, მრავალმხრივ განვითარებული და განსწავლული, საქართველოსა და თბილისის ისტორიის კარგი მცოდნე, დიდი სამეგობროს პატრონი, კარგი მეოჯახე და მამა. ბევრჯერ დავფიქრებულვარ, როგორ ახერხებდა 24 საათის ისე განაწილებას, რომ მოესწრო მათემატიკის ინსტიტუტში ნაყოფიერი მუშაობა, ინსტიტუტში ლექციების უმაღლეს დონეზე კითხვა, მეგობრების ჭირის და ლხინის გულთან მიტანა და მხარში დგომა და ოჯახისათვის სათანადოდ ყურადღების მიქცევა, მაგრამ, როცა გავიფიქრებდი, რომ იგი იყო შესანიშნავი ქართველი ქალბატონის, მარიამ ბურჭულაძის შვილი, ყველაფერი დგებოდა თავის ადგილზე. მისი ლექციებით მოხიბლული სტუდენტები, როგორც დეკანს, ხშირად მიზიარებდნენ თავიანთ აღტაცებას.



შეიძლება ადამიანს ფიზიკურად ერთხელ შეხვდე, მაგრამ ეს შეხვედრა საკმარისი იყოს დიდი ადამიანობის და პროფესიონალიზმის აღქმისათვის.

1951 წელს დავამთავრე სოფელ ბოდბისხევის საშუალო სკოლის 8 კლასი, მაგრამ იმავე წელს გააუქმეს ბოდბისხევის საშუალო სკოლა, იძულებული ვიყავი მე-9 კლასში სწავლა გამეგრძელებინა მეზობელ სკოლაში. ბოდბისხევი საკმაოდ დიდი სოფელია და საშუალო სკოლის გაუქმება მიზანშეწონილად არ მიიჩნია სკოლის პედაგოგექტივმა. ქართული ენისა და ლიტერატურის შესანიშნავმა პედაგოგმა ქალბატონა ლიზა სინჯიკაშვილმა მე და ჩემს თანაკლასელ ალფიოზ გაბრაშვილს შემოგვთავაზა გაგვეზავნა წერილი საქართველოს განათლების მაშინდელი მინისტრის ვიქტორ კუპრადის სახელზე ჩვენს სოფელში საშუალო სკოლის აღდგენის თაობაზე, რაც განვახორციელეთ და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თხოვნას მოჰყვა დადებითი შედეგი, 1952 წლიდან აღდგა ბოდბისხევის საშუალო სკოლა. მას შემდეგ გავიდა 25 წელიწადი და 1976 წლის აპრილში ბატონმა თენგიზ ბურჭულაძემ მე და სულიკო გველესიანს შემოგვთავაზა მათემატიკის ინსტიტუტის გერმანელი სამი სტუმრის პატივსაცემად მოგვეწყო ქალაქარეთ გასეირნება. სტუმრებს ახლდნენ ბატონები ვიქტორ კუპრადე, ნიკოლოზ ვეკუა და თენგიზ ბურჭულაძე. გეზი ავიღეთ წითელი ხიდის მიმართულებით. გასეირნება აღმოჩნდა საინტერესო, მთელმა დღემ შეუმჩნევლად გაიარა თევზაობასა და მდინარე ხრამის ჭალების დათვალიერებაში, სადამოს მარაში შემოგუსხედით სუფრას. ბატონი ვიქტორი იმდენად კმაყოფილი იყო დღის შთაბეჭდილებებით, რომ გვთხოვა კიდევ გაგვემეორებინა ასეთი დღეები. ამით მე გავთამამდი, გავკადნიერდი და ბატონ ვიქტორს გავახსენე მისადმი გაგზავნილი თხოვნის შესახებ. დასაწყისშივე შემაწყვეტინა ლაპარაკი და მითხრა „ის წერილი კახეთიდან, ბოდბისხევიდან იყო და, როგორც მახსოვს, საკითხი დადებითად გადაწყვიტეთ“. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, როგორი დიდი პიროვნების გვერდით ვიჯექი. ეს პიროვნება იყო ბრწყინვალე მათემატიკოსი, საქართველოს განათლების სისტემის დიდი მოღვაწე, სულით და ხორციით ულამაზესი და სათნო პიროვნება, ბატონი ვიქტორ კუპრადე.



სულიკო გველესიანი იყო ადამიანი, რომელსაც დიდი სამეცნიერო რეგალიები არ ჰქონდა, მაგრამ გამორჩეული იყო ელემენტარული და უმაღლესი მათემატიკის ღრმა ცოდნით, მსმენელისადმი რთული მათემატიკური დებულებების გადაცემის საოცარი უნარით. ყველაზე დასაფასებელი მასში იყო მეგობრობის უდიდესი გრძნობა. მას შეეძლო ნებისმიერ ადამიანთან მეგობრობა და მზად იყო აღმოეჩინა დახმარება, ვინც ამას საჭიროებდა. თავისუფალი დრო თითქმის არ ჰქონდა, რადგანაც ოფიციალური სამსახურებრივი დატვირთვის შემდეგ მეგობრებთან ერთად ატარებდა დროს ბუნების წიაღში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მდინარეების სანაპიროზე ბადით ხელში. მას

შეეძლო მთელი ღამე ეთევზავა, გაეხარებინა მეგობრები, რის შემდეგაც უძილო, მაგრამ ყოველთვის საღი გონებით შესულიყო ლექციაზე სტუდენტებთან. ბატონი სულიკო ყველას უნაწილებდა ყურადღებას და საკმაოდ დაუგვიანდა ოჯახის შექმნა, მაგრამ ოჯახის შექმნიდან მოკლე დროში მოასწრო შესანიშნავი შვილების აღზრდა. დასაბამია, რომ ასეთმა გულისხმიერმა და სიცოცხლის მოყვარულმა ადამიანმა ნაადრევად დატოვა ეს წუთისოფელი.



თბილისიდან ოცდაათიოდე კილომეტრის დაშორებით გარე კახეთის დასაწყისში, ივრის ზეგანზე შეფენილია ერთი ლამაზი სოფელი ხაშში, რომელიც განთქმულია უგემრიელესი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით და ხაშმური წითელი ღვინით, მაგრამ ვერავითარი პროდუქტი ვერ შეედრება მის მკვიდრ ბრძენ და მშრომელ ხალხს. ამ სოფელში იყო აღზრდილი მათემატიკოსებში, და არამარტო მათში, გამორჩეული კოლორიტული პიროვნება ბატონი **იოსებ მამუჩიშვილი**. მის მშვიდ და ვაჟკაცურ აღნაგობას ამშვენებდა ხშირი შავი უღვაში. ვისაც ახსოვს ბატონი იოსები, გაუძნელდება მისი ადამიანური, თუნდაც ერთი ნაკლის გახსენება. ამიტომ იყო, რომ რაიმე საკითხის გარჩევის დროს გადამწყვეტ სიტყვას ამბობდა ბატონი იოსები. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დამკვიდრებული იყო დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა მათემატიკაში გამოცდის კომისიური წესი. ამ კომისიას წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბატონი იოსები და ვერავინ გაიხსენებს ამ კომისიის მუშაობის ერთ გადაცდომასაც კი.



განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბატონი **ანრი სულიკაშვილის** პუნქტუალურობა, დავალების შესრულებისადმი მისეული პასუხისმგებლობა და შედგენილი დოკუმენტაციის აკურატულობა. მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანად მუშაობის პერიოდში მქონდა ბედნიერება ახლო გამეცნო ბატონი ანრი, როგორც დეკანის მოადგილე. სამუშაოს ის მოცულობა, რომელსაც განაგებდა ბატონი ანრი, შესრულების შემდეგ გადამოწმებას არ საჭიროებდა. სტუდენტებთან ჰქონდა არაჩვეულებრივად თბილი დამოკიდებულება და წარმოუდგენლად განიცდიდა მათ წარუმატებლობას. მას ბავშვობიდან ჰქონდა ზედა კიდური დაკარგული, მაგრამ მისი წერის მანერა იყო სამაგალითო, მისი ნაწერი ნახატს ჰგავდა. იგი ყველასათვის თანაბრად იხარჯებოდა, მაგრამ სამაგიეროს არავისგან ითხოვდა.



სიკვდილი მუხანათი და მხდალია. მუხანათია იმიტომ, რომ რა მომენტში წაგიყვანს ამ წუთისოფლიდან და მხდალია, რადგანაც მიწას ეფარება და ცდილობს ადამიანის მიერ

ამქვეყნად დათესილი სიკეთე მიწას ამოაფაროს. ერთი შეხედვით სიკვდილი ყველას ასწორებს. აკი რუსთაველიც ბრძანებს „მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალგულოვანი“. დიახ, იმქვეყნად არავის არაფერი წაუღია, ყველა დაახლოებით თანაბარია, მთავარია ამ ქვეყნად რა დატოვა. ბატონმა სერგო თოფურია იმდენი რამ დატოვა ამქვეყნად, რომ ამ თვალსაზრისით, უბედნიერესი პიროვნებაა, სხვას ყველაფერს რომ თავი დაავანებოთ, მისი თაოსნობითა და პირველი ავტორობით შექმნილი ნაშრომი „მათემატიკა უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის“ იკმარებდა. მაპატიოს მკითხველმა თუ ვცდები, მაგრამ ამ წიგნს ვუწოდებდი „მათემატიკის დედა ენას“.

მე და ბატონ სერგოს გვაკავშირებდა თითქმის 40 წლიანი მეგობრობა და ვთვლი, რომ სამაგალითო იყო ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება. ჩვენი მეგობრული შეხვედრები იყო რეგულარული. მინდა გავიხსენო ორიოდ ეპიზოდი. 1980 წლის 31 ივლისს ბატონმა სერგომ მთხოვა წავსულიყავით სათევზაოდ. საღამოს შევიკრიბეთ 8-10 კაცი, მათ შორის აკადემიკოსი თეიმურაზ ლოლაძე. გავეშურეთ წითელი ხიდის მიმართულებით. თევზაობა დავიწყეთ მდინარეების მტკვრისა და ხრამის შესართავში. თურმე ეს ტერიტორია აზერბაიჯანს ეკუთვნოდა. ბაქოდან ჩამოსულმა ინსპექციამ დაგვაკავა და წავვიყვანა ქ. ყაზახის მილიციაში. უფროსმა გასინჯა ჩვენი საბუთებში და თავიანთ ენაზე რაღაც გადაულაპარაკა ინსპექტორებს, მათ დატოვეს უფროსის კაბინეტი. უფროსმა კი გვითხრა, რომ მას ადრე უმუშავია მარნეულში სკოლის დირექტორად, იცოდა ვინც იყო სერგო თოფურია, ბოდში მოგვიხადა და გამოგვაცილა წითელ ხიდამდე.

მახსოვს სიღნაღის რაიონში სოფელ ბოდბის საშუალო სკოლაში ფუნქციონირებდა მოსამზადებელი განყოფილება. ბატონ სერგოს ვთხოვე, როგორც მათემატიკაში მიმღები კომისიის თავჯდომარე, გამოენახა დრო და შეეფასებინა ამ განყოფილებაში მათემატიკის სწავლების შესაბამისობა არსებულ მოთხოვნებთან. ბატონი სერგოს თანხმობა შევატყობინე სკოლის დირექტორს ვალერი ჯანიაშვილს, რომელსაც ჯგუფში გამოუცხადებია, რომ ერთი კვირის შემდეგ მათი სტუმარი იქნებოდა ბატონი სერგო. ჩასვლის დღეს ვნახე საოცრება: ბოდბის სკოლასთან შეკრებილიყო რაიონის სკოლების ათასამდე მოსწავლე და მშობელი, რომლებიც ოვაციით შეხვდნენ ბატონ სერგოს, ამაყოფდნენ, რომ პირადად ნახეს და ავტოგრაფები აიღეს ბატონი სერგოსგან. შემდგომში ეს ეპიზოდი ანეგდოტად გავრცელდა სხვადასხვა კუთხეში „ნამდვილი სერგო თოფურია ვნახეთო“.

აკი ვახსენე, ადამიანი იმით ფასდება, ვინ და რა დატოვა ამ ქვეყნად. სერგო თოფურია დატოვა ერთგული თანამეცხედრე, შესანიშნავი ქალბატონი ლია, ულამაზესი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები, მისი თაყვანისმცემელი მათემატიკის კათედრები, მისი გარდაცვალებით გულდაწყვეტილი სამეგობრო.

ბატონი სერგო ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ არავინ შეუწუხებია თავისი ავადმყოფობით, შეკითხვაზე „როგორა ხარ ბატონო სერგო?“ ყოველთვის პასუხობდა „შესანიშნავად“. ჩემს კაბინეტში შემოსულმა ამ კითხვაზე ტრადიციული პასუხი გამცა და სულ 10-15 წამში დამიტოვა მოუშუშებელი ტკივილი - იგი ჩემს თვალწინ გარდაიცვალა.



ჩემი შემდეგი საინტერესო და საიმედო ადრესატი მეტალურგიის ფაკულტეტის ხანგრძლივი დროის განმავლობაში დეკანი, ტ.მ.დ. სრული პროფესორი, ბატონი **ფრედი გაგნიძეა**. ჩემი იმედი, რომ ის ჩემს თხოვნას გულისყურით მოეკიდებოდა, გამართლდა, თხოვნაზე უარი არც კი გაუფიქრებია, რამდენიმე დღის შემდეგ მივიღე მისი შემდეგი მოგონებანი:

საშვილიშვილო საქმეს მოკიდა ხელი ძველმა „გეპელმა“ მათემატიკოსმა - გააცნოს დღევანდელ საზოგადოებას ის ცნობილი კოლეგები, რომლებიც ინსტიტუტის დაარსებიდან დღემდე ღირსეულად ემსახურებოდნენ სტუდენტ ახალგაზრდობას მათი სპეციალობის საგნის, „მათემატიკის“ დაუფლებლაში.

იდეის ავტორმა, ჩვენმა საყვარელმა ქალბატონმა ლიდა ბერიძემ მთხოვა, გამეხსენებინა ჩემი მათემატიკის მასწავლებელი **ნიკოლოზ კვინიკაძე**.

მე 1954 წლის ნაკადის მეტალურგიის ფაკულტეტის სტუდენტი ვარ, ჩვენი სპეციალობა მაშინ ძალზე მოდური იყო - 75 „ახალწვეულიდან“ უმეტესობას ოქროს და ვერცხლის მედალოსნები წარმოადგენდნენ, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ახალ-ახალი სიმძლავრეები შედიოდა მწყობრში, სწორედ 1954 წელს გაიშვა საბრძმედე საამქრო. ეს პერიოდი კარგად აქვს აღწერილი ჩვენს კოლეგასა და მეგობარს - გურამ ფანჯიკიძეს თავის პირველ რომანში „მეშვიდე ცა“. სწორედ ამ რომანშია გამოყვანილი, შეცვლილი გვართ, მათემატიკის მასწავლებელი, რომელშიც ყველა მაშინდელმა სტუდენტმა ბატონი ნიკოლოზ კვინიკაძე ამოვიცანით.

ძნელია 60 წლის წინანდელი ამბების ზუსტად აღდგენა, მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, როგორი ინტერესით ველოდით მათემატიკის პირველ ლექციას. საქმე იმაშია, რომ ჩვენს ნაკადში ბევრი იყო იმერეთის რეგიონიდან, რომლებსაც უკვე ჰქონდათ ინფორმაცია ბ-ნ ნიკოლოზზე, როგორც სკოლის გამორჩეულ პედაგოგსა და მეთოდისტზე, მის სხვადასხვა პიროვნულ თვისებებზე, კერძოდ პედანტობასა და სიმკაცრეზე.

მე ნაკლებად ვერეოდი ამ დებატებში, რადგან მქონდა საკუთარი უტყუარი ინფორმაცია, რომელსაც თვალდახუჭული ვენდობოდი, დავამთავრე თბილისის ვაჟთა მე-19 სკოლა, დამამთავრებელ კლასში მათემატიკას მასწავლიდა შესანიშნავი ქალბატონი ლიზა კოზმავა (დღეს ყველასთვის ცნობილი მათემატიკოსის, ფ.მ.მ.დ. პროფესორის, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვახტანგ კოკილაშვილის დედა). სკოლამ წარჩინებულ კურსდამთავრებულებს აგვისტოს ბოლოს მოგვიწყო საზეიმო შეხვედრა. სწორედ ამ შეხვედრისას ქ-ნმა ლიზამ მკითხა - ვინ წაიყვანდა ჩვენთან მათემატიკის კურსს. როდესაც შეიტყო, რომ ეს იყო ნიკოლოზ კვინიკაძე, ასეთი რამ გვითხრა: თქვენ გაგიმართლათ, რომ ასეთი პიროვნება შეგხვედრიათო. ის ზუსტად იმ მათემატიკას მოგაწვდით, რაც საინჟინრო გონების გაწვრთნისათვისაა საჭირო. ის არის უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი, მას არა აქვს პრეტენზია რაზმამეობაზე და მუსხელიშვილობაზე, მაგრამ, დამიჯერეთ, როგორც თქვენთვის საჭირო დონის მათემატიკის მომწოდებელი,

ბევრ აკადემიკოსზე მაღალიაო. სწორედ ეს სიტყვები მახსოვს თითქმის შეუცვლელად 60 წლის შემდეგ და მათ სისწორეში კიდევ უფრო ვრწმუნდები.

ბარემ აქვე აღვნიშნავ, რომ ბატონი ნიკოლოზი აუდიტორიაში შემოსვლის პირველი წუთებიდან, მასთან ბოლო გამოცდაზე ჩემი ცოტა სკანდალური შეხვედრის ჩათვლით - დარჩა ჩემს საუკეთესოდ მოსაგონარ პედაგოგთა პირველ რიგებში.

სტუდენტი იმახსოვრებს ან ძალიან კარგ, ან გამორჩეულად არმისაღებ პედაგოგს, დანარჩენი უმრავლესობა მისი მეხსიერებიდან სალექციო კურსის დამთავრებისთანავე ორთქლდება.

ამას ვწერ ისევ გურამ ფანჯიკიძის „მეშვიდე ცასთან“ დაკავშირებით. რომანის განხილვა ჩატარდა მწერალთა კავშირში, რომელსაც ბევრი მეტალურგი დაესწრო, მათ შორის იყო ჩვენი საყვარელი პროფესორი ბატონი ალექსანდრე ხვიჩია („ტაგუევიჩი“ - როგორც მას ვუწოდებდით). ყველა გამომსვლელმა აქო და ადიდა გურამი და მისი რომანი. ბოლოს ჯერი ტაგუევიჩზე მიდგა. მან მოკლედ მოჭრა - მე სტუდენტებიდან მამახსოვრდებიან ან ძალზე კარგები, ან ძალზე წყალწაღებულები, გურამი არც ერთ და არც მეორე ჯგუფს არ მიეკუთვნებოდა. რაც შეეხება რომანს, მე ის ჯერ არ წამიკითხავს, მაგრამ თქვენი ასეთი კარგი გამოსვლების შემდეგ აქედან წასვლისთანავე ჩავუჯდებო. თუმცა, ყველამ კარგად ვიცოდით, რომ მას რომანი რამოდენიმეჯერ ჰქონდა გადაღეჭილი და ისიც, რომ ნ. კვინიკაძის პერსონაჟი, უბოროტო, მაგრამ გაკილვის ობიექტად იყო გამოყვანილი. ამით მან გურამს თავისებური, ხვიჩიასებური, წკიპურტი გაკრა. (იგი პედაგოგების უდიერად მოპყრობას არ პატიობდა არავის).

პირველი სექტემბერია. აუდიტორიაში შემოდის მოხუცი, საშუალო სიმაღლის კარგად ხორცმესხმული ადამიანი, ოდნავ კოჭლობს. გვიქნევს მისასაღმებლად თავს, სულ სამი სიტყვით გვილოცავს სტუდენტობას, არავითარი აქეთური, იქეთური, ბრუნდება დაფისკენ და იწყებს ლექციას. ყველა სიტყვას გამოკვეთილად გამოთქვამს, კალიგრაფია საუკეთესო, დაფაზე ფორმულები ისე ნაწილდება, თითქოს ერთმანეთს ეფერებიან. არ ჩქარობს, ყველა ვასწრებთ ტექსტის ჩაწერას, ბუნებრივია, ფორმულებისაც.

ლექტორი იმდენად დარწმუნებულია ჩვენს მზადყოფნაში გვერდით ამოვუდგეთ მას, რომ არც კი ბრუნდება ზედმეტად აუდიტორიისკენ, მისი გულისყური დაფისკენაა, თუ რაიმე ფაჩუნი შეგვატყო, რამდენიმე ნაბიჯით გამოვა თავის კათედრასთან, ტექსტს კვლავ აგრძელებს.

ბატონმა ნიკოლოზმა დადო ცარცი, ხელებზე არც კი ეტყობა ცარცის ნაკვალევი - იმდენად სუფთად მუშაობს დაფასთან, იწყებს მსვლელობას კარებისკენ და ამ დროს, წამიწამში - ირეკება ზარი.

ასე მიდიოდა სამი სემესტრის განმავლობაში ნ. კვინიკაძე - ზარის სინქრონული კავშირი, რაც დღემდე ჩემს, და არა მარტო ჩემს, გულწრფელ გაკვირვებას იწვევს.

მეცადინეობის მეორე საათი ცოტა განსხვავებული იყო. აუდიტორიაში შემოსვლა ასევე დროის დაუკარგავად ხდებოდა, გასვლაში კი კარგავდა რამდენიმე წამს. მან ჩვენი სამი ჯგუფი ისე გაგვანაწილა აუდიტორიაში, რომ თითოეულ მათგანს ცალკე სექტორი ეკავა. ეს იმიტომ გააკეთა, რომ „სტაროსტებს“ ჟურნალში კარგად აღერიცხათ

სტუდენტები, თვითონ კი ხუთ-ექვს წამში აწერდა ხელს და ზარი, რასაკვირველია, ბოლო ხელმოწერას ემთხვეოდა.

ის არ კადრულობდა შეემოწმებინა ჯგუფხელთა პატიოსნება.

სტუდენტი რის სტუდენტია, ხანდახან ცოტა არევის ხასიათზე არ დადგეს. უნდა ითქვას, რომ სერიოზული ინციდენტი ბატონ ნიკოლოზის ლექციაზე არ მახსენდება. მაგრამ, თუ ის თავისი ზონიდან გამოვიდოდა, რიგებს შორის ჩამოივლიდა პატარა ფურცლით, ეს ნიშნავდა, რომ ერთ-ერთ ჩვენგანს აუდიტორია უნდა დაეტოვებინა, მის წინ იდებოდა ძალზე პატარა ქაღალდი წარწერით „გაბრძანდით აუდიტორიიდან“. ეს ყოველგვარი ემოციებისა და გაწევ-გამოწევის გარეშე, სტუდენტი ფეხაკრეფით გადიოდა აუდიტორიიდან. ასეთი შემთხვევები ბევრი არა, მაგრამ მეორე კურსზე უკვე ცოტა გაზრდილი იყო.

ერთ დღეს მოხდა საკვირველება: ბატონმა ნიკოლოზმა შემოსვლა დაფით არ დაიწყო, არამედ მოგვახსენა, რომ მომავალ კვირას გარკვეულ მიზეზთა გამო მის მაგივრად ლექციებს ჩავვითარებდა სხვა მასწავლებელი (თუ არ მეშლება - გ. ოსაძე). ლექციები დილას ორშაბათსა და ხუთშაბათს გვქონდა. ამ დროს კი კინოებში ახალი პრემიერები იმართებოდა. ჩვენი კორპუსიდან, უშანგი ჩხეიძის ქუჩიდან თანაბარ მანძილზე იყო მარცხნივ „ამირანი“, მარჯვნივ - „კომკავშირელი“. რატომღაც „ოქტომბერს“ (აპოლო) ნაკლებად ვეტანებოდით.

სტიპენდია მეტალურგებს მაღალი გვქონდა - 395 მანეთი, კაცზე ერთ მანეთად ცნობილი „საპერაშკეები“ და ლუდის დარბაზი შეიძლებოდა დაგელაშქრათ.

ასე, რომ არც ერთი ჩვენგანი იმ დღეებში პირველ ლექციებზე არ გამოცხადებულა, რის შესახებ ჩვენს ახალ დეკანს, შემდგომში ჩვენს ძვირფას კოლეგასა და მეგობარს, აკად. ლეონიდე ოკლეის არ აუტეხავს განსაკუთრებული აურზაური.




შემდეგ კვირას ნ. კვინიკაძემ სულ რამდენიმე წუთი დაუთმო ამ მოვლენის კომენტირებას. მან იმედი გამოთქვა, რომ გაცდენები არ იყო შემცვლელი მასწავლებლის საწინააღმდეგო აქცია. „კინო და ლუდი მე თქვენზე ნაკლებად არ მიყვარს, მაგრამ მათ საქმეს არ უნდა ავნონო“ - დაამატა სიცილით.

პირველი სემესტრის სესიაზე, მე პირველმა, გამოვიტანე „ხუთიანი“. მახსოვს - ლექტორიც და მეც შევედით აზარტში, დამიწყო ჩახლართული შეკითხვების დასმა, როდესაც მე ჩემი გავიტანე, დაჰკრა მაგიდას ხელი და მომეჩვენა, რომ გულდაწყვეტილმა ჩამიწერა მატრიკულში ფრიადი. თურმე დეკანთან ძალზე ვუქივარ.

„ფრიადი“ მივიღე მეორე სემესტრშიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ზაფხულის გამოცდა მან ავადმყოფობის გამო გააცდინა და ჩაბარება მოგვიწია ავთანდილ ბენდუქიძესთან.

კარგად მახსოვს, მესამე სემესტრის პირველსავე ლექციაზე ყველას სათითაოდ გადაგვიხადა მაღლობა „ვინც ის ვასახელეთ“.

მესამე სემესტრი უფრო მეგობრულ ვითარებაში წარიმართა, ნაკლები ოფიციალობით, მეც გამოცდისთვის ნამეტანი თავი არ გამიცხელებია და როდესაც შემატყო, რომ ხუთიანთან საკმაოდ შორს ვიყავი, გამომტაცა მატრიკული, დემონსტრაციულად ჩამიწერა ოთხიანი და ხვალ-ზეგ გადასაბარებლად მობრძანდით - გაბრაზებით მომადახა.



მეც, ნაწყენი მხარე, ადარ მივსულვარ ნიშნის ასაწევად. ის კი კარგად მახსოვს, როგორ ამარიდა თვალი დერეფანში შეხვედრისას. თუმცა - კვინიკაძე რის კვინიკაძე იქნებოდა, ასე არ მოქცეულიყო: უჩემოდ მოუთხოვია ახალი საგამოცდო და ისე გადაუსწორებია ნიშანი. **გმადლობთ - დიდო კაცო!**

ალბათ, ბ-ნი ნიკოლოზ კვინიკაძე ბევრად უფრო ახალგაზრდა იყო, ვიდრე მაშინდელი 18-19 წლის „ლაწირაკს“ მეჩვენებოდა. დღეს ჩემი ასაკისები 60-65 წლის კოლეგებს ბიჭებს ვეძახით. წარმომიდგენია, პირველ-მეორე კურსელებისთვის ჩვენ ვინ და რა ვართ. ამიტომ მათთან ურთიერთობის არგაწყვეტის საიმედო გზა მათ პრობლემებში და მისწრაფებებში კარგად გარკვევაა, დავარწმუნოთ ისინი ჩვენს პროფესიონალიზმში ცოდნასა და გამოცდილებაში, ჩვენს საჭიროებასა და „კვინიკაძეობაში“.



შემდეგ ვესტუმრე სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს **ოთარ გელაშვილს:**

გამორჩეული მეგობარი, ბატონი დემური ბიწაძე ნიჭიერი მათემატიკოსი, კარგი პედაგოგი, განუმეორებელი ადამიანური სითბოთი და კეთილშობილებით აღსავსე პიროვნება აღარაა ჩვენს შორის და მან ნათელი კვალი დატოვა თავისი მეგობრების, კოლეგებისა და მრავალრიცხოვანი მოწაფეების გულებში.

ბატონი დ. ბიწაძე იყო ადამიანური სითბოთი და კეთილშობილებით აღსავსე პიროვნება, რომელსაც მამა-შვილური დამოკიდებულება ჰქონდა თავის უმცროს კოლეგებსა და სტუდენტებთან.

დიდა ბატონ დემურ ბიწაძის როლი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საინჟინრო მათემატიკის სწავლების საქმეში. იგი თავისი ჩვეული სიდინჯითა და გულისხმიერებით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მე კარგად მახსოვს მისი ლექციები ჩვენი უნივერსიტეტის საავტომობილო – საგზაო ფაკულტეტის სტუდენტებისთვის უმაღლეს მათემატიკაში. ბატონი დემური წლების განმავლობაში მოღვაწეობდა საავტომობილო-საგზაო ფაკულტეტზე და მე, როგორც ამ ფაკულტეტის თანამშრომელი, ხშირად ვხვდებოდი მას და მუდამ დასამახსოვრებელი იყო მასთან შეხვედრა. იგი გამოირჩეოდა დინჯი, აუჩქარებელი, ზრდილობითა და სიკეთით სავსე საუბრებით.

განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო ბატონი დემურის დიდი როლი საქართველოს საავტომობილო – საგზაო ინსტიტუტის ჩამოყალიბების საქმეში. მე ამ სამუშაო ჯგუფის წევრი ვიყავი და სისტემატურად, თითქმის ყოველდღიურად გვექონდა საქმიანი ურთიერთობები და მისი უშუალო რეკომენდაციებით შეიქმნა უმაღლესი მათემატიკის სასწავლო პროგრამა, ამ ინსტიტუტის სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისთვის. მას, როგორც ინსტიტუტის ერთ-ერთ დამფუძნებელს, სურვილი ჰქონდა გაზრდილიყო ინსტიტუტის ავტორიტეტი და რაც შეიძლება მეტი სტუდენტი მოეზიდა სხვადასხვა პრესტიჟულ სპეციალობებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას მათემატიკის სწავლების ხარისხს აქცევდა, ვინაიდან თვლიდა, რომ ახალგაზრდა სპეციალისტი მათემატიკის ცოდნის გარეშე კარგი ინჟინერი ვერ იქნებოდა.

საქართველოში 90-იანი წლების გაჭირვების დროს ბატონმა დემურმა თავის მეგობრებთან ერთად ჩამოაყალიბა სააფთიაქო ფირმა, რომელიც დაკავებული იყო სხვა ქვეყნებიდან სამედიცინო მედიკამენტების შემოტანითა და რეალიზებით. მე მახსენდება ის დიდი ადამიანური დამოკიდებულება, რომელიც მას ჰქონდა თავისი მეგობრების, ნაცნობებისა და ახლობლების მიმართ, როცა ის უფასოდ ურიგებდა მედიკამენტებს და ამით გვერდში ედგა მათ.

ბატონ დემურს განსაკუთრებით უყვარდა ნიჭიერი ახალგაზრდები და მათ შორის ჩემთან ჰქონდა თბილი მეგობრული დამოკიდებულება. მას ჰყავს სამი ვაჟიშვილი და ხშირად უთქვამს, რომ იგი მე მათგან არ მანსხვავებდა და უხაროდა ჩემი წარმატებები. მე დღესაც მახსოვს მისი საუბრები და მამა-შვილური დარიგებები, განიცდიდა, რომ ცოლის მოყვანასა და ოჯახის შექმნას ვაგვიანებდი და ხშირად მსაყვედურობდა ამის შესახებ. იგი ახალგაზრდებს უბიძგებდა მეცნიერების სიყვარულისაკენ და სურვილი ჰქონდა ბევრ ქართველ ახალგაზრდას ჩაებარებინა ასპირანტურაში და დაეცვათ დისერტაციები. მე

მოხარული ვარ, რომ ასრულდა ბატონ დემურ ბიწაძის ერთ-ერთი სურვილი, რომ მისი შვილი ირაკლი გაჰყოლოდა მეცნიერების გზას. დღეს ირაკლი არის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის წარმატებული დოქტორანტი და მიხარია, რომ მეცნიერებაში მამის კვალს აგრძელებს.

ბატონი დემური არამარტო კარგი მათემატიკოსი, არამედ მრავალმხრივ განსწავლული-პრაქტიკოსი ადამიანი ბრძანდებოდა, კარგად ერკვეოდა სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში და ცდილობდა მეგობრებისათვის გაეზიარებინა თავისი გამოცდილება.

ბატონი დემური ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან და სიკეთის მკეთებელი ადამიანის გზა დაუტოვა მომავალ თაობას.



ვესტუმრე ასევე საშენი მასალების და ნაკეთობათა კათედრის გამგეს, ტ. მ. დ. სრულ პროფესორის **ანზორ დიმიტრის-ძე ნადირაძეს** (მან ხაზგასმით მითხრა, რომ იგი 79 წლისაა), დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ჩემს სურვილს, პატივი მივაგო ღვაწლმოსილ პედაგოგებს:

პირველ კურსზე ლექციებს უმაღლეს მათემატიკაში გვიკითხავდა დოცენტი **გალაქტიონ ხახუბია**, პრაქტიკულ მეცადინეობებს გვიტარებდა **გოჩა ოსიძე**. ბატონი გალაქტიონი კითხულობდა ლექციებს გაერთიანებულ ჯგუფში, გასაკვირია, მაგრამ „ბუზის ხმას ვერ გაიგებდით“, იგი იყო ჰუმანური, დიდი ბუნების ადამიანი, ობიექტური, ყოველთვის ცდილობდა სტუდენტს დახმარებოდა ცოდნის ბოლომდე გამომჟღავნებაში, მეტყველება დახვეწილი, გასაგები, აღსანიშნავია, რომ ყოველთვის ლამაზად ჩაცმული, შესახედავადაც პედაგოგი იყო.

გოჩა ოსიძეზე ის შემიძლია ვთქვა, რომ პირნათლად ასრულებდა პრაქტიკული მეცადინეობების მასწავლებლის მოვალეობას.



შემდეგ ვესტუმრე სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის სრულ პროფესორს, 1981 წლიდან დღემდე კათედრის გამგეს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **თამაზ ლომინაძეს**.

საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები ჩავაბარეთ 1953 წელს, დავამთავრეთ 1958 წელს უკვე სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი.

მათემატიკის ლექციებს გვიკითხავდა **ნიკოლოზ მგელაძე**, იგი „რაფინირებული ინტელიგენტი“ იყო. ძალიან უყვარდა სტუდენტები, განსაკუთრებით „კარგი სტუდენტები“, მისი მთავარი დადებითი თვისება იყო ის, რომ სტუდენტებს პიროვნებად თვლიდა, ენდობოდა.

მე კარგ სტუდენტად ვითვლებოდი. ერთ-ერთ გამოცდაზე ერთი საკითხი სათანადოდ არ ვიცოდი, ისე ვერ ვუპასუხე, როგორც ბატონი ნიკო მოელოდა ჩემგან, არ დამიწერა ფრიადი, მითხრა: „ისწავლეთ, ორი კვირის შემდეგ მობრძანდით და ჩააბარეთო“. ცხადია, ორი კვირის შემდეგ გამოვცხადდი კარგად მომზადებული. რატომ მობრძანდით სტუდენტო ლომინაძეო? ვუთხარი ჩემი მისვლის მიზეზი. იცით, რა მიპასუხა? „ყმაწვილო ლომინაძე, მე იმედი მქონდა, რომ თქვენ იმ საკითხს აუცილებლად ისწავლიდით და თქვენ მე იმავე დღეს გაგიფორმეთ ფრიადი, გთხოვთ, არ დაუკარგოთ ადამიანებს თქვენდამი რწმენა“. რა თქმა უნდა, არ დამავიწყდება მისი ასეთი ქმედება და ვცდილობ ცხოვრებაში არ შევარცხვინო ბატონი ნიკო.



ვეწვიე ქიმია-მეტალურგიულ ფაკულტეტს, იქ ბევრ მასწავლებელს შევხვდი, სასიამოვნო იყო, რომ ყველა მათგანს ჰქონდა სურვილი გაეხსენებინა მათემატიკის ლექტორები, ამიტომ მათ აზრებს მოკლედ გადმოგცემთ:

ანელი ლეჟავა – ქიმიური და მეტალურგიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

მათემატიკას გვიკითხავდა პროფესორი **თენგიზ გეგელია**, საუკეთესო პედაგოგი, განუმეორებელი ორატორი, დიქცია მომხიბვლელი, ჰუმანური, მოწესრიგებული, დიდი პასუხისმგებლობის მქონე, კონტაქტური, სტუდენტების მოყვარული, ცოდნა_ უმაღლესი, მე ბედნიერად ვთვლი თავს და ვამაყობ, რომ ვისმენდი მის ლექციებს და ვიცნობდი ასეთ ადამიანს.

ერთი სემესტრის განმავლობაში მასწავლიდა **ივანე ტერასაშვილი** – ყველაფერი დადებითი შემიძლია მასზეც მოგახსენოთ, რაც სტუდენტებისთვის მთავარია მცოდნე, კონტაქტური, მეგობრული.



შალვა ანდლულაძე – ტექნიკური მეცნიერებათა დოქტორი, ქიმიური და ტექნოლოგიური კათედრის სრული პროფესორი.

მათემატიკის მასწავლებელს ქ-ნ **მედეა კეკელიას** რა დამავიწყებს, როგორც სათნოს, მცოდნეს, ლამაზს, ყოველთვის მოწესრიგებულს, დედაშვილური დამოკიდებულება ჰქონდა ყველა სტუდენტთან, მისი „ჩემო საყვარელო შალვა“ – შეუძლებელია დამავიწყდეს.



ციცინო ლომთაძე – ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოც. პროფესორი.

მინდა გავიხსენო **თენგიზ მანჯავიძე**, ეს „სულით და ხორცილთ ლამაზი, მცოდნე, მისი პრაქტიკული მეცადინეობების შემდეგ არ იყო ჯგუფში სტუდენტი, რომელიც ჩათვლას ვერ მიიღებდა, ნებისმიერი მაგალითის ამოხსნა შეგვეძლო, „თან გვყვებოდა“ სტუდენტებს.



იოსებ შათირიშვილი – სტუ-ს ზოგადი ქიმიის კათედრის მოწვეული სრული პროფესორი, ტ. მ. დოქტორი.

მათემატიკაში ლექციებს გვიკითხავდა ბატონი **ვახტანგ ჟღენტი**, ძალიან მოკლედ მოგახსენებთ მის ჭეშმარიტ პედაგოგისათვის დამახასიათებელ თვისებებს: ჰუმანური, ობიექტური, მცოდნე, უშუალო, კონტაქტური, თავისი საქმის პატივისმცემელი.



გურამ ცინცაძე – სამშენებლო ფაკულტეტის N107 დეპარტამენტის სრული პროფესორი.

მათემატიკაში ლექციებს გვიკითხავდა დოცენტი **გალაქტიონ ხახუბია** – მეტყველება მკაფიო, გასაგები, საგნის მოყვარული და თავისი საქმისა და სტუდენტების პატივისმცემელი, ლექციების ახსნისას, შემიძლია ვთქვა, „იწვოდა“. ყველა ამ თვისებების ადამიანზე აგორებული ჭორი, სტუდენტის მოწყობილი ინტრიგა, რა თქმა უნდა, ჩვენთვის დაუჯერებელი იყო, დღესაც ასე მჯერა, სამწუხაროა, რომ მან მალე აღარ ისურვა ინსტიტუტში მუშაობის გაგრძელება



სერგო კარიბოვი (კარიბიდისი) – ტ.მ.დ., სახელმწიფო პრემიის ლაურიატი, კათედრის ყოფილი გამგე:

1995 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი. სხვადასხვა სემესტრში ლექციებს მიკითხავდნენ ისეთი ცნობილი პედაგოგები, როგორებიც იყვნენ პროფ. ა. რუხაძე, დოც. ნ. ლომჯარია, დოც. ნ. ართმელაძე, რომელ მათგანზე შეიძლება ყოფილმა სტუდენტმა აუცილებლად ახსენოს?

ნიკო ლომჯარიას ცოდნით „სავსე“ ლექციები, შესვენების დროს ივსებოდა ისტორიული ფაქტებით მათემატიკიდან, მათი არ მოსმენა ცოდვად მიგვაჩნდა.

იგი ძალიან განათლებული პიროვნება გახლდათ, მისი ლექცია საინტერესო იმით იყო, რომ პროგრამული მასალის ახსნის შემდეგ იტოვებდა ხუთ-ათ წუთს და გვიყვებოდა გამოჩენილი მათემატიკოსების ცხოვრების შესახებ. მახსოვს, როდესაც მან ევარისტ გალუას ცხოვრების შესახებ მოგვიყვა, შეგვაძინა, რომ მოგვეწონა და დავინტერესდით, გვითხრა: არსებობს ციკლი „ცნობილი ადამიანების ცხოვრება“ – წაიკითხეთ,

ისიამოვნებთ. მაღლობას ხშირად ვუხდით ბატონ ნიკოს ჩვენს სწორ გზაზე დაყენებისთვის. ლექციები კი გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით, ყოველი თემის ახსნისას გვიყვებოდა მათემატიკის კავშირზე ჩვენს სპეციალობასთან.

ამბროსი რუხაძის ენერგიით სავსე ლექციები კი ჩვენში აღტაცებას იწვევდა.

ნინო ართმელაძეს კი ორი სიტყვით დაგიხასიათებთ: „ზღაპარი ქალი“ იყო, დღემდე კმაყოფილი ვარ იმით, რომ მან მისი სიმკაცრით საუკეთესო ცოდნა მოგვცა, დღესაც კი მინდა მის სულს მაღლობა ვუთხრა ამისთვის.



ერთერთ ღონისძიებაზე შევხვდი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოფილ სტუდენტს ნ.მ. (მთხოვა გვარის დასახელებისგან თავი შევიკავო) :

ამ ამბავზე თბილისში დიდხანს საუბრობდნენ, მსჯელობდნენ, სწორად მოიქცა თუ არა ბ-ნი **კოტე გვაზავა**.

გამოცდაზე ჩემი ჯგუფის ოთხმა სტუდენტმა ყმაწვილმა (მთხოვა ფაკულტეტიც არ დამეკონკრეტებინა) კოტე გვაზავასთან არადამაკმაყოფილებელი ნიშნები მიიღეს. ბ-ნი კოტე ობიექტური, მომთხოვნი, მკაცრი მასწავლებელი იყო. სტუდენტებმა გადაწყვიტეს „ქუჩურად“ გასწორებოდნენ მას. ბ-ნი კოტე ზაქრამის ქუჩაზე ცხოვრობდა, სტუდენტები მას „ბნელ ხიდთან“ – ფიროსმანის და ყოფილი საბჭოს (ამჟამად დადიანის) ქუჩების შემაერთებელ გვირაბში დახვდნენ გადაწყვეტილების შესასრულებლად. ბ-ნ კოტეს, სხვა გზა არ ჰქონდა, მიიღო გამოწვევა, „ამუშავა თავისი მძლავრი მუშტები“, ორი სტუდენტი მალე გაიქცა, ორმა კი კარგა ხანს გაუძლო „თანატოლი ლექტორის“ მუშტებს, ბატონ კოტესაც არ ასცდა რამდენიმე მუშტი, ბოლოს ორივე სტუდენტი დანებდა ლექტორს (მათაც აღარ ჰქონდათ სხვა გზა). საინტერესო მეორე დღე იყო. ბ-ნმა კოტემ გაქცეულ ორ სტუდენტს გამოუტანა განაჩენი – “ თქვენ ჩხუბშიც უვარგისები ყოფილხართ“, „მოჩხუბარი“ ორი სტუდენტი კი ნიშნებით დაასაჩუქრა, „ჩხუბში კაცად მაინც ვარგებულხართო“



ნიკოლოზ ინვია – ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის რუსული ჯგუფის ყოფილი წარჩინებული სტუდენტი, ამჟამად ბიოსამედიცინო დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

მისი საუბრის შინაარსი. რომელიც დოცენტ ნინო ართმელაძეს შეეხებოდა, ჩავიწერე სრული სიზუსტით, აუთენტურობისთვის ეს ტექსტი ორიგინალის ენაზე მინდა მოგაწოდოთ.

На экзамене Сашу Мальцева (отличника) экзаменовала Нина Константиновна, параллельно Сашу Малкина (тоже отличника) – ассистентка Лидия Николаевна Беридзе. Я ждал своей очереди. Оба „Саши“ исписали двенадцати листовые тетради, т. к. Нина

Константиновна спрашивала весь пройденный материал после вопросов билета. Она закончила экзаменовывать Сашу Мальцева, экзамен второго Саши ещё продолжался. Мальцев получил оценку „пять“, похвалы и собирался выйти из аудитории, но, увы, нет:

Н. К. – Саша вернись пожалуйста, я у тебя условный экстремум спрашивала?

С. М. – да, Нина Константиновна, спрашивали.

Н. К. – ладно.

Саша не успел открыть двери и . . .

Н. К. – Саша вернись пожалуйста, я у тебя метод Лагранжа вариации постоянных спросила?

Это повторилось ещё два раза, на этот раз – систему дифференциальных уравнений, уравнение Клеро спрашивала?

Тут уже вмешалась Лидия Николаевна – оставьте этих двух „Саш“, самых лучших студентов, напишите пятёрки и отпустите, ради бога. Конечно, Нина Константиновна „подчинилась“.

Я уже перестал волноваться и вышел к Нине Константиновне.

Через два-три года бывшие студенты часто приходили к Нине Константиновне и благодарили за такие, строгие экзамены.



ლალი კაკაშვილი – სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის ნავთობისა და გაზის ფიზიკურ-ქიმიური ლაბორატორიის უფროსი.

მინდა გავიხსენო მათემატიკის პრაქტიკუმის მასწავლებელი, **თამაზ მოსიძე** „человек с большой буквы“.

ჯგუფში 11 მედალოსანი აბიტურიენტი ვიყავით ჩარიცხული. მთლიანად ჯგუფი ძალიან ძლიერი იყო. პირველი სემესტრი ისეთი შედეგებით დავამთავრეთ, რომ დაგვაჯილდოვეს ჩეხოსლოვაკიაში დასვენებით.

ერთ-ერთი საკონტროლო წერის დროს რამდენიმე სტუდენტი კარგად მომზადებული არ იყო და გვთხოვეს, მოდით საკონტროლო გადავადებინოთო. ბატონი თამაზი არ დაგვეთანხმა, გვიბრძანა – დაწერო საკონტროლოსო, ჩვენ გავჯიუტდით, დავაწყვეთ კალმები და გამოვუცხადეთ – არ დავწერთ, დაგვემუქრა, ყველას ორიანებს ჩამოგიმწკრივებო, გავარიცხვინებო თქვენს თავსო. ჩვენ არ შევშინდით, განვაგრძეთ ჯიუტობა, ჩვენი გადაწყვეტილება ხომ მეგობრების მხარში დგომა იყო.

რა თქმა უნდა, არავინ გაგვრიცხეს.

ხუთი წლის შემდეგ, ინსტიტუტის დამთავრების „ბანკეტზე“ მოვიპატიჟეთ მასწავლებლები, ცხადია, ბატონი თამაზ მოსიძეც. მან აღლეგრძელა ჯგუფი, შეუქო ხუთი წლის წინანდელი საკონტროლო წერის დროს გამოჩენილი ერთსულოვნება, თან დააყოლა: „გული მისკდებოდა, ხომ არ წასცდება ხელი კალმისაკენ რომელიმეს და ხომ არ დაწერს საკონტროლოს, რადგან მახსოვს, ისე დაგემუქრეთ გარიცხვით, მიუხედავად ხუთოსნები

იყავით არ შეშინდით, ბარაქალა თქვენს მეგობრობას, თქვენთან ერთად მწვერვალზე შეიძლება წასვლა“ და ყველა სათითაოდ დაგვკოცნა.

ასეთი ბუნების პედაგოგი არ შეიძლება დაავიწყდეს სტუდენტს.



ვეწვიე ფიზიკის დეპარტამენტის თანამშრომლებს:

ფიზიკა–მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი – **მზია ცირეკიძე**.

უნდა გითხრათ, რომ მე ბედმა გამიღიმა. ჩემი ლექტორები ყველა თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული და უდიდესი პროფესიონალები იყვნენ. მათ უნდა ვუმაღლოდე, რომ საინჟინრო–ფიზიკური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ თეორიულ ფიზიკაში გადავწყვიტე მუშაობის დაწყება და დისერტაცია ატომურ ფიზიკაში დავიცავი.

ქალბატონი **ნინო ართმელაძე** მათემატიკურ ანალიზს მასწავლიდა საინჟინრო–ფიზიკურ ფაკულტეტზე. იგი მთელ ინსტიტუტში ცნობილი იყო, როგორც უაღრესად პრინციპული და ობიექტური ლექტორი. მე და ბევრი ჩემი მეგობარი იმას, რასაც მივალწიეთ როგორც ფიზიკოსებმა, ქალბატონ ნინოს ვუმაღლით. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ნინო ცნობილი იყო, როგორც „მკაცრი“ ლექტორი, ჩვენ მაინც გვიყვარდა და დიდ პატივს ვცემდით. მას არ ჰყავდა გამორჩეული რომელიმე სტუდენტი. მისთვის ყველა ერთნაირი ვიყავით. მის ლექციებში იგრძნობოდა უდიდესი სიყვარული მათემატიკისადმი და მთელი გულით ცდილობდა ეს სიყვარული ჩვენთვისაც გადმოედო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალბატონი ნინოს გამოცდა. იგი დიდხანს გრძელდებოდა, გამოცდაზე ყველაფერს გვეკითხებოდა, თუ რაიმეს ვერ ვუპასუხებდით, ნიშანს ვერ ვიღებდით. ხოლო თუ ყველა საკითხს ვუპასუხებდით, მაშინ შეიძლებოდა მიგვეღო ყველა ნიშანი 3, 4 და 5–იც. როდესაც ქალბატონ ნინოს ჰკითხეს, ნიშნებს რის მიხედვით წერთო, მან ასე უპასუხა: „რა თქმა უნდა ყველა საკითხი უნდა იცოდეს, რა ნიშანზე ამას ჩემი პედაგოგიური ალლო მიკარნახებს“.

ქალბატონ ნინოს ძალიან უყვარდა პოეზია. ბატონ სულიკოს (გველესიანს) უთქვამს ჩემზე მეტად უყვარს პოეზიაო. გაოგნებული დავრჩი, როდესაც ერთხელ გამოცდის შემდეგ ლექსის წაკითხვა მთხოვა. არც მე მითქვამს უარი და იმ დღეს პოეზიის საღამო გამოგვივიდა, რითაც ქალბატონი ნინო დიდად ნასიამოვნები დარჩა.

დღეს ჩემზე ხშირად ამბობენ „ქალბატონი ნინოს ნასტუდენტარია“-ო, ეს ძალიან მიხარია, რადგან ჩემთვის ქალბატონი ნინო ობიექტურობის, პრინციპულობის და პროფესიონალიზმის განსახიერებაა.

ბატონი **ამბროსი რუხაძე** პირველ კურსზე ანალიზურ გეომეტრიას მასწავლიდა. მისი ლექციები ჩვენთვის დღესასწაული იყო. ლექციის დროს როდესაც რაიმე თეორემას ამტკიცებდა, ისე უხაროდა, თითქოს ეს პირველად გააკეთა თავის ცხოვრებაში. ძალიან ლამაზად წერდა. ისე ჩამოამწვრივებდა დაფაზე ფორმულებს, ხელოვნების ნიმუში

გეგონებოდათ. მისი უმაღლესი მათემატიკის სახელმძღვანელო ჩემი სამაგიდო წიგნია ახლაც.

მახსოვს ანალიზურ გეომეტრიაში გამოცდა 16 იანვარს მქონდა. საერთოდ ასეთი ბედი მაქვს, თუ რაიმე საკითხი არ მომეწონა და ცუდად ვისწავლე, ბილეთში გამოცდაზე ზუსტად ის მხვდებოდა. ასე იყო მაშინაც. რატომღაც არ მომეწონა ეილერის კუთხეები და ძალიან ცუდად ვიცოდი. გამოცდაზე ბილეთში ზუსტად ის შემხვდა. ბატონმა ამბროსიმ მითხრა „ადრეაო“ – ასე იცოდა როდესაც ნიშანს არ წერდა. შემდგომში ეილერის კუთხეები ზედმიწევნით კარგად ვისწავლე. სხვა საკითხებისათვის ხელი არ მიხლია. 31 იანვარს, როდესაც პარტიის ისტორია ჩავაბარე, მათემატიკის კათედრაზე გავიარე და დავინახე განცხადება, რომ პროფესორ რუხაძეს გამოცდა 536 აუდიტორიაში ჰქონდა. გავედი გამოცდაზე, ბილეთის ყველა საკითხი ვუპასუხე, შემდეგ ეილერის კუთხეები მკითხა, რა თქმა უნდა, კარგად ვუპასუხე, მაგრამ ხუთიანი მაინც ვერ დავიმსახურე, ზოგჯერ ძალიან მკაცრი იყო.

ბატონ ამბროსის ძალიან უყვარდა თავისი სტუდენტები. ეს ყველგან იგრძნობოდა ლექციაზეც და ურთიერთობაშიც.

კომპლექსურ ცვლადთა თეორია და მათემატიკური ფიზიკა – ეს ის საგნებია, რომლებსაც ბატონი **თენგიზ ბურჭულაძე** მასწავლიდა. მან შეგვაყვარა მათემატიკური ფიზიკის განტოლებები, რამაც შესანიშნავი საფუძველი შეგვიქმნა ფიზიკის, მეცნიერების ამ ურთულესი დარგის წარმატებით შესასწავლად. ახლაც თვალწინ მიდგას დაფასთან ცარცით ხელში, დიდი გულმოდგინებით გვიხსნიდა ურთულეს ინტეგრალურ განტოლებებს ისე მარტივად, რომ ამის გაკეთება მხოლოდ პროფესიონალს შეუძლია. ბატონ თენგიზს უყვარდა პოლიტიქნიკური ინსტიტუტიდან სახლამდე ფეხით სიარული. ეს მისმა სტუდენტებმა ვიცოდით. ერთხელ დაველოდე (მეც ვორონცოვზე ვცხოვრობდი) და მას ჩუმად უკან გავეყევი. დამინახა და ძალიან გაუხარდა. ბევრი ვისაუბრეთ, ბევრი საინტერესო მოსაზრება გამიზიარა. მელაპარაკებოდა როგორც თანასწორს, უკვე ჩამოყალიბებულ პროფესიონალს, მათემატიკური ფიზიკის მნიშვნელობაზე. ვერც ვიგრძენი, ისე მივედით ვორონცოვამდე. დაშორებისას მითხრა, თუ კარგი ფიზიკოსი გინდა გამოხვიდე, მათემატიკა ფიზიკაზე უკეთესად უნდა იცოდეთ. ეს სიტყვები არ დამვიწყებია და ჩემს სტუდენტებსაც ვუბნები. ძალიან განვიცადე მისი სიკვდილი. ბევრ ადამიანს უყვარდა და თან წაიღო მისი დაკარგვით გამოწვეული მათი გულწრფელი სინანული.



თამაზ ეთერაშვილი – ფიზიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი

1968 წლის პირველ სემესტრში დაგვეწყო ლექციები მათემატიკურ ფიზიკაში. ლექციებს გვიკითხავდა, მაშინ მათემატიკის კათედრის გამგე, აწ განსვენებული, პროფესორი **დავით ავაზაშვილი** (მეორე სემესტრში იგივე საგნის მეორე ნაწილი

წაგვიკითხა პროფესორმა **თენგიზ ბურჭულაძემ**). იმ დროს ფაკულტეტი “საინჟინრო ფიზიკა” უკვე გახსნილი იყო (ფაკულტეტი გაიხსნა 1967 წლის 3 მარტს) და სამ ჯგუფს (1966 წლის მიღებას-მეორე მიღება) ზოგიერთ საგანში, მათ შორის მათემატიკურ ფიზიკაშიც, ერთად გვიტარდებოდა ლექციები. სტუდენტობა ხომ მოუსვენრობის წლებთანაა დაკავშირებული და, რა თქმა უნდა, არც ჩვენ ვიყავით გამონაკლისი. ლექცია გრძელდებოდა 1,5 საათი, როგორც წესი, ლექციებს ვიწერდით და ალბათ, არაა ძნელი წარმოსადგენი, რომ ხანდახან ვცოდავდით და „ჩუმად“ ვლაპარაკობდით. ყველა ლექტორს უწევდა ჩვენთვის შენიშვნის მოცემა და სიწყნარისაკენ მოწოდება. ყველა მათგანს ჰქონდა ჩვენთვის ახლაც ნაცნობი, მიმართვები და მოწოდებები სიჩუმისკენ და სიწყნარისკენ. სიმართლე რომ გითხრათ, არცერთი მათგანი უკვე აღარც კი მახსოვს. დღემდე მახსოვს ერთ-ერთი ლექციისას, პროფესორ დავით ავაზაშვილის მიერ ნათქვამი სიტყვები, ჩვენი ახმაურებისას და თემაც, რომელსაც ის გვიკითხავდა მაშინ: „ერთი მხრიდან დამაგრებული სიმის რხევის დიფერენციალური განტოლება“. შემობრუნდა ჩვენსკენ და იმავე ტონალობაში, როგორშიც ლექციებს კითხულობდა, ყოველგვარი ხმის აწევის გარეშე გვითხრა: „ყმაწვილებო, დაწყნარდით და კარგად მომისმინეთ, თუ არ მომისმენთ, შემდეგ გაგება გაგიჭირდებათ. გაითვალისწინეთ, რომ ათ-თხუთმეტ წელიწადში ჩემი თაობის არცერთი ლექტორი აღარ ვიქნებით ცოცხალი. ვინ უნდა შეგვცვალოს ჩვენ, თუ არა თქვენ! მომავალ თაობებს ვინ უნდა გადასცეს ცოდნა?“. შემდეგ, ოდნავ დააყოვნა, შებრუნდა და გააგრძელა ლექციის კითხვა, ყოველგვარი ზედმეტი ემოციების გარეშე. ახლა, უკვე სინანულით, მაგონდება, თუ როგორ ჩავულაპარაკე ჩემ გვედზე მჯდომ ავთანდილ (დავით) ბიჩინაშვილს: ნახე რას გვაშაყირებს-თქო. მაშინ ვერც კი ვიფიქრებდი, რომ მართლაც აგვისრულდებოდა მისი ნათქვამი და, სხვებთან ერთად, მეც მომიწევდა ლექციების კითხვა ჩემსავე ინსტიტუტში. დღეს ხომ ფიზიკის დეპარტამენტის ლექტორთა თითქმის 75% საინჟინრო ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები ვართ და ამაში იმ თაობის უდიდესი დამსახურებაა. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს და გაანათლოს მათი სულები იმ ამაგისათვის და მოთმინებისათვის, რომელიც ჩვენთვის გაიღეს. ამიტომაც ნათქვამი: არასოდეს სთქვა-არასოდეს.



ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ასოც. პროფესორი ვალერიან (ვალერი) კეკელია.

2014 წლის მაისის თვის, მე-13 სასწავლო კვირის, ერთ შაბათ დღეს ქალბატონმა ლ. ბერიძემ მითხრა, რომ გამოსაქვეყნებლად ამზადებდა მასალებს (მოგონებებს) სპი-ში, ამჟამად, სტუ-ში მოღვაწე მათემატიკის პროფესორ-მასწავლებლების შესახებ და შემომთავაზა, თუ რაიმე მოგონება მაკავშირებდა ჩემს ყოფილ მათემატიკის ლექტორებთან, დამეწერა ამის შესახებ.

ინსტიტუტში უმაღლეს მათემატიკას რამდენიმე სემესტრის განმავლობაში გვასწავლიდა ბატონი – დოცენტი **გალაქტიონ ხახუბია**, ხოლო პრაქტიკულ მეცადინეობებს გვიტარებდა ბატონი **ლეო ქავთარაძე**. ორივე პედაგოგთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა იმიტომ, რომ ყველა წინა ნაწილები მათემატიკის კურსისა ჩაბარებული მქონდა მათთან ფრიადზე.

1962 წელის ივნისში ვაზარებდით მათემატიკის მესამე, თუ მეოთხე ნაწილს (ზუსტად არ მახსოვს). ბატონმა გალაქტიონმა დაგვირიგა სტუდენტებს საგამოცდო ბილეთები და მოგვცა გარკვეული დრო მოსაფიქრებლად. დაიწყო გამოცდა. ჩემი რიგი რომ მოვიდა, გამომიძახა ბატონმა გალაქტიონმა და დაიწყო ბილეთის საკითხების გამოკითხვა, შემდეგ დამისვა დამატებითი შეკითხვები და გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ ერთ თუ ორ საკითხში „წავიბორძიკე“. შევატყვე, რომ უკმაყოფილო იყო, ბოლოს მითხრა: „კეკელია ამჯერად შენ სათანადოდ არ ხარ მომზადებული...“ და ოდნავ დაფიქრდა. მე ვისარგებლე შექმნილი პაუზით და ვუთხარი: „პატივცემულო ლექტორო, მე ფრიადზე პრეტენზია არ მაქვს, ოთხი თუ არა, სამიანი მაინც ხომ მეკუთვნის...“ და უცებ ენაზე ვიკბინე, მივხვდი, რომ გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი. ჩემს თავს მე თვითონ გამოვუტანე „სასიკვდილო“ განაჩენი. მოკრძალებით შევხედე მას და ვერ ვიცანი, სახე აღშფოთებისგან ალექვოდა, ცისფერი თვალების გუგები გაფართოებოდა. უცებ წამოდგა, მკლავში ხელი მომკიდა და რბილად რომ ვთქვათ, გამომამევა აუდიტორიიდან, თანაც სრული სერიოზულობით დამემუქრა ინსტიტუტიდან გარიცხვით. ამ ინციდენტის შემდეგ თითქმის ყოველ დღე დავდიოდი ინსტიტუტში, იქ, სადაც ბატონი გალაქტიონი ატარებდა გამოცდებს ჩემი ჯგუფის პარალელურ ჯგუფებთან, ვხვდებოდი აუდიტორიის წინ და გულწრფელად ვუხდიდი ბოდიშს, ვთხოვდი პატიებას და დაშვებას განმეორებით გამოცდაზე. ამ პერიოდის მანძილზე ბატონ ლეოს არ მივუტოვებია, მამშვიდებდა და მპირდებოდა დახმარებას, მაგრამ პირველ ხანს მისმა თანადგომამაც ვერ მიშველა. შემდეგ ბატონმა გ. ხახუბიამ დამიშვა განმეორებით გამოცდაზე. ის იყო, დავამთავრე ბილეთის საკითხების მომზადება, რომ გაიღო აუდიტორიის კარები და ინსტიტუტურად ყველა, ლექტორები და სტუდენტები, წამოვდექით ფეხზე. შემობრძანდა ბატონი დავით ავაზაშვილი, პროფესორი, კათედრის გამგე, დინჯი და სამართლიანი, აუღელვებელი, ყველასათვის ღრმად პატივცემული ადამიანი. ბატონმა დავითმა შეეკითხა ბატონ გ. ხახუბიას და ბატონ ლ. ქავთარაძეს გამოცდების მიმდინარეობის შესახებ და ბოლოს მოკრძალებულად გამოთქვა სურვილი, ერთი რომელიმე სტუდენტი პირადად გამოეცადა. ორივე ლექტორმა თითქმის ერთდროულად მიუთითეს ჩემზე. ბატონი დავითი დაჯდა ჩემს გვერდით, გადახედა ბილეთის საკითხებს და გაცემულ პასუხებს, შემდეგ დამისვა რამდენიმე შეკითხვა, რომლებზედაც გავეცი ამომწურავი პასუხი. ამ ხნის განმავლობაში ბატონი ლეო არ მოგვშორებია და ვგრძნობდი, რომ იგი გულითა და სულით „მზალემჩიკობდა“. ბატონი დავითი წამით დაფიქრდა, შემდეგ ასწია თავი და ბატონ გალაქტიონს შეეკითხა, თუ რა ნიშანს მიწერდა იგი. მან უპასუხა, რომ ერთი კვირის წინ დამიწერა შეფასება „ორი“ და ისიც, რომ დამემუქრა ინსტიტუტიდან გარიცხვით. უნდა ავღნიშნო, რომ მის ამ ნათქვამში ვიგრძენი სირბილე და ირონია. არ დააყოვნა არც ბატონმა

ლემ და უთხრა ბატონ პროფესორს, რომ მე ვიყავი წარჩინებული სტუდენტი. ბატონი დავითი ისევ დაფიქრდა და ხელმეორედ მიმართა ბატონ გალაქტიონს: „მე სერიოზულად გეკითხებით...“. აქ ბატონმა ლემ დაასწრო ბატონ გალაქტიონს და ოდნავ ღიმილით თქვა: „ბატონო დავით, კეკელია თქვენ გამოცადეთ და როგორც თქვენ შეაფასებთ, ჩვენც თანახმა ვიქნებით“. ვფიქრობ ბატონი დავითი ჩაწვდა არსებულ სიტუაციას და დინჯად წარმოთქვა: „მე ვაფასებ ფრიადზე“, მადლობა გადაიხადა ყურადღებისათვის, ყველას დაგვემშვიდობა და გავიდა. ბატონმა გ. ხახუბიამ მანიშნა, რომ მეც წავსულიყავი. გამოვედი აუდიტორიიდან, მაგრამ არ წავედი. დაველოდე გამოცდის დამთავრებას და ბოლოს, როცა ლექტორები გამოვიდნენ, მივედი მათთან, ისევ მოვუხადე ბოდიში და ვთხოვე პატიება, ბატონმა გალაქტიონმა მხარზე დამადო ხელი და ასე უხმოდ გადავდგიტ რამდენიმე ნაბიჯი. მივხვდი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა ჩემთვის...

მომავალში ხშირად ვხვდებოდი ბატონ გ. ხახუბიას და ბატონ ლ. ქავთარაძეს ინსტიტუტის დერეფნებში და ვგრძნობდი, რომ თითქოს არცერთს არ ახსოვდა მომხდარი ინციდენტის შესახებ.



წიგნზე მუშაობა თითქმის დამთავრებული მქონდა, რომ გერმანიიდან მივიღე წერილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის კურს-ამთავრებულისაგან, **ინგა ბუჩუკურისაგან**, რომელიც დიდი ხანია გერმანიის მოქალაქეა.

„ქალბატონო ლიდა, გავიგე, რომ თქვენ წერთ წიგნს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოღვაწე მათემატიკოსების შესახებ. დიდი სურვილი გამიჩნდა, გავიხსენო ჩემი, და არამარტო ჩემი საყვარელი ლექტორი **სერგო თოფურია**, თუ არის შესაძლებლობა, გთხოვთ, ჩემი გახსენებაც გაითვალისწინოთ. საქართველოდან შორეულ გერმანიაში ხშირად ვიხსენებ ჩემს ლექტორებს, რომელთა შორის პირველი ადგილი ბატონ სერგო თოფურიას უკავია, აქ ხშირად ვამაყოფთ ჩვენი მასწავლებლებით“.

რა თქმა უნდა, ვუსრულე თხოვნას ინგა ბუჩუკურს.

„ვსწავლობდი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე. წარჩინებული სტუდენტი ვიყავი, ყველა საგანს თითქმის თანაბრად, მონდომებით ვსწავლობდი, ლექციებს არ ვაცდენდი, განსაკუთრებით არ ვაცდენდი ბატონი სერგო თოფურიას ლექციებს, რადგან ისინი „ერთი მსახიობის თეატრს“ მოგაგონებდათ, ერთი სიამოვნება იყო მისი ლექციები. მაგრამ ერთი ლექციის გაცდენა მაინც მომიხდა. ბატონ სერგო თოფურიას აუხსნია **ფურიეს მწკრივები**. გამოცდაზე წასვლისას ვიფიქრე, რაღა ფურიეს მწკრივები შემხვდება-მეთქი, მართლაც არ შემხვდა ბილეთი ამ საკითხით, გავიხარე, ადრე გამოდგა ჩემი სიხარული, როცა ბილეთის ყველა საკითხი სრულყოფილად ვუპასუხე, ბატონმა სერგო თოფურიამ შემაქო, მაგრამ, ჰოი საოცრებავ, მითხრა: „როცა მე ფურიეს მწკრივები ავხსენი, შენ ლექციებზე არ იყავი, აბა, ჩემო ინგა, მომიყევი ფურიეს მწკრივების შესახებ“. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა საიდან დაამახსოვრდა მას, ამ დონეზე ყურადღებიან, ბატონ სერგო თოფურიას ჩემი არ

ყოფნა ლექციაზე. დარცხვენილმა ვუპასუხე, რომ ეს საკითხი არ მისწავლია, გთხოვთ მომცეთ ერთი დღე ამ შეცდომის გამოსწორებისათვის. ცხადია, მან მეორე დღეს დამიბარა გამოცდაზე. სათანადოდ მომზადებული მივედი დანიშნულ დროს, მაგრამ, აქაც ჰოი საოცრებავ, მითხრა: „ვიცოდი, რომ შეპირებას შეასრულებდი, ისწავლიდი ფურიეს მწკრივებს, მე გუშინ გაგიფორმე ფრიადი“. შეუძლებელია სტუდენტმა დაივიწყოს ლექტორის ასეთი ყურადღება სტუდენტების მიმართ, შემდეგ კი ნდობის გამოცხადება. ამის შემდეგ მისი არც ერთი ლექცია არ გამიცდენია.



მკითხველი განსჯის, თუ რამდენად შევძელით დასახული მიზნის განხორციელება, რათა პატივი მიგვეგო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში მოღვაწე მათემატიკოსების ხსოვნისადმი დღიდან დაარსებისა (1917-1928წ.), ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე (1922-1928წ.) მოღვაწე მათემატიკოს-პედაგოგების ხსოვნისადმი, ხოლო შემდეგ 1928 წელს მათი გაერთიანებით შექმნილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკოსების ღვაწლის შესახებ.

ჩვენი მიზანი იყო, აგრეთვე, დღეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოღვაწე მათემატიკოსების შრომის დაფასებაც. დღევანდელ პირობებში სტუდენტებთან მუშაობა ადვილი საქმე არ არის, მაგრამ პედაგოგები დიდი სიყვარულით ემსახურებიან ახალგაზრდობას ქვეყნის სასიკეთოდ. გვსურდა ახალგაზრდა მათემატიკოსებისათვის მიგვეწოდებინა ცნობები ჩვენი სახელოვანი მათემატიკოსების შესახებ, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, ზრდიდნენ ტექნიკურ ინტელიგენციას, ძველი თაობისათვის კი გაგვეხსენებინა ამ მოღვაწეთა სახელები და მიგვეცა იმედი, რომ მათი სტუდენტებიც დააფასებენ პედაგოგების შრომას, რადგან წარსულის დავიწყება ერის დაკნინების მომასწავებელია, რასაც არ დაუშვებს ჩვენი ახალგაზრდობა.

ახალგაზრდა მათემატიკოსებო, მე შეძლებისდაგვარად მოგაწოდეთ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკოს-პედაგოგების მოღვაწეობა დაარსებიდან (1917წ.) დღემდე. თქვენ ხომ დამსახურებული პედაგოგების საიმედო ცვლა ხართ, თქვენც ნუ დაივიწყებთ, ახლა უკვე, ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკოს პროფესორებს, ვიმედოვნებთ, რომ მრავალი წლის შემდეგ თქვენც მიაგებთ პატივს მათ ხსოვნას, თუმცა ჯერ დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ მათ, რათა კიდევ მრავალ წელს ემსახურონ მშენებლების, მექანიკოსების, ენერგეტიკოსების და სხვათა აღზრდას, ისინი ძალიან სჭირდება ქვეყანას. თქვენ გააგრძელეთ 2014 წლიდან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნორა ნებიერიძე, გიორგი დიდიშვილი, სოლომონ პავლიაშვილი – ტექნიკური უმაღლესი განათლების განვითარების საწყისები საქართველოში, თბილისი, 1997, 182 გვ.
2. დ. ავაზაშვილი, ა. გორგიძე, ნ. ლომჯარია, ბ. ხვედელიძე – ვ.ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკისა და თეორიული მექანიკის კათედრების მუშაობის მიმოხილვა დაარსებიდან დღემდე – ვ.ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შრომები, № 6(77), 1961.
3. ნოდარ მახვილაძე, ვასილ მეცუგოვი – საქართველოს თეორიული მექანიკის კათედრა დაარსებიდან დღემდე, თბილისი, 2003.
4. თორნიკე ეფრემიძე – პროფესორი იასონ მეცხვარიაშვილი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009.
5. თამაზ ებანოძე – წერილები ქართველ მათემატიკოსებზე, „მეცნიერება“, 1981.
6. ქართული მეცნიერებისა და ტექნიკის სიამაყე გიორგი ნიკოლაძე, საიუბილეო კრებული 110, 1999.
7. გიორგი ნიკოლაძე – 120, დაბადებიდან 120 წლისთავი, თბილისი, 2009.
8. ა. ნ. ბოგოლიუბოვი – გიორგი ნიკოლაძე, თბილისი, 1972.
9. საქართველოს ეროვნული არქივი. საქმე 472, აღწერა I. Тбилисский политехнический институт (1917-1928)
№ 5 – Список преподавательского состава и служащие при Тифлисском политехническом институте 16.II-1917 г. – 21.XI-1922 г.
№ 16 Состав членов Совета Тифлисского политехнического института, 1917 г. – 16.XI. 1921 г.
№ 103 Журналы заседаний совета о выборах декана инженерных факультетов, секретарей, профессоров, о пересмотре учебного плана и других вопросов, 1919-1927 г. 309 стр.
№ 107 Экзаменационные листы, зачеты и списки студентов сдавших высший анализ, 1919-1928 г. 433 стр.
№ 132 ТГПИ им. Ленина, инженерные факультеты, списки и листы студентов сдавших экзаменов по аналитической геометрии, 1920-1927 г. 220 стр.
№ 213 Список членов Тифлисского политехнического института, 1917 г.
№ 216 Экзаменационные листы студентов, сдавших математику, 1922-28 г. 370 стр.
№ 610 Протоколы объединенного заседания математической предметной комиссии о преподавателях русского и грузинского сектора 1928 г.
№ 614 Протоколы математической предметной комиссии о рассмотрении учебного плана, распределение часов занятий 1928 г.
№ 634 Листы студентов, сдавших математику. 1929, 30.
№ 726^a Список студентов, окончивших инженерные факультеты в 1933-34 г. расписки студентов в получении справок об окончании.

- № 5950 Тифлисский государственный политехнический институт – переписка с Наркомпром по сметным вопросам, списки преподавателей и студентов.
- № 5936 Протоколы заседаний правления Тбилисского государственного политехнического института им. В.И. Ленина. 1927 г.
- № 5945 Доклад о деятельности ТГПИ, 1921 г.
- № 5946 Списки преподавателей института 1921-22 г.
- № 5952 Выписка из журнала заседания совета ТГПИ имени Ленина 18 ноября 1922 г. № 77.
- № 22 Доклады и протоколы об открытии Тифлисского политехнического института и организации факультетов (1917-1921).
- № 277 Тифлисский политехнический институт – экзаменационные карточки студентов за 1922 год.
- № 19^ა Переписка канцеляции с хозяйственным комитетом, главным комитетом, советом института и факультетами, 3 октября 1917 г. – 26 декабря 1921 г.
- № 21 Доклады, отчеты и заявления в совет Тбилисского политехнического института, 28.XII.1917 г. – 15.II. 1923 г.
10. საქმე № 2338, აღწერა 3, 1933-37 წ.
№ 50 сведения о профессорско-преподавательском и административном составе за 1935г.
№ 91 Штатное расписание на 1937 г. Закавказского индустриального института им. С.М. Кирова.
11. საქმე 1961, აღწერა 1.
№ 91 Тбилисский институт инженеров железнодорожного транспорта им. В.И. Ленина (ТБИИЖТ) – протоколы кафедры высшей математики и теоретической механики 16.IX-1937/38 уч. годы.
№ 933 Протоколы заседаний кафедры высшей математики ТБИИЖТ-а, 1954/55 уч. год.
№ 1184 Протоколы заседаний кафедры высшей математики ТБИИЖТ-а 1958, 1959 г.
12. საქმე 471, აღწერა 4.
Документальные материалы ГПИ им. Ленина по основной деятельности за 1933-71 годы.
№ 31 Программы по всем предметам на 1937/38 г.
№ 66 Учебные планы и программы на 1937/38 уч. год.
№ 90 Штатное расписание профессорско-преподавательского состава за 1938/39г.
№ 197 Протоколы заседания за 1938 год (кафедра высшей математики).
№ 295 Протоколы заседания за 1940 год.
№ 392 Протоколы заседания за 1941/42 уч. год.
№ 742 Кафедра высшей математики, отчет о работе 1949/50 уч. год.
№ 211 Экзаменационные листки студентов, сдавших аналитическую геометрию (1922-1926).
№ 304 Журнал заседаний совета инженерных факультетов (1923 г.).

№ 557 Положения в ВУЗ-ах и доклады. О назначении Мухелишвили профессором. Протокол совещания Наркомпроса о проведении с технической стороны объединения инжфака, Госунта и ГПИ, список заведующими будущими кафедрами.

№ 5951 Справка о составе преподавателей ТГПИ (1923-24 г.).

№ 5957 Статьи и заметки А.С. Бабова о реорганизации Тбилисского государственного политехнического института.

№ 5955 Штатное расписание ТГПИ (1923).

№ 1639 Приемно-сдаточный акт по объединению ГПИ и ТБИИЖТ-а.

13. <http://2.hper.ge>
14. <http://burusi.wordpress.com>
15. <http://ptpress.ge>
16. <http://tamarbuachidze.blogspot.com>

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი -----	3
ტფილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი 1917-1928 წლებში -----	5
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტი 922-1928 წლებში -----	40
ლენინის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი -----	55
ამიერკავკასიის (შემდგომში საქართველოს) კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი (ЗИИ) და თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი (ТБИИЖТ) -----	73
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის №3 კათედრა -----	86
უმაღლესი მათემატიკის კათედრა №63 -----	115
უმაღლესი მათემატიკის კათედრა №99 -----	120
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტი -----	129
გამოყენებითი მათემატიკის კათედრა N104 -----	142
მოგონებები -----	162
გამოყენებული ლიტერატურა -----	185
სარჩევი -----	188

